რამდენად ახლოს არიან ქართველი პოლიტიკოსები ცხოვრებასთან A2

სანოტარო მომსახურება და საზღაური სანოტარო მომსახურებისათვის A8

"ხალხის პირისპირ" - ანკეტა B6

www.24hours.ge

24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

პარასკევი, 30 ივლისი, 2004 წელი. №179 (728)

ფასი 50 თეთრი

უეროვნებო კრიმინალი

საერთაშორისო კრიმინალს და ტერორიზმს ეროვნება და რასა არ გააჩნია, მისი სახე ნიღაბია.

ტრანსნაციონალური დანაშაულით დასაქმებული ქართულ-აფხაზური დაჯგუფებები

საქართველოს სამართალდამცველ სტრუქტურებს კონფლიქტის ზონებში მოქმედი დანაშაულებრივი ქსელების შესახებ დეტალური ინფორმაცია მოეპოვებათ. როგორც ირკვევა, კარტელებში გაერთიანებულნი არიან სხვადასხვა დანაშაულებრივი ჯგუფები, სამართალდამცველი უწყებისა და სახელისუფლებო სტრუქტურების წარმომადგენლები.

ინგა ალავიძე

აფხაზეთის ზონას აფხაზური შეიარაღებული დაჯგუფებები აკონტროლებენ, რომელთანაც კავშირი აქვთ ქართულ კრიმინალურ ჯგუფებს. კონტრაბანდით სერიოზულად იყვნენ დასაქმებული ქართული პარტიზანული რაზმები, თუმცა, "ვარდების რევოლუციის" შემდეგ, პარტიზანთა კონტრაბანდული საქმიანობა დასრულდა.

უშიშროების სამინისტროს ხელთ არსებული მონაცემებით, აფხაზეთის ტერიტორიას აკონტროლებს 4 კრიმინალური დაჯგუფება:

დასავლეთ აფხაზეთის დაჯგუფება, რომელიც განაგებს ნავთობისა და საკვები პროდუქტების გადაზიდვას და ნაწილობრივ მონაწილეობს რუსეთის ტერიტორიაზე ნარკოტიკების გატანაში;

გაგრის დაჯგუფება, რომელიც სომხებით არის დაკომპლექტებული და ხე-ტყის ბიზნესს აკონტროლებს, ასევე, ჩართულია ნარკოტიკების წარმოებასა და ვაჭრობაში;

გუდაუთის დაჯგუფება, რომელშიც, ძირითადად, აფხაზები არიან გაერთიანებულნი, ნარკობიზნესითაა დაკავებული და ზედამხედველობას უწევს ნარკოტიკების ექსპორტს.

ჩეჩნურ-აფხაზური დაჯგუფება, რომელიც მუსულმანი ვაჰაბიტებითაა დაკომპლექტებული, აკონტროლებს აფხაზეთის აღმოსავლეთ ზონას, განაგებს ტვირთბრუნვას გალი-ზუგდიდის ზონაში, აკონტროლებს აფხაზეთის ძირითად სატრანსპორტო მაგისტრალებს და აფხაზ ბიზნესმენთა დიდი ნაწილის საქმიანობას.

გარდა ამ ჯგუფებისა, აფხაზეთის კონტრაბანდულ გზებს არძინბას სახელისუფლებო სტრუქტურების წარმომადგენლებიც აკონტროლებენ. ორი ასეთი ყველაზე მსხვილი დაჯგუფება კარგადაა ცნობილი.

სერიოზული გავლენა გააჩნია სეპარატისტული ხელისუფლების სპეცრაზმის უფროსს, არძინბას პირადი დაცვის ყოფილ უფროსს, ცნობილ კრიმინალ ვალმერ ბუთბას, რომელიც 50-კაციან ჯგუფს ხელმძღვანელობს. მას პარტნიორობას უწევს როზა მირცხულავას რაზმი. ბუთბას დაჯგუფება თანამედროვე შეიარაღებითაა აღჭურვილი.

გაგრძელება A3 გვერდზე

ქართულ-ოსური დაჯგუფებები

წინა წლებთან შედარებით, რადიკალურად განსხვავებული სიტუაციაა ცხინვალის რეგიონში. საქართველოს ჩრდილოვანი ეკონომიკის ერთ-ერთი ძირითადი მკვებავი არტერია, ფაქტობრივად, გადაიკეტა. ანტიკონტრაბანდული ოპერაციები რეგიონში ჯერ ყოფილმა გუბერნატორმა ირაკლი ოქრუაშვილმა დაიწყო, მსხვილი ორგანიზებული დანაშაულებრივი დაჯგუფების წევრები დააკავა და კონფლიქტის ზონაში "საახალწლო ფეიერვერკი" გამართა – ირაკლი ოქრუაშვილის მოთხოვნით, უშიშროების სამინისტროს სპეცდანიშნულების რაზმმა კონტრაბანდისტთა შემოვლითი გზები ტროტილით ააფეთქა.

ცოტა ხნის წინ კი, დაიკეტა ერგნეთის ბაზრობაც, სადაც გაერგნეთის "ოფშორიდან" მარტო დედაქალაქში, დაახლოებით, 200 მილიონი ლარის კონტრაბანდული საქონელი ილექებოდა. ერგნეთის ბაზრობა იყოფოდა ორ – ოსებისა და ქართველების მიერ კონტროლირებად ნაწილად. თავის დროზე, პირველ ნაწილს აკონტროლებდა ლოხა ჩიბიროვი, ცხინვალის რეგიონის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის ყოფილი პრეზიდენტის, ლუდვიგ ჩიბიროვის ვაჟი. მეორე ნაწილის დირექტორი კი გახლდათ შინაგან საქმეთა სამინისტროს

გაგრძელება A3 გვერდზე

ეკონომიკა

რა უშლის ხელს ქვეყანაში მიკროსაწარმოების განვითარებას?

საქართველოში დღეს მიკროსაფინანსო სესხებზე მოთხოვნა რეალურ მიწოდებაზე 238 მილიონი დოლარით ნაკლებია.

A4

უცხოეთი

იანდარბიევის მკვლელებს სიკვდილით აღარ დასჯიან

არაბი მოსამართლე არა მარტო რუს აგენტებს, არამედ რუსეთის ხელისუფლებასაც დამნაშავედ მიიჩნევს.

A5

საზოგადოება

ცოტას ვაკეთებთ, მაგრამ საფუძვლიანად, - აცხადებს თბილისის მერი

ზურაბ ჭიაბერაშვილს არც "წყალკანალის" საკითხი დავიწყებია და, "ლეიბორისტების" გულის გასახეთქად, საკუთარ ნამოღვაწართა შორის "წყალკანალის" იჯარით გაცემის პროცესის შეჩერებაც მოიხსენია.

A6

სამართალი

პროკურორი, მისი მოადგილე და გამომძიებელი ქრთამის ალების გამო დააკავეს

A7

ამინდი

	30/7	31/7
თბილისი	36	37
ქუთაისი	39	41
ბათუმი	38	41
სოხუმი	35	37
ფოთი	38	39
თელავი	34	35
ზუგდიდი	38	39
გორი	33	34
ახმეტა	34	35
ჭიათურა	38	39
გაგრა	34	35
სამტრედია	38	40

უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

აშშ დოლარი	1.8910
ევრო	2.2722
გირვანქა სტერლ.	3.4363
რუბლი	0.0650

ფართო საინფორმაციო სპექტრი, ანალიტიკა, საბიუჯეტო, საბანკო, ენერგეტიკული სფეროს მონიტორინგი, ჟურნალისტური გამოძიებები, კულტურისა და სპორტის სიახლეები, საკუთარი კორესპონდენტების მიერ მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან მოწოდებული უახლესი ამბები.

"24 საათის" დანართები – "სამართალი", "ბიზნესი", "დედაქალაქი", "მონადირე", "ავტომობილი", "ევროისტორია", "სპეცსამსახურები", "მეცნიერება და ტექნიკა", "გულახდილად".

ერთობლივი პროექტები "ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციასთან" და "სოროსის ფონდთან" განამარტავს მოქალაქეებს მათ უფლებებსა და მოვალეობებს, გაათვითცნობიერებს მათ სამართლებრივ და საბანკანათლებლო საკითხებში.

"24 საათი" ექსკლუზიურად აქვეყნებს ოფიციალურ დოკუმენტებს – პრეზიდენტის, მთავრობისა და სხვა სახელისუფლებო სტრუქტურების ბრძანებებს, დადგენილებებს, სახელმწიფო მნიშვნელობის ნორმატიულ აქტებს.

ხელშეკრულებები ხელმოწერის თაობაზე უნდა დაიდოს უშუალოდ გაზეთის დირექციასთან, რათა გამოირიცხოს გაუგებრობები და უზრუნველყოფილი იყოს მოწოდების სტაბილურობა.

24 საათი

ხელმოწერის ტარიფები: 1 თვით - 13 ლარი;
3 თვით - 39 ლარი;
6 თვით - 78 ლარი

რედაქციის მისამართი: ვაჟა-ფშაველას 45, მე-14 სართული
ტელეფონი: 20 24 24 ან 20 24 10
საბანკო რეკვიზიტები: "თიბისი" ბანკის ცენტრალური ფილიალი.
ბანკის კოდი: 220101000, ა/ა 28487440.

A2 ამბები A3 მთავარი თემა A4 ეკონომიკა A5 უცხოეთი A6 საზოგადოება A7 სამართალი A8 პროექტი

B2 რევიუ B3 რევიუ B4 სპორტი B5 სპორტი B6 ანკეტა B7 კვირის TV პროგრამა B8 სხვადასხვა

საქართველოზე პატარა, თუმცა ძლიერ განვითარებული ქვეყანა

საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის ისრაელში ვიზიტი დაგეგმილზე ადრე დასრულდა. "საქართველოზე პატარა, თუმცა ძლიერ განვითარებული ქვეყნით" აღფრთოვანებული მიხეილ სააკაშვილი თბილისში გუშინ გვიან ღამით დაბრუნდა...

მიხეილ სააკაშვილის ისრაელში ოფიციალური ვიზიტის მეორე დღეს, საქართველოს პრეზიდენტი მასპინძელი ქვეყნის პრემიერ-მინისტრს არიელ შარონს შეხვდა.

"ისრაელისთვის ძალზე მნიშვნელოვანია იმ ქვეყნის პრეზიდენტის ვიზიტი, სადაც ებრაელი ხალხი 26 საუკუნის მანძილზე უშფოთველად ცხოვრობდა. ჩვენ დაინტერესებულნი ვართ საქართველოსთან, როგორც სტრატეგიულ პარტნიორთან თანამშრომლობით," - განაცხადა დახურულ კარს მიღმა გამართული შეხვედრის შემდეგ ისრაელის პრემიერ-მინისტრმა.

თავის მხრივ, ამ შეხვედრით კმაყოფილებას გამოთქვამდა მიხეილ სააკაშვილიც: **"ჩვენ ახალი სახელმწიფოს მშენებლობის საქმეში თქვენი მხარდაჭერის იმედი გვაქვს."**

თუმცა, საქართველოს პრეზიდენტი არიელ შარონთან საუბრისას არ ივიწყებს იერუსალიმის ჯვრის მონასტერში შოთა რუსთაველის ფრესკის დაზიანების ფაქტს და დაჟინებით მოითხოვს, რომ დამნაშავეები გამოვლენილნი და დასჯილნი იყვნენ. ამასთანავე, სააკაშვილის თხოვნის საფუძველზე, მიღწეულია შეთანხმება, რომ ისრაელის მთავრობა საქართველოს კულტურის სამინისტროსთან ითანამშრომლებს და რუსთაველის ფრესკა უმოკლეს ვადებში აღდგება.

საქართველოს პრეზიდენტი კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს იმას, რომ ისრაელის სახელმწიფო მოწყობა, სამხედრო სისტემა და შემართება საქართველოსთვის სამაგალითოა.

"ჩვენ ძალიან დიდი გზა გვაქვს გასავლელი, მაგრამ როდესაც ისრაელი იწყებდა თავისი სახელმწიფოს შექმნას, მათაც ყველაფერი ნულიდან დაიწყეს, და ააშენეს დღევანდელი სახელმწიფო, რომელიც ჩვენზე პატარაა, ჩვენზე მჭიდროდ დასახლებული, მაგრამ ამხელა მნიშვნელობის მქონე," – ამბობდა იგი.

მანამდე კი მიხეილ სააკაშვილმა ისრაელის სამხედრო და საავიაციო ქარხნები დაათვალიერა და შეხვდა კომპანია "ელბიტ სისტემების" პრეზიდენტს.

"ისრაელის სამხედრო ქარხანა მსოფლიოს მასშტაბით ტექნოლოგიურად ერთ-ერთი ყველაზე დახვეწილი საწარმოა, საქართველო აღნიშნული ქარხნის მიმართ სერიოზულ ინტერესს იჩენს, ვინაიდან ქვეყანას იარაღი, პრაქტიკულად, აღარ დარჩა - საბჭოთა დროიდან შემორჩენილი იარაღი წინა ხელისუფლებამ პირადი გამორჩენის მიზნით მთლიანად გაყიდა, ამჟამად ქვეყანას მაქსიმალური კონცენტრაცია და არმიის აღმშენებლობისთვის ყველა რესურსის მობილიზება სჭირდება," - აღნიშნა პრეზიდენტმა ჟურნალისტებთან საუბრისას.

საავიაციო კონცერნის დათვალიერებისას მანვე გულისტკივილით აღნიშნა, რომ ქართველი მუშები, წინა ხელისუფლების წყალობით, მსოფლიოში ცნობილ თვითმფრინავებს ისრაელში აგებენ.

მიხეილ სააკაშვილი გუშინვე, ებრაელ ბიზნესმენებს შეხვდა. სპეციალურად ამ შეხვედრისათვის იერუსალიმში 100-ზე მეტი ებრაელი ბიზნესმენი საქართველოში საინვესტიციო პროექტების განხორციელების დაინტერესებით ჩავიდა.

ნინო გომართელი

ჩინეთის არმიის იუბილე თბილისშიც აღნიშნეს

1 აგვისტოს ჩინეთში სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის შექმნის 77-ე წლისთავს აღნიშნავენ. ამ თარიღთან დაკავშირებით, საქართველოში ჩინეთის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა, სუი ძიან გომ, სამხედრო ატაშე სუი ჩანძიუნთან ერთად, გუშინ მიღება გამართა. ღონისძიებას დაესწრნენ საქართველოში აკრედიტებული დიპკორპუსისა და სამხედრო მისიათა წარმომადგენლები.

საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსმა გივი იუკურიძემ ჩინეთის საელჩოს თანამშრომლებს საზეიმო თარიღი მიულოცა და თავის ჩინელ კოლეგას მისასალმებელი წერილი გადასცა.

"24 საათთან" საუბარში საქართველოში ჩინეთის ელჩმა ხაზი გაუსვა, რომ ორ ქვეყანას შორის ყოველთვის არსებობდა მეგობრული ურთიერთობები, რომელიც დღესაც გრძელდება. სუი ძიან გო მოხარულია, რომ საქართველოში მომხდარ რევოლუციურ ცვლილებებს ამ ურთიერთობებისთვის ხელი არ შეუშლია.

"ჩვენ საქართველოში არანაირი კომერციული ინტერესები არა გვაქვს, რაც იმის საწინდარია, რომ ჩინეთსა და საქართველოს მხოლოდ "მეგობრული ინტერესები" ამოძრავებთ," - აცხადებს ჩინელი დიპლომატი.

იგი მიესალმება იმ ფაქტს, რომ ახლო მომავალში საქართველოს ხელისუფლება ჩინეთში საელჩოს გახსნას აპირებს. სუი ძიან გოსთვის ცნობილია, რომ ამ საქმეს მხოლოდ ფინანსური პრობლემები აფერხებს. ამიტომ, იგი ქართულ მხარეს თანადგომას ჰპირდება. **"როდესაც საქართველოს მთავრობა ჩინეთში საელჩოს გახსნის გადაწყვეტილებას მიიღებს, შეძლებისდაგვარად დაგეხმარებით,"** - დასძენს ჩინეთის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი.

გიორგი ასანიშვილი

ორი სიტყვით

თბილისი. პარლამენტის წევრები ზვიად ძიძიგური, კახა კუკავა, კობა დავითაშვილი, ბიძინა გუჯაბიძე და რამდენიმე მაჟორიტარი დეპუტატი 2004 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში შესული დამატებითი შემოსავლებიდან პენსიების გაორმაგების და მინიმალური ხელფასის 115 ლარამდე გაზრდის საკითხს დასვამენ მთავრობის წინაშე. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის მეორე მოადგილე ევრაზიის ქვეყნების საკითხებში ელიზაბეტ ჯოუნსი დღეს თბილისს ეწვევა ერთდღიანი ვიზიტით. ჯოუნსი შეხვდება საქართველოს პრეზიდენტს მიხეილ სააკაშვილს და პარლამენტის თავმჯდომარეს ნინო ბურჯანაძეს. სახელმწიფო კანცელარიაში არ აკონკრეტებენ, თუ რა საკითხები განიხილება ამერიკელი სტუმრის საქართველოში ყოფნის დროს. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

სოხუმი. სოხუმის დე ფაქტო ხელისუფლების საგარეო საქმეთა მინისტრად 55 წლის იგორ ახბა დაინიშნა. ახალი „მინისტრი" პროფესიით იურისტია, დამთავრებული აქვს მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტი. 1992 წლიდან იგი რუსეთის ფედერაციაში აფხაზეთის თვითაღიარებული რესპუბლიკის სრულუფლებიან წარმომადგენლად მუშაობდა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. რუსეთის ელჩი საქართველოში ვლადიმერ ჩხიკვიშვილი "ფეთქებადსაშიშს" უწოდებს ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში არსებულ სიტუაციას. როგორც დიპლომატმა გუშინ ჟურნალისტებს განუცხადა, მდგომარეობა კონფლიქტის ზონაში შესაძლებელია ნებისმიერი მიმართულებით განვითარდეს და მხარეებს თავშეკავებისა და დიალოგის დაწყებისკენ მოუწოდა. რუსეთი ყოველთვის მხარეებს შორის დიალოგის და პრობლემის მშვიდობიანად გადაჭრის მომხრე იყო. ახლა კონკრეტული მოლაპარაკებების წარმართვის დრო დადგა, რომელშიც დაპირისპირებულ მხარეებს დაეხმარებიან რუსეთი და საერთაშორისო ორგანიზაციები, - განაცხადა ელჩმა. **პრაიმ-ნიუსი**

საქართველოს ეროვნული ბანკის შეტყობინება სახაზინო ვალდებულებების აუქციონზე გაყიდვის თაობაზე

სახაზინო ვალდებულებები 2 000 000 (ორი მილიონი) ლარის ოდენობით, რომლის დაფარვა განხორციელდება 2005 წლის 3 აგვისტოს, გამოტანილ იქნება N28 აუქციონზე, რომელიც შედგება 2004 წლის 4 აგვისტოს 10 საათზე.

დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ განაცხადი დადგენილი ფორმით წარუდგინონ საქართველოს ეროვნულ ბანკს კომერციული ბანკების მეშვეობით, არაუგვიანეს 2004 წლის 4 ივლისს 10 საათამდე.

აუქციონის შედეგები სახაზინო ვალდებულებების მყიდველ ბანკებს ეცნობებათ იმავე დღეს და გამოქვეყნდება მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით.

აუქციონში მონაწილეობის მსურველნი გაცნობილნი უნდა იყვნენ "საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ სახაზინო ვალდებულებების გამოშვების, განთავსების, მიმოქცევის, აღრიცხვისა და დაფარვის შესახებ" დებულებას და აღიარებდნენ მის სავალდებულო შესრულებას. განაცხადის ფორმების მიღება შეიძლება ეროვნულ ბანკში ან ნებისმიერ კომერციულ ბანკში.

აუქციონის კომიტეტი

აპოლიტიკური შეკითხვები

რამდენად ახლოს არიან ქართველი პოლიტიკოსები ცხოვრებასთან

ეკონომიკის და განვითარების მინისტრის პირველი მოადგილე ნათია თურნავა.

- ვინ არის ყველაზე ხელმოკლე ჩინოვნიკი საქართველოში?

- ვერ გეტყვით, არ ვიცი... ისე, ალბათ, არსებობს ასეთი პიროვნება.

- რა ღირს ერთი ცალი ასანთი?

- ათი თეთრი, ხუთი თეთრი.

- კილოგრამი პამიდორი?

- დაახლოებით, ლარიდან სამ ლარამდე. პირადად მე გუშინწინ 1,5 ლარად ვიყიდე.

- სჭირდება თუ არა საქართველოს ემანსიპირებული ქალები?

- ალბათ, არა. ემანსიპაციის უკიდურესი ფორმა - ფემინიზმი არ მომწონს.

- რა არის ქალის მთავარი პრობლემა თანამედროვე საქართველოში?

- ბალანსის მიღწევა სამსახურსა და ოჯახს შორის.

- როგორ ფიქრობთ, რა შემოსავალი უნდა ჰქონდეს დღეს საშუალო ოჯახს, თავის გატანა რომ მოახერხოს?

- 500-დან 1000 ლარამდე.

- ვისთან შეხვედრას ისურვებდით "24 საათის" ფურცლებზე?

- ნებისმიერ საქმიან ქალთან, რომელიც თანამედროვე ქალების პრობლემებზე ისაუბრებდა.



საქართველოს პარლამენტის საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარე რომან გოცირიძე.

- რა სპექტაკლი ნახეთ ბოლოს და რომელი პერსონაჟი დაგამახსოვრდათ?

- დაახლოებით, 20 დღის წინ მაკა მახარაძის საბავშვო ბალეტში ადაპტირებული "გედის ტბა" ვნახე. სპექტაკლი ორნაწილიანი იყო. მახსოვს, პირველ ნაწილს "ცუდი იხვი" ერქვა. ყველაზე უფრო დამამახსოვრდა ნომერ მეოთხე იხვი, რომელსაც ჩემი ქალიშვილი, ექვსი წლის ანა გოცირიძე ასახიერებდა.

- რა ღირს ჩვენს სავაჭრო ქსელში დაფასებული წიწიბურა?

- ლარი.

- ჩვეულებრივი ნათურა?

- 60 თეთრი. 50-იანიც არის და ლარიანიც. გააჩნია... ისე, გარდა ჩემი პროფესიისა (ეკონომისტობისა), მინდა გითხრათ, რომ კარგი მეოჯახე ვარ.

- ხასიათის ძირითადი თვისება, რომელიც თქვენი აზრით, ერთმანეთისგან განასხვავებს ქალისა და მამაკაცის ბუნებას?

- მამაკაცები თეატრალურები და პათეტიურები არიან. ამ თვისებას ისინი სუფრასთან იძენენ. თუმცა, პირადად მე ეს ყველაზე ნაკლებად მეხება.

- რატომ, სუფრასთან მოხვედრას ვერ ახერხებთ ხოლმე?

- არა, რას ბრძანებთ... "ხომ გაგიგიათ, მაგრამ მარტო წვრთნა რას უზამს, თუ ბუნებამც არ უშველა?"

- ვისთან შეხვედრას ისურვებდით ჩვენი გაზეთის ფურცლებზე?

- ოთარ ჭილაძესთან.

- თქვენ სამეგრელოში დაიბადეთ და გაიზარდეთ, თუ იცით, ბოლო წლებში როდის მოვიდა სიმინდის ყველაზე ცუდი მოსავალი ამ მხარეში?

- 1997-1998 წლებში

რუბრიკა მოამზადა ვერიკო თევზაძემ

მთავარი თემა

ტრანსნაციონალური დანაშაულის სახეობები აფხაზეთში

ინტერვიუ აფხაზეთის უშიშროების სამსახურის უფროსთან ლევან კიკნაძესთან

ნინო გომართელი

- რა სახის კონტრაბანდა ბრუნავს აფხაზეთის კონფლიქტის ზონაში და რა გზებით შემოდის?

- ჩვენი სამსახურის ინფორმაციით, კონტრაბანდის შემოტანის რამდენიმე ძირითადი გზა არსებობს. ეს არის ფსოუს საზღვარი, ზღვა, ენგურის ზოლი, ზაფხულში ასევე აქტიურია კავკასიონის უღელტეხილი.

რაც შეეხება კონტრაბანდის სახეობებს, ძირითადად, ეს არის სიგარეტის, საწვავის, ნარკოტიკებისა და იარაღის კონტრაბანდა, რომელიც აფხაზეთის გავლით შემოდის და ძალიან უარყოფითად მოქმედებს საქართველოს ეკონომიკასა და, ზოგადად, გარემოზე. კერძოდ, ამ კონტრაბანდის მოძრაობამ ენგურისპირის სრული კრიმინალიზაცია გამოიწვია, როგორც პარტიზანების და ადგილობრივი მაცხოვრებლების, ისე დევნილების, თავად აფხაზური მხარის და სამშვიდობო ძალების.

- რა მეთოდებით ხდებოდა აქამდე კონტრაბანდის წინააღმდეგ ბრძოლა და რა ვითარებაა ამჟამად?

- კონტრაბანდის წინააღმდეგ გასულ წლებში განხორციელებულმა ადმინისტრაციული მეთოდებით ბრძოლამ შედეგი არ გამოიღო, ახალმა ხელისუფლებამ ახლა დაიწყო ადმინისტრაციულთან ერთად სამართლებრივი ზომების გატარება მსხვილი კონტრაბანდისტების, ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფების, ადგილობრივი ხელისუფლების და სამართალდამცავი სტრუქტურების წევრების წინააღმდეგ, რამაც გაცილებით დიდი შედეგი გამოიღო და ახლა კონტრაბანდის მაჩვენებელი გაცილებით ნაკლებია.

- რა ინფორმაციას ფლობს თქვენი სამსახური აფხაზეთში ადამიანების ტრეფიკინგის შესახებ?

- ჩვენ გვაქვს ძალიან ბევრი სერიოზული მასალა იმის შესახებ, თუ როგორ იკარგება ხალხი აფხაზეთში. ისინი, ძირითადად, რუსი ეროვნების მოქალაქეები არიან. თუმცა, ბოლო პერიოდში აშკარად იმატა აფხაზეთში მოტყუებით ჩაყვანილი თურქი ეროვნების ადამიანების ტრეფიკინგმა. დიდი ხანია, იძებნება უამრავი ადამიანი, ძირითადად, მამაკაცები, ვინც აფხაზეთში ჩავიდა დასასვენებლად, ან მცირე ბიზნესის საწარმოებლად და მათ მიერ ამ ტერიტორიის დატოვება არსად აღრიცხულა. მე შემიძლია ზოგიერთი მათგანის გვარიც დაგისახელოთ, მაგალითად, ვლადიმერ ფედორჩენკო, ნიკოლოზ კაზაკოვი, ნიკოლოზ კვორცოვი, რომელთაც 2002 წლიდან ეძებენ, და ეს სია ძალიან დიდია. რასაკვირველია, არის შემთხვევები, როდესაც ჩვენ მიერ არაკონტროლირებად ტერიტორიაზე შეჰყავდათ ქალები და შემდეგ მათი თურქეთში გადაყვანა ხდებოდა.

- როგორია იარაღის კონტრაბანდის მოძრაობის გზები, რა მარშრუტები არსებობს?

- თავად დე ფაქტო ხელისუფლებას რომ შემოაქვს იარაღი, ეს არ არის კონტრაბანდა? თანაც, მას ამაში ეხმარება რუსეთი, ამიტომ არ არის აუცილებლობა ვეძებოთ მარშრუტები, თუ როგორ შემოედინება იარაღი. რაც მათ სჭირდებათ, უპრობლემოდ შემოდის რუსეთიდან. სხვათა შორის, გამწვავდა თუ არა ვითარება ე.წ. სამხრეთ ოსეთში, აფხაზეთში იარაღის, მძიმე ტექნიკის შეტანამ იმატა.

საქმე ისაა, რომ აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლებას არ აქვს იმის პრობლემა, რომ იარაღი უღელტეხილებზე ატაროს ან ვირებს გადაკიდოს ზურგზე, რადგან შემოაქვთ მატარებლით, მანქანით და თვითმფრინავით. ეს უკვე ოფიციალურად დაკანონებულია. დანარჩენი ჯგუფები კი, მაგალითად - ქიშმარია, ძმები კვეკვესირები, ძმები კირთაძეები - ესენი არიან უბრალო შემსრულებლები, რომლებიც ხელისუფლების დავალებას ასრულებენ და ამიტომაც მათ წინააღმდეგობას არავინ უწევს.

- რა ვითარებაა აფხაზეთში ნარკოტიკული ნივთიერებების კონტრაბანდის კუთხით, ან, ნარკოტიკების წარმოების მხრივ? გავრცელებული ინფორმაციით, სოხუმში ნარკოტიკების გადამამუშავებელი ქარხანა ფუნქციონირებს, დადასტურდა თუ არა ეს ინფორმაცია?

- ჩვენ ვერ დავადასტურეთ, რომ აფხაზეთში არის ასეთი ქარხანა, მაგრამ გვაქვს ინფორმაცია, რომ არსებობს პატარა-პატარა მანუფაქტურები, რომლებიც ყაყაჩოს და მსგავს ნივთიერებებს ამუშავებდნენ. ამის აუცილებლობა კი წარმოშვა იმან, რომ საერთოდ, ნარკომანიამ აფხაზეთში ძალიან დიდი მასშტაბები მიიღო. ბოლო გამოკვლევებით, მოსახლეობის 25 პროცენტი არის ნარკოტიკების მომხმარებელია, და მათ შორის უმეტესობა გოგონები არიან. გამორიცხული არ არის, აფხაზეთში ჰეროინი საქართველოდანაც შედიოდეს, ხოლო ყაყაჩოს თესლები ჩვენთან სწორედ იქიდან შემოდის.

არის საშიშროება იმისა, რომ აფხაზეთიდან საზღვარგარეთ რადიაქტიური ნივთიერებები გავიდეს. ცნობილია, რომ აფხაზეთის ომამდე, სოხუმის ფიზიკის ინსტიტუტის სპეციალურ ლაბორატორიაში მიმდინარეობდა ურანის გამდიდრება და, ჩვენი ინფორმაციით, იქ ორ კილოგრამამდე გამდიდრებული ურანი არსებობდა. კონფლიქტის მიმდინარეობისას, მისი ამოფრქვევა რომ არ მომხდარიყო, სამარხში მოათავსეს. შემდეგ ეს ურანი დაიკარგა. დღესდღეობით აფხაზები ამბობენ, რომ რადიაქტიური მასალები არ გააჩნიათ. საქართველოს ხელისუფლებამ, მდგომარეობის შესწავლის მიზნით, მათ მონიტორინგის ჩატარება შესთავაზა, მაგრამ უარი მიიღო. ჩვენ ვფიქრობთ, არის საშიშროება იმისა, რომ ნივთიერებები იქიდან საზღვარგარეთ გავიდეს.

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - გიორგი კალანდაძე, ნინო ნარჩემაშვილი, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე, ავთო შარვაშიძე კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

უეროვნებო კრიმინალი

საერთაშორისო მაფიის მიერ კარგად ორგანიზებული დანაშაულებრივი დაჯგუფებების საშუალებით, წლების წინ საქართველოშიც გაიკვალა კონტრაბანდული გზა, რომელიც, ძირითადად, საქართველოს ხელისუფლების არაკონტროლირებად ტერიტორიებზე – აფხაზეთსა და ე.წ. სამხრეთ ოსეთზე გაიდო. ამ კონტრაბანდულ "მოძრაობას" დიდი ინტერესი – დიდი ფული და მასზე მიბმული "დიდი პოლიტიკა" უდევს საფუძვლად.

საქართველოში ფეხმოკიდებულია ტრანსნაციონალური დანაშაულის რამდენიმე მსხვილი სახეობა – რადიაქტიური ნივთიერებების, იარაღისა და ნარკოტიკის კონტრაბანდა და ადამიანებით ვაჭრობა.

საქართველოში ტრანსნაციონალური დანაშაულის ერთ-ერთი ძირითადი არტერია - ცხინვალის რეგიონი, ბოლო დროს განვითარებული მოვლენების გამო, ჩრდილში მოექცა, კონტრაბანდული გადაადგილებები შეჩერებულია, ხოლო წამყვან კონტრაბანდისტთა დიდი ნაწილი - განიარაღებული. ჯერჯერობით, კვლავ უკონტროლო ზონად რჩება აფხაზეთის რეგიონი.

თუმცა, აფხაზეთში ნარკოტიკებისა და იარაღის კონტრაბანდას ახლა ახალი სახეობა - რადიაქტიური ნივთიერების კონტრაბანდა ცვლის.

რუსეთის ჯარის ნაწილების უდიდესი ნაწილის გასვლისა და ბირთვული იარაღის გატანის შემდეგ აღნუსხულია რუსეთის ჯარების მიერ საქართველოში დატოვებული რადიაქტიური მასალების აღმოჩენის 197 შემთხვევა. ეს მასალები წარმოადგენდა რადიაციის როგორც სუსტ, ისე ძლიერ წყაროებს. ექსპერტებმა დაასკვნეს, რომ საერთაშორისო საზოგადოებას რეალური საფრთხე დაემუქრება იმ შემთხვევაში, თუ ამ რადიაქტიური მასალების კონტრაბანდული გზით გატანა მოხდა, რადგან შესაძლებელია, მოხდეს "ჭუჭყიანი ბომბის" დამზადება და ის გამოიყენონ ტერორისტული თავდასხმებისთვის დასავლეთსა და რუსეთში. არაკონტროლირებადი ტერიტორიები ყველაზე ხელსაყრელია მსგავსი სახის მასალების კონტრაბანდისათვის. კონტრაბანდისტებმა აფხაზეთში მდებარე ლაბორატორიებიდან რადიაქტიური ნივთიერების – ურანის პირველი პარტია წლების წინ გაიტანეს. საქართველოს სპეცსამსახურებში არსებული ინფორმაციით, რადიაქტიური მასალების 244-მდე სახეობა, გამდიდრებული ურანის ჩათვლით, სოხუმის ინსტიტუტში ინახებოდა და ისინი ერაყში ტერორისტებს მიჰყიდეს.

რადიაქტიური ნივთიერებებისგან განსხვავებით, გაცილებით "გამჭვირვალე" მომხდარი კონფლიქტის საფუძველზე მოკლეს.

გავრცელებული ინფორმაციით, "ზვიადისტებიდან" ლიდერის პოზიცია ეკავათ ახლა უკვე შემორიგებულ გოჩა გვილავას – "კინგ-კონგას" და გია გვაზავას დაჯგუფებას.

ნოემბრის რევოლუციის შემდეგ, ხელისუფლებამ ყველა ჩამოთვლილი ქართული დაჯგუფების განიარაღება შეძლო, თუმცა, ამით აფხაზური დაჯგუფებების კონტრაბანდული საქმიანობა არ შეზღუდულა. მეტიც, მათ გაამსხვილეს კიდეც მოქმედების არეალი, რადგან არსებული ინფორმაციით, ქართველ კრიმინალთა მიერ გამოთავისუფლებული სფეროები მათ გამგებლობაში გადავიდა.

ტრანსნაციონალური დანაშაულით დასაქმებული ქართულ-აფხაზური დაჯგუფებები

ᲕᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

კიდევ ერთი ძლიერი ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფის მეთაურია ოთარ ტურნანბა, რომელსაც, ასევე, სეპარატისტული ხელისუფლების უშიშროების სამინისტროს მაღალი თანამდებობა ეკავა.

ტურანბას რაზმს არძინბას თავდაცვის სამინისტროს სარდალი, გენერალი ანუა უწევდა მფარველობას.

დასახელებულ აფხაზურ დაჯგუფებებთან კონტრაბანდული საქმიანობით დაკავშირებული იყვნენ ქართული დანაშაულებრივი ჯგუფები. ისინი ერთობლივად მოქმედებდნენ და მათი სამოქმედო სფეროები და ტერიტორიები დანაწილებული გახლდათ. ქართული ჯგუფები, ძირითადად, სამეგრელოს რეგიონის წარმომადგენლებით იყო დაკომპლექტებული. მსხვილ კონტრაბანდულ საქმიანობაში აქტიურად იყვნენ ჩაბმული პარტიზანული ჯგუფები და ე.წ. "ზვიადისტები". ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში წარმოებულ კონტრაბანდაში წამყვანი პოზიცია "ტყის ძმებს" ეჭირათ. გალის რაიონის ზედა და ქვედა ზონებს სწორედ "ტყის ძმები" აკონტროლებდნენ. საქართველოს უშიშროების ყოფილმა მინისტრმა ვალერი ხაბურძანიამ "ტყის ძმების" ლიდერი დავით შენგელია და მისი რაზმი ღიად არაერთხელ დაადანაშაულა კონტრაბანდაში. მისი თქმით, შენგელია კონტრაბანდის 30 პროცენტს აკონტროლებდა.

მოგვიანებით, "ტყის ძმები" ორ ნაწილად გაიყო და კონტრაბანდულ "მოძრაობას" ტყის ძმების ყოფილი წევრების - სლავა ბიგვავას და ბაკურ ბულესკერიას ჯგუფები შეემატნენ. სხვათა შორის, არსებული ინფორმაციით, შენგელიასა და ბიგვავას, სფეროების გადანაწილების გამო, სერიოზული უთანხმოება ჰქონდათ.

ზუგდიდში მოქმედებდა კიდევ ერთი ქართული შეიარაღებული დაჯგუფება, რომელსაც ყოფილი მხედრიონელი ბადრი ზარანდია მეთაურობდა. 2002 წლის იანვარში იგი დაუდგენელმა პირებმა მოკლეს. არსებული ვერსიით, იგი სწორედ იარაღის კონტრაბანდის გამო

ქართულ-ოსური დაჯგუფებები

ერგნეთის ბაზრობის გადაღება მხოლოდ ასე - მიმავალი მანქანის ფანჯრიდან იყო შესაძლებელი

ᲕᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

ყოფილი თანამშრომელი ლიანგი ჭავჭავაძე. შპს "ექსპრესსერვისი", რომელიც განლაგებული იყო ერგნეთის ბაზრობასთან, საგზაო პოლიციის პოსტის გვერდით, კლიენტებს სთავაზობდა ტვირთის უსაფრთხო გადაზიდვას. ფირმას ბაზრის დირექტორის ძმისშვილი ხელმძღვანელობდა. ფირმა კლიენტებს სთავაზობდა არალეგალური საქონლის გაცილებას გარკვეულ საფასურად. ტვირთებს კი, ძირითადად, საგზაო პოლიციის, უშიშროებისა და საგანგებო ლეგიონის წარმომადგენლები აცილებდნენ.

ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში მოქმედი ქართული დანაშაულებრივი ჯგუფები ოს კრიმინალებთან აქტიურად თანამშრომლობდნენ.

ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული დაჯგუფება იყო "რობოტას" 40-კაციანი, კარგად

შეიარაღებული ჯგუფი. ნიკოლოზ ხმიადაშვილი, მეტსახელად "რობოტა" და გიორგი დურგლიშვილი, მეტსახელად "კოხტა", ანტიკრიმინალური ოპერაციისას დაკავეს. მათი დაკავების ოფიციალურ მოტივად იარაღისა და ნარკოტიკების უკანონო შენახვა დასახელდა. ეს იყო სერიოზული კრიმინალური ჯგუფი, რომელიც ერგნეთის ბაზრობიდან ტვირთებს აცილებდა და ლეგალური ბიზნესით დაკავებულ მეწარმეებს სერიოზულ პრობლემებს უქმნიდა. ქართლის ყოფილმა გუბერნატორმა, ირაკლი ოქრუაშვილმა, განაცხადა, რომ დამნაშავეებს მფარველობდა რეგიონული პოლიტიკისა და მართვის სამსახურის ყოფილი ხელმძღვანელი ირაკლი ბოჭორიძე. სახელმწიფო კანცელარიაში ამ დაჯგუფების მიერ ყოველთვიურად მიტანილი წილი 20-30 ათას აშშ დოლარს შეადგენდა.

გავრცელებული ინფორმაციით, „რობოტას" დაჯგუფება მონაწილეობდა ნარკოტიკებით ვაჭრობაშიც. სამართალდამცველთა ინფორმაციით, „რობოტას" ჯგუფის ერთ-ერთი ლიდერი, "უხალისოს" ზედმეტსახელით ცნობილი გუჯა ჩოხელი-ხუბაშვილი, წარმოშობით ოსი, ვაჭრობდა ნარკოტიკული საშუალება "მეტადონით", რომელიც საქართველოში ცხინვალიდან შემოჰქონდა. ჩოხელთან ერთად სამართალდამცველებმა დააკავეს "ერგნეთის საძმოს" ერთ-ერთი აქტიური წევრი დავით ბერიძე, მეტსახელად "ლაწა".

რობოტას ჯგუფს მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა "ძიკების" დაჯგუფებასთან, რომელსაც კოკოითის უშიშროების საბჭოს მდივნისა და სპეცრაზმის უფროსის ძმები ძიგოევები მეთაურობდნენ. ეს ჯგუფი აკონტროლებდა იარაღისა და ნარკოტიკის კონტრაბანდას. ექსპერტთა აზრით, აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონებში იარაღითა და ნარკოტიკებით არალეგალური ვაჭრობა კონტრაბანდის კიდევ ერთი გავრცელებული სახეა. ბოლო რამდენიმე წლის მანძილზე აფხაზეთში ნარკომაფიის მასშტაბები მნიშვნელოვნად გაფართოვდა. საერთაშორისო ექსპერტთა დასკვნით, საქართველოს კონფლიქტის ზონებში, კერძოდ, აფხაზეთში ფეხს იკიდებს ტრეფიკინგი. ქართველმა სამართალდამცველებმა, ამ მხრივ, რამდენიმე ფაქტის გამოვლენა შეძლეს.

ᲕᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

ჯგუფი აკონტროლებდა იარაღისა და ნარკოტიკის კონტრაბანდას. ალან ძიგოევის ჯგუფი გატაცებული მანქანებით ვაჭრობაში "რობოტას" ძირითადი პარტნიორი იყო. ალან ძიგოევმა ჩამოაყალიბა კარგად ორგანიზებული დანაშაულებრივი ქსელი, რომელიც ადამიანებით ვაჭრობას ეწეოდა.

ძიგოევის ჯგუფს ჯერ თავად კოკოითი დაუპირისპირდა, მოგვიანებით კი, მისი ლიკვიდაცია ქართველმა სამართალდამცველებმა მოახერხეს. ალან ძიგოევი ზუგდიდში დააპატიმრეს და მან ორთაჭალის საპყრობილეში თავი მოიკლა.

"რობოტას" ორგანიზებული დანაშაულებრივი ბანდის წევრად ითვლებოდა გიორგი დურგლიშვილის - "კოხტას" დაჯგუფება. სწორედ "კოხტას" კრიმინალური ჯგუფი აკონტროლებდა შპს "ექსპრესსერვისს", რომელიც არალეგალური ტვირთების "უსაფრთხო" გადაადგილებას უზრუნველყოფდა.

ოსური კრიმინალური დაჯგუფებიდან გამორჩეული იყო ძმების, მარეკ და ერიკ დუდაევების ბანდიტური დაჯგუფება. მარეკ დუდაევიც კოკოითის სპეცრაზმის უფროსი იყო და ოსური მხარის ხელშეუხებლობით სარგებლობდა.

ყველაზე გავლენიანად ითვლება ე.წ. დგვრისის ბანდა, რომელსაც ალან დრიაევი ხელმძღვანელობდა. ბანდის წევრები არიან ნუგზარ ჯიოევი, გრიგოლ და მიხეილ ხუბაევები, ედიკ ცხოვრებოვი და ხე-ტყის გადამამუშავებელი საამქროს ყოფილი დირექტორი, მეტსახელად "მალიშა".

გავლენიან კრიმინალურ დაჯგუფებას წარმოადგენს "ტექსტილშრიკების" დასახლებაში მცხოვრები ჯგუფი "ნადეჟდა". ჯავის რაიონში სიტუაციას აკონტროლებს შეიარაღებული დაჯგუფება ალან ბაგიევის ხელმძღვანელობით; ზნაურის რაიონში შეიარაღებულ რაზმს მეთაურობს სლავიკ თაგილოვი.

ცხინვალის რეგიონის შავ ბიზნესს მფარველობს ე.წ. "სპორტული მაფია", რომელსაც სათავეში უდგას რუსეთის თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა ნაკრების მთავარი მწვრთნელი ჯამბულ თედეევი. ამ ჯგუფში შედის ე.წ. სამხრეთ ოსეთის საგანგებო დანიშნულების მილიციის ყოფილი შეფი ლოხა ჩიბიროვი.

ჩამოთვლილი დაჯგუფებები აკონტროლებდნენ ერგნეთის ბაზრობას, როკის გვირაბს, ჩაბმული იყვნენ (მათი ნაწილი ახლაც აგრძელებს ამ საქმიანობას) იარაღისა და ნარკოტიკის კონტრაბანდაში, ვაჭრობდნენ ადამიანებითა და გატაცებული მანქანებით.

კონტრაბანდული გზები



საქართველოს სამართალდამცველ სტრუქტურებში არსებული ინფორმაციით, საქართველოში კონტრაბანდული ტვირთების შემოდინება, ძირითადად, რუსეთიდან და თურქეთიდან ხდება. გარდა იმ ცენტრალური მაგისტრალებისა, სადაც საბაჟო სამსახურები და საკონტროლო-გამშვები პუნქტები ფუნქციონირებს, არსებობს კონტრაბანდული შემოვლითი გზებიც, რომლებსაც კონდრაბანდისტები აქტიურად იყენებენ. ცხინვალში არსებული 60-ზე მეტი შემოვლითი გზიდან, დაახლოებით, 40 - შიდა ქართლის ყოფილმა გუბერნატორმა ააფეთქა და ჩახერგა.

როგორც ცნობილია, არაკონტროლირებადი ტერიტორიიდან შემომავალი კონტრაბანდული ტვირთების უდიდესი ნაწილი ერგნეთის ბაზრობის გავლით მოდიოდა. კონტრაბანდის შემოსვლის გზებია:

წითელი ხიდი (სადაც ახლა უკვე გამკაცრებულია კონტროლი);

აფხაზეთის საზღვარი რუსეთთან, გასასვლელი ზღვაზე; ფოთი - გასასვლელი ზღვაზე;

ახალციხე - საზღვარი თურქეთთან;

ყაზბეგი (კონტროლი აქაც გამკაცრებულია) - საზღვარი რუსეთთან;

ლაგოდეხი - საზღვარი აზერბაიჯანთან;

ჯანდარა - საზღვარი აზერბაიჯანთან;

ნინოწმინდა - საზღვარი სომხეთთან.

აფხაზეთის ტერიტორიაზე კონტრაბანდული ტვირთების შეტანის ძირითადი პუნქტებია

საქართველო-რუსეთის საზღვრის აფხაზეთის მონაკვეთი: მდინარე ფსოუ და კავკასიის უღელტეხილები;

საზღვაო აკვატორია: გაგრის, გუდაუთის, სოხუმის, ოჩამჩირის პორტები;

ცხინვალის რეგიონზე გამავალი კონტრაბანდული გზების მარშრუტი ასეთი იყო:

ვლადიკავკაზი-როკის გვირაბი-ცხინვალი-ერგნეთის ბაზრობა-თბილისი, საიდანაც ტვირთი მთელი საქართველოს მასშტაბით ვრეცელდებოდა.

კონტრაბანდული ტვირთბრუნვის 60-70 პროცენტი საზღვაო აკვატორიით ხორციელდება. აფხაზეთში ფუნქციონირებადი ნავსადგურებიდან თავისი შესაძლებლობებით ყველაზე მნიშვნელოვანია სოხუმის ნავსადგური, რომელსაც დიდტონაჟიანი გემების მიღება შეუძლია. საქართველოს დაზვერვის სახელმწიფო დეპარტამენტის ოპერატიული ინფორმაციის თანახმად, 40-მდე გემი ინტენსიურად მოძრაობს აფხაზეთის წყლებში. სოხუმის ნავსადგურში, ყოველკვირეულად, საშუალოდ, 3-5 გემი შედის, რომლებიც უკანონოდ კვეთენ საქართველოს საზღვარს.

საერთაშორისო ტერორიზმის საფრთხე

ნოემბრის რევოლუციის შემდეგ მოსულმა ახალმა ხელისუფლებამ, კონკრეტულად, უშიშროების სამინისტრომ აფხაზ სეპარატისტთა სპეცსამსახურების აგენტი, ვინმე ნაიდაბოროვი დააკავა. არძინბას სპეცსამსახურის დავალებით, ნაიდაბოროვი, რომლის ფსევდონიმიც იყო "ბალკარი", უნდა ჩასულიყო პანკისის ხეობაში, გაცნობოდა ადგილობრივ ჩეჩნებს, რომელთა ვინაობაც ზუსტად უნდა დაემახსოვრებინა. ამის შემდეგ, უნდა ჩამოსულიყო თბილისში და მოსკოვის ტერაქტის წინა დღეს - 5 თებერვალს უნდა მისულიყო რუსეთის საელჩოში, სადაც ტუბ-ს წარმომადგენელთან შეხვედრას მოითხოვდა. ნაიდაბოროვს ტუბ-ს თანამშრომლისთვის "საიდუმლო" ინფორმაციის მიწოდება ევალებოდა. "ბალკარის" შეტყობინების მიხედვით, რუსეთში განხორციელდებოდა ორი ტერაქტი - ერთი მოსკოვში, ხოლო მეორე სტავროპოლში მდებარე ერთ-ერთ დიდ ბაზრობა "ლიუდმილაზე". თანაც, "ბალკარს" შემსრულებელთა ვინაობაც - პანკისის ხეობაში მცხოვრებ ლტოლვილ ჩეჩენთა გვარები უნდა დაესახელებინა.

ამ ტერორისტული "სპექტაკლის" მიზანი ის გახლდათ, რომ საერთაშორისო ტერორისტულ პროცესებში საქართველოს გარევა დაფიქსირებულიყო, რასაც საერთაშორისო ასპარეზზე ქვეყნის იმიჯის შელახვა მოჰყვებოდა. ეს იყო პირველი შემთხვევა, როდესაც ქართულმა სპეცსამსახურმა ჯაშუში დაიკავა.

"აფხაზეთის რეგიონი სხვადასხვა ჯურის დამნაშავეთა თავშესაფრად და ისლამის რადიკალთა ძირითად დასაყრდენ ცენტრად იქცა. ისინი რუსული პასპორტებით არიან შეიარაღებულნი," – უშიშროების სამინისტროში ასეთი ინფორმაცია ახლაც დევს. ამავე ოპერატიული ცნობით, რუსეთი საქართველოს ბრალს სდებდა და სდებს საერთაშორისო ტერორიზმის მფარველობაში, მაშინ, როცა აფხაზეთის ტერიტორიაზე რუსეთი კრიმინალ-ვაჰაბიტებს, **"მათ შორის, არაბული ეთნოსის წარმომადგენლებს, ისევე როგორც აფხაზეთის დანარჩენ მოქალაქეებს, რუსულ პასპორტებს ურიგებს და ამით თავად ახდენს ტერორისტების საქმიანობის ლეგალიზებას".**

"მე არაერთხელ მითქვამს, წლების წინ უსაფრთხოების ენგურის ზოლის კრიმინალიზაცია მოხდა-მეთქი. ტერიტორია, რომელსაც ჩვენ ვერ ვაკონტროლებთ, საერთაშორისო ტერორიზმის ბუდედ იქცა. აფხაზეთი საერთაშორისო ძებნილების თავშესაფარი გახდა, მათ შორის არიან რუსეთის მიერ ძებნილებიც. ჩვენ გვაქვს ოპერატიული ინფორმაცია, რომ აფხაზეთის ტერიტორია გამოიყენებოდა იარაღისა და ნარკოტიკების გადატანის, ასევე, ბოევიკთა გადასროლის დერეფნად. ამ საქმისთვის ყველაზე წარმატებულადაა გამოყენებული საზღვაო აკვატორია," – აცხადებს აფხაზეთის უშიშროების სამსახურის უფროსი ლევან კიკნაძე.

არსებული ინფორმაციით, ქართველმა ძალოვანებმა აფხაზეთის არაკონტროლირებად ტერიტორიაზე უკანონო შეიარაღებული ფორმირებების ოცამდე წევრი დაიკავეს.

თავად რუსებმა დააკავეს ვინმე რუსლან ელმურზაევი, რომელიც მონაწილეობდა "ნორდ-ოსტის" გახმაურებულ ტერორისტულ აქტში. იგი იყო ბარაევის მოადგილე და რუსმა სამართალდამცველებმა სოხუმში მცხოვრები ფუად ხუნოვის სახელზე გაცემული მისი პასპორტი აღმოაჩინეს.

ცნობილია ის ფაქტიც, რომ "ალ ქაიდას" ერთ-ერთი ცნობილი ლიდერი, ტერორისტი მუჰამედ ემინ თოკჯანი, იგივე გუტბა, თურქეთის ციხიდან გაქცევის შემდეგ თავს სწორედ აფხაზეთს აფარებდა. იგი აფხაზეთში რამდენიმე ვაჰაბიტურ დაჯგუფებას აერთიანებდა და მათი ლიდერიც იყო. ფხაზეთში მას ფუნდამენტალისტთა რელიგიურ ემისარსაც უწოდებდნენ. საქართველოში "ალ ქაიდას" ტერორისტების ყოფნის შესახებ განცხადება საფრანგეთის შს მინისტრმა ნიკოლას სარკოზამაც გააკეთა.

საქართველოს სპეცსამსახურებში არსებული ინფორმაციით, გუდაუთის რაიონში მოქმედ ვაჰაბიტთა დაჯგუფებას ლიდერობდა იმამად აღიარებული რაკი გიცბა, რომელსაც ორი პასპორტი ჰქონდა და თავისუფლად გადადგილდებოდა რუსეთშიც. გიცბა რუსეთ-ჩეჩნეთის პირველ ომშიც იღებდა მონაწილეობას და ჩეჩენი საველე მეთაურის, არბი ბარაევის ისლამური პოლკის შემადგენლობაშიც იმყოფებოდა.

აქცია "გზები - 2004" გრძელდება

დიანა ჩაჩუა

საავტომობილო გზების დეპარტამენტმა მორიგი გასვლითი აქცია, სახელწოდებით „საქართველოს გზები-2004", დასავლეთ საქართველოს მიმართულებით გუშინ დაიწყო. ჟურნალისტებს და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებს ორი დღის განმავლობაში გააცნობენ იმ სამუშაოებს, რომლებსაც დეპარტამენტი ამ მხარეში ასრულებს. დეპარტამენტის თავმჯდომარის რომან დალაქიშვილის განცხადებით, ხსენებული აქციების ძირითადი მიზანია არასამთავრობოების მხრიდან დეპარტამენტის საქმიანობაზე მონიტორინგის დაწესება. აღდგენითი და სარეაბილიტაციო სამუშაოები ამჟამად აქტიურად მიმდინარეობს თბილისი-სენაკი-ლესელიძისა და სენაკი-ფოთი-სარფის ავტომაგისტრალების რამდენიმე მონაკვეთზე.

საქართველოს მასშტაბით გზების შეკეთებას აფინანსებს მსოფლიო ბანკი, კუვეიტის ფონდი და საგზაო ფონდი. დღეისთვის, მსოფლიო ბანკის დაფინანსებით, უკვე დასრულდა თბილისი-სენაკი-ლესელიძის გზის 11-კილომეტრიანი მონაკვეთის რეაბილიტაცია. ამავე გზის 298 კილომეტრის ნიშნულზე, მდინარე ცივზე აიგო ახალი საავტომობილო ხიდი.

დასრულდა ახალი ხიდის მშენებლობა სენაკი-ფოთი-სარფის გზაზე, კერძოდ, მდინარე კაპარჭაზე, რასაც მთლიანად კუვეიტის ფონდი აფინანსებდა.

საგზაო დეპარტამენტის ხელმძღვანელობა დღეს აჭარაში ჩატარებულ და მიმდინარე საგზაო სამუშაოებსაც მოინახულებს. ამ დროისთვის რეგიონში გზის რამდენიმე მნიშვნელოვანი მონაკვეთის რეაბილიტაცია მიმდინარეობს. აჭარაში, დაახლოებით, 16 კილომეტრი გზის მონაკვეთი და ორი ხიდი უკვე აღდგენილია, რომლის ხარჯები – 2 მილიონ 300 ათასი ლარი მთლიანად საგზაო ფონდმა გაიღო. დეპარტამენტის თავმჯდომარის რომან დალაქიშვილის თქმით, წლის ბოლომდე რეგიონში კიდევ 2 მილიონის ღირებულების სამუშაოები შერულდება. უახლოეს მომავალში სარფი-ბათუმის საავტომობილო გზის მონაკვეთის აღდგენა დაიწყება.

აღსანიშნავია, რომ აჭარაში აბაშიძის 13-წლიანი მმართველობის დროს ამ კუთხით არანაირი სამუშაოები არ ჩატარებულა.

წელს, საქართველოს მასშტაბით, სულ 300 კილომეტრის გზისა და 40-მდე ხიდის რეაბილიტაცია იგეგმება. საჭირო ფინანსებს მსოფლიო ბანკი, კუვეიტის ფონდი და საგზაო დეპარტამენტი გამოყოფს, შესაბამისად - 32, 9 და 20 მილიონი, სულ 61 მილიონი ლარი. აქედან 8 მილიონი, რომან დალაქიშვილის თქმით, სტიქიით დაზიანებულ რეგიონებში, მათ შორის, მესტიაში გზების რეაბილიტაციას მოხმარდება.

ამ დროისთვის, დაახლოებით, 100 კილომეტრი გზის მონაკვეთია აღდგენილი.

"იუკოსის" სკანდალი ნავთობის ფასს კიდევ უფრო მაღლა სწევს

ჯერჯერობით გაურკვეველია, რამ შეიძლება შეაჩეროს "შავი ოქროს" კატასტროფული გაძვირების პროცესი. ბარელი ნედლი ნავთობის ფასი უკვე დიდი ხანია გასცდა "ფსიქოლოგიურ" ზღვარს - 40 დოლარს. ახლახან კი იგი სარეკორდო მაჩვენებელზე, 43,05 დოლარზე ავიდა. მოგვიანებით, ფასმა შედარებით დაიწია, მაგრამ საერთო აზრით, ეს მხოლოდ დროებითი შეღავათია.

თორნიკე შარაშენიძე

ფასების სარეკორდო აწევა რუსეთიდან მოსულმა საგანგაშო ცნობებმა განაპირობა. როგორც იუწყებოდნენ, კრემლმა "იუკოსს" ნავთობის ექსპორტირების შეწყვეტა უბრძანა. თუკი გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ შერისხულ კომპანიას ყოველდღიურად ბაზარზე 1,7 მილიონი ბარელი გააქვს, ბირჟების პანიკური რეაქცია გასაკვირი არ უნდა იყოს. მოგვიანებით, მოსკოვმა განაცხადა, რომ იგი არ უკრძალავს "იუკოსს" ნავთობის მოპოვებას და პანიკა შედარებით ჩაწყნარდა, მაგრამ მთელ რიგ მიზეზთა გამო, ვითარება მაინც კრიტიკულია.

უპირველეს ყოვლისა, ყველასათვის აშკარაა, რომ ნავთობზე მოთხოვნილება მიწოდებას აშკარად აჭარბებს. ეს გამოწვეულია არნახული ზრდით ჩინეთის ეკონომიკაში და ასევე აშშ-ს ეკონომიკაში დაფიქსირებული აღმასვლით (რასაც ორივე ქვეყანაში ნავთობზე მოთხოვნილების ზრდა ახლავს თან). აშშ, როგორც მსოფლიოს უმდიდრესი ქვეყანა, გლობალური ეკონომიკის ბარომეტრია და ცნობა მისი ეკონომიკის გაჯანსაღების შესახებ საერთოდ ოპტიმიზმს იწვევს ხოლმე, მაგრამ ამჯერად მას შეშფოთებაც ახლავს.

გარდა ამისა, "იუკოსის" საქმე ბოლომდე გარკვეული არაა. არავინ იცის, როდის შეჩერდება კრემლის ბრძანებით ამ კომპანიის მუშაობა. რუსეთს ყველაზე მეტად აძლევს ხელს ნავთობის გაძვირება (ნავთობდოლარები მისი მთავარი შემოსავალია), რაც აუცილებლად მოჰყვება "იუკოსის" საბოლოო კატასტროფას, რის შემდეგაც კომპანიის ქონებას კრემლის ფავორიტი კომპანიები ჩალის ფასში დაიტაცებენ.

კვლავ არასტაბილურია ვითარება ახლო აღმოსავლეთში. ერაყი ნავთობის ინფრასტრუქტურაზე ახალი თავდასხმებისაგან არანაირად არ არის დაზღვეული. გარდა ამისა, ტერაქტები უკვე საუდის არაბეთშიც ხორციელდება, რომელიც რუსეთთან ერთად ნავთობის უდიდესი ექსპორტიორია.

და, რაც ალბათ ყველაზე მთავარია, საერთაშორისო თანამეგობრობას, პრაქტიკულად, გამოეცალა ნავთობის ფასებზე ზემოქმედების ის ბერკეტი, რასაც ოპეკი ჰქვია. ამის მიზეზი მარტივია - ოპეკს ნავთობმოპოვების გაზრდის პოტენციალი აღარ დარჩა. ორგანიზაცია ახლა დღეში 30 მილიონ ბარელს მოიპოვებს, რაც 1979 წლის შემდეგ ყველაზე მაღალი მაჩვენებელია.

სპეციალისტები თავს იმით იიმედებენ, რომ 70-იანი წლების კრიზისულ ვითარებასთან შედარებით, ნავთობის რეალური ფასი დაბალია იმ ინფლაციის გათვალისწინებით, რომელსაც იმ პერიოდის შემდეგ ჰქონდა ადგილი. მაგრამ, თუკი ზემოთ ჩამოთვლილი გარემოებებიდან რომელიმე სასიკეთოდ არ შეიცვალა, ნავთობის ფასებს ველარაფერი დააკავებს, მით უმეტეს, ზამთრის პერიოდში, როცა საწვავზე მოთხოვნილება გაიზრდება.

ორი სიტყვით

ბორჯომი. კომპანია "British Petroleum"-ი ბორჯომის ხეობაში ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის მშენებლობას, სავარაუდოდ, მომავალი კვირიდან განაახლებს. გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის თამარ ლებანიძის თქმით, კომპანიამ უკვე წარმოადგინა დამატებითი დოკუმენტაცია გარემოსდაცვითი ნებართვის მე-9 პუნქტის შესრულებასთან დაკავშირებით, რომელიც გარემოს დაცვის დისფაქტორების ნულოვან დონემდე დაყვანას ითვალისწინებს. აღნიშნული პირობის შესრულებასთან დაკავშირებით, დაახლოებით 1 კვირის წინ გარკვეული პრობლემები წარმოიქმნა, რის გამოც სამინისტრომ ინვესტორს ბორჯომის რეგიონში სამშენებლო სამუშაოების დროებითი შეჩერების მოთხოვნით მიმართა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. პარლამენტარი ზურაბ ტყემალაძე იმედს გამოთქვამს, რომ ათასწლეულის გამოწვევის პროგრამით გათვალისწინებულ თანხას საქართველო რაციონალურად გამოიყენებს. "სასურველია, თავდაპირველად ადგილობრივი სამეწარმეო საქმიანობასა და ეკონომიკის განვითარებაზე ვიზრუნოთ, რათა საკუთარი, ეროვნული ვალუტის სიმყარე დამოკიდებული იყოს ადგილობრივ პროდუქციაზე და არა ნაჩუქარ, ნასესხებ თუ ნათხოვარ თანხებზე", - აცხადებს პარლამენტარი. როგორც ცნობილია, ამ ათასწლეულის გამოწვევის პროგრამით, საქართველომ შესაძლოა 400 მლნ დოლარი მიიღოს. ეს თანხა სახელმწიფო ორგანოების რეორგანიზაციის, ინფრასტრუქტურისა და რეგიონული საინვესტიციო ფონდის შექმნაზე დაიხარჯება. **მედია-ნიუსი**

რა უშლის ხელს ქვეყანაში მიკროსაწარმოების განვითარებას?

მარიამ ჯაჭვაძე

საქართველოში დღეს მიკროსაფინანსო სესხებზე მოთხოვნა რეალურ მიწოდებაზე 238 მილიონი დოლარით ნაკლებია. ასეთ დასკვნას "ქემონიქს ინტერნეიშენალი" სპეციალური კვლევის შედეგებზე დაყრდნობით აკეთებს. მკვლევარებისთვის, მათივე თქმით, ასეთი შედეგი მოულოდნელი არ ყოფილა. გუშინ სასტუმრო "მერიოტ ქორთიარდში" ამ კვლევის შედეგების პრეზენტაცია მოეწყო.

საქართველოში მცირე სესხებზე არსებულ მოთხოვნასა და მიწოდებას შორის 238 მილიონი აშშ დოლარის გარღვევა აღმოჩნდა.

მიკროსაწარმოთა თანამშრომლებს შორის გამოკითხვა ჩატარდა საქართველოში მიკროდაფინანსების სტაბილიზაციისა და გაუმჯობესების ეგიდით. ეს არის USAD-ის მიერ დაფინანსებული 10 მილიონდოლარიანი პროექტი, რომელიც მიზნად ისახავს ქვეყანაში მიკროსაფინანსო ორგანიზაციების სტაბილიზაციასა და გაძლიერებას, რათა მათი მდგრადობა უზრუნველყოს.

ზემოთ ხსენებული კვლევის მიზანი კი საქართველოს მცირე საწარმოების გზაზე არსებული ბარიერების გამოვლენა და შეფასება იყო. გარდა ამისა, მკვლევარებს აინტერესებდათ მიკროსაწარმოთა მფლობელების სოციალურ-ეკონომიკური პროფილის დადგენა, მათი ინსტიტუციური პრფილის დადგენა, მიკრო-სამეწარმეო სესხებზე ფულადი მოთხოვნის შეფასება და სხვა. კვლევაში მონაწილეობდნენ საქართველოს 12 რეგიონის 932 მიკროსაწარმოთა თანამშრომლები.

მიკროსაწარმოთა თანამშრომლების გამოკითხვით გამოვლინდა, რომ საქართველოს არასაბანკო მიკროსაფინანსო ორგანიზაციებმა და კომერციულმა ბანკებმა შეძლეს, მხოლოდ ოდნავ შეხებოდნენ მიკროდაფინანსების პოტენციურ ბაზარს, მოიცვეს რა პოტენციური კლიენტურის 31,7 პროცენტი და სესხზე რეალურად არსებული მოთხოვნის მხოლოდ 9,5 პროცენტი. გამოკვლევის შედეგად, საქართველოში მცირე სესხებზე არსებულ მოთხოვნასა და მიწოდებას შორის 238 მილიონი აშშ დოლარის გარღვევა აღმოჩნდა. მიკროსაფინანსო სესხების ბაზარზე მიწოდებასა და მოთხოვნას შორის ასეთი დიდი სხვაობა, მკვლევარების აზრით, შესაბამის კანონმდებლობაში არსებული ხარვეზებით არის გამოწვეული. საკანონმდებლო ცვლილებების აუცილებლობის გარდა, ექსპერტებმა გუშინ რეკომენდაციათა მთელი პაკეტი წარმოადგინეს, არსებული გარღვევის დასაფარად.

თუმცა, ამ ნაკლოვანების გარდა, მკვლევარების თქმით, არსებობს კიდევ რამდენიმე მიზეზი, რაც ხელს უშლის ქვეყნაში მცირე მეწარმეობის განვითარებას. მიკრო-საწარმოები ბიზნეს-განვითარების გზაზე რვა მნიშვნელოვან დაბრკოლებაზე მიუთითებენ. მათ შორის, სუსტი ბაზრები, არასტაბილური ეკონომიკური პირობები და არაჯანსაღი კონკურენცია.

ის ფაქტი, რომ მიკროსაწარმოთა მფლობელების უმეტესობა 47 წლისაა, მკვლევარებს შორის გაოცებას იწვევს. მათი თქმით, ისინი მიკროსაწარმოთა მესაკუთრეებად უფრო ახალგაზრდებს მოიაზრებდნენ. 932 საწარმოს თანამშრომელთა გამოკითხვის შედეგად დადგინდა, რომ მათი უმრავლესობა ბიზნესის სფეროში უკანასკნელი 8-9 წელიწადი საქმიანობს. კვლევის შედეგად ისიც გაირკვა, რომ მიკროსაწარმოთა თითქმის 60 პროცენტი მამაკაცია. მცირე მეწარმეთა 94 პროცენტი ეთნიკური წარმომავლობით ქართველია, 3 პროცენტი – აზებაიჯანელი, 2 – სომეხი. აღწერის შედეგად გაირკვა, რომ საქართველოში 210.060 მიკროსაწარმოა. ამერიკის განვითარების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს სტანდარტული მონაცემებით, საწარმო, სადაც 10 თანამშრომელზე ნაკლებია დასაქმებული, მიკროსაწარმოა.

ბიუჯეტის კორექტორების პროექტს პარლამენტარები დღეს გაეცნობიან

სახელმწიფო ბიუჯეტის კორექტორების პროექტს საქართველოს პარლამენტარები დღეს გაეცნობიან. დღეს უკვე ცხადია, რომ პარლამენტში მას დაამტკიცებენ, თუმცა გარკვეულ პოლიტ-ეკონომიკურ დებატებს ეს ცვლილებები, ცხადია, ვერ ასცდება.

არსებული ინფორმაციით, სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები 228 მლნ ლარით იზრდება, საგადასახადო შემოსავლები - 84 მლნ ლარით, არასაგადასახო - 125 მლნ ლარით. პრივატიზაციიდან 61 მლნ ლარით მეტი თანხის მობილიზება იგეგმება. ბიუჯეტის დეფიციტი 36 მლნ ლარით მცირდება, მათ შორის, უცხოური დაფინანსება - 17 მლნ ლარით. ხარჯების ზრდა, ძირითადად, დავალიანების დაფარვაზე მოდის. მიმდინარე წელს დაიფარება 1 თვის საპენსიო და პედაგოგთა დავალიანება, რისთვისაც 15 მლნ ლარია საჭირო. 2-2 თვის სახელფასო დავალიანებები განათლებისა და მეცნიერების სფეროში დაფინანსდება 5,1 მლნ ლარით, სახელფასო დავალიანება კულტურის სფეროში - 1 მლნ ლარით, საელჩოებისა და საერთაშორისო ორგანიზაციებში საწევროების დავალიანებები - 4 მლნ ლარით. ასევე იგეგმება დავალიანებების დაფარვა ჯანდაცვის სფეროში. ენერგეტიკის სფეროში ხარჯები გაიზრდება 27,8 მლნ ლარით, გზების მოვლა-შენახვის ხარჯები - 20 მლნ ლარით. თავდაცვის სამინისტრო დამატებით 25 მლნ ლარს მიიღებს, შს სამინისტრო - 45 მლნ ლარს, უშიშროების სამინისტრო - 6 მლნ ლარს, იუსტიციის სამინისტრო და პროკურატურა - 2-2 მლნ ლარს, სახელმწიფო დაცვის სპეცსამსახური - დამატებით 3 მლნ ლარს.

უკვე ცნობილია, რომ პარლამენტარები ზვიად ძიძიგური, კახა კუკავა, კობა დავითაშვილი, ბიძინა გუჯაბიძე და რამდენიმე მაჟორიტარი დეპუტატი 2004 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში შესული დამატებითი შემოსავლებიდან პენსიების გაორმაგების და მინიმალური ხელფასის 115 ლარამდე გაზრდის საკითხს დასვამენ მთავრობის წინაშე.

პარლამენტარ ზვიად ძიძიგურის განცხადებით, პრემიერ-მინისტრ ზურაბ ჟვანიასთვის, რომელიც გასულ წელს, ოპოზიციაში ყოფნისას, ექსპრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძის 1 მილიარდ 200-მილიონიანი სახელმწიფო ბიუჯეტის პირობებში მინიმალური ხელფასის 115 ლარამდე გაზრდის ინიციატივით გამოდიოდა, ამჟამად, 2-მილიარდიანი ბიუჯეტის არსებობისას, ეს წინადადება უფრო ადვილი განსახორციელებელი უნდა იყოს. ძიძიგურის თქმით, მთავრობის მიერ შემუშავებული გეგმა 2004 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში 202 მილიონი ლარის ნამატის განაწილების შესახებ, ხალხისთვის არავითარი შეღავათის მომტანი არ არის.

კონტრაბანდის რაოდენობის შემცირება სხვადასხვა სახის პროდუქციის გაძვირებას იწვევს, რაც ბიუჯეტში დამატებითი შემოსავლების წყარო ხდება. რიგითი მოქალაქე კი ისევ მძიმე მდგომარეობაშია და სოციალურად უფრო მეტად დაუცველი, ვიდრე დანგრეული ბიუჯეტის პირობებში - უცნობია, სად მიდის ეს დამატებითი შემოსავლები, რადგან მოსახლეობას ბიუჯეტის მატების შედეგად არაფერი სასიკეთო ჯერ არ უგრძვნია, - განაცხადა პარლამენტარმა. მისი აზრით, არსებული ბიუჯეტიც არ არის კორუფციისგან თავისუფალი და არც შემოსავლებია იმდენი, რამდენიც უნდა იყოს.

24 საათი

ვაკანსიები

საერთაშორისო ეკოლოგიური რეაგირების კომპანია SEACOR Environmental Services International სამუშაოდ მიიღებს სათანადო კვალიფიკაციის მძონე პირებს, შემდეგ თანამდებობებზე:

გუღალტერი

სამუშაო ადგილი: თბილისი

სამუშაოს აღწერა:

თქვენს, როგორც ბუღალტრის პასუხისმგებლობაში შევა კომპანიის ფინანსური საქმიანობის წარმატებით ხელმძღვანელობა, ზედამხედველობა და კოორდინირება, საქართველოსა და აზერბაიჯანში, თბილისში ბაზირებული ოფისიდან.

ფუნქციები და პასუხისმგებლობები

ფუნქციები და პასუხისმგებლობები მოიცავს შემდეგს:

- ფინანსური დოკუმენტაციის წარმოება, როგორიცაა დებიტორული და კრედიტორული დავალიანებების ანგარიშები, სახელფასო უწყისები, საერთო საბუღალტრო წიგნი, ჩანაწერები კაპიტალური აქტივების შესახებ და ბიუჯეტები.
- მონაცემების შეტანა და სამუშაო გრაფიკების შესწორება
- ყოველთვიური ბილინგის (ქვითრების) და ინვოისების, ფინანური უწყისების, ანგარიშებისა და მათთან დაკავშირებული დოკუმენტაციის მომზადება;
- ხარჯებისა და ფულის მომოქცევის მონიტორინგი;
- საგადასახადო ანგარიშების მომზადება და დახმარება წლიური ბიუჯეტის შედგენისას
- თქვენ ასევე ზედამხედველობა უნდა გაუწიოთ ადმინისტრაციულ ასისტენტს, მათი მოვალეობების შესარულებისას.

გამოცდილება და განათლება

კანდიდატს უნდა ჰქონდეს შემდეგი კვალიფიკაცია და უნარ-ჩვევები:

- უმაღლესი სასწავლებლის დიპლომი ფინანსურ სფეროში, ან მისი ექვივალენტი;
- ბუღალტერიის ან ფინანსურ სფეროში მუშაობის მინიმუმ 2 წლის გამოცდილება
- ქართული, ინგლისური და რუსული ენების კარგად ცოდნა
- კომპიუტერული პროგრამების MS Word-ის და MS Excel-ის კარგად ცოდნა.

ადმინისტრაციული ასისტენტი

სამუშაო ადგილი: თბილისი

სამუშაოს აღწერა:

როგორც ადმინსიტრაციულ ასისტენტს, თქვენ დაგევალებათ საქართველოში კომპანიის ოფისის საქმიანობის წარმატებით კოორდინირება.

ფუნქციები და პასუხისმგებლობები:

ფუნქციები და პასუხისმგებლობები მოიცავს:

- ოფისის მუშაობის კოორდინირება, მდივნის ფუნქციის შესრულების ჩათვლით;
- მგზავრობისა და მივლინებების ორგანიზება;
- თანამშრომლების მუშაობის გრაფიკების წარმოება;
- პირადი საკონტაქტო სიების შედგენა;
- დოკუმენტების განაწილება;
- კორესპონდენციის განაწილება, სატელეფონო და რადიო-შეტყობინებების მიღება;
- დოკუმენტების შედგენა და ჩანაწერების წარმოება;
- სტუმრებისა და კონტრაქტორების მიღება და დახმარება;
- საჭიროებისამებრ - ადმინისტრაციული დახმარების გაწევა საქართველოში კომპანიის წარმომადგენლისათვის,

გამოცდილება და განათლება

კანდიდატს უნდა ჰქონდეს შემდეგი კვალიფიკაცია და უნარ-ჩვევები:

- ადმინისტრაციულ სფეროში მუშაობის 3 წლის გამოცდილება
- ქართული, ინგლისური და რუსული ენების კარგად ცოდნა;
- კომპიუტერული პროგრამების MS Word-ის და MS Excel-ის კარგად ცოდნა.

ნავთობის დაღვრაზე რეაგირების ბაზის ზედამხედველი ვაკანსიები არის თბილისში, წალკასა და ბორჯომში

სამუშაოს აღწერა:

თქვენს, როგორც ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის კომპანიის ნავთობის დაღვრაზე რეაგირების ბაზის ზედამხედველის პასუხისმგებლობაში შევა მოცემულ ბაზაზე მომუშავე ნავთობის დაღვრაზე რეაგირების ჯგუფის ყველა თანამშრომლის ზედამხედველობა.

ფუნქციები და პასუხისმგებლობები

ფუნქციები და პასუხისმგებლობები მოიცავს შემდეგს:

- აღჭურვილობის მონაცემთა ბაზის სისტემის მოწესრიგებული მუშაობის უზრუნველყოფა;
- აღჭურვილობის პროფილაქტიკური მოვლა-მომსახურების სისტემის მუშაობის დაგეგმვა და განხორციელება დაღვრაზე რეაგირებისთვის საჭირო ყველა აღჭურვილობისთვის;
- ბიუჯეტის დაგეგმვა;
- პერსონალურ სამუშაო გრაფიკთან დაკავშირებული ინფორმაციის დაფიქსირება, თვალის მიდევნება და შესაბამისი ანგარიშგება, სპეციალურ პროექტებში მონაწილეობა და მეთვალყურეობა;
- თქვენი ფუნქცია იქნება დაღვრილი ნავთობის წარმატებით მოცილება, სატრანსპორტო საშუალებებისა და რეაგირებისთვის საჭირო აღჭურვილობის შემოწმებისა და მოვლა-მომსახურების უზრუნველყოფა და გარემოს დაცვა.

გამოცდილება და განათლება:

კანდიდატს უნდა ჰქონდეს შემდეგი კვალიფიკაცია და უნარ-ჩვევები:

- უმაღლესი სასწავლებლის დიპლომი საინჟინრო მექანიკის ან მონათესავე სფეროში;
- სასურველია გქონდეთ ინჟინერ-მექანიკოსად ან ინჟინერ-ელექტრიკოსად მუშაობის 3 წლის გამოცდილება
- სასურველია საგანგებო რეაგირების გარემოში მუშაობის გამოცდილება
- ქართული, ინგლისური და რუსული ენების კარგად ცოდნა

ნავთობის დაღვრაზე რეაგირების სპეციალისტი ვაკანსიები არის თბილისში, წალკასა და ბორჯომში

სამუშაოს აღწერა:

ნავთობის დაღვრაზე რეაგირების სპეციალისტის თანამდებობაზე მუშაობისას თქვენი ფუნქცია იქნება დაღვრილი ნავთობის წარმატებით მოცილება, სატრანსპორტო საშუალებებისა და რეაგირებისთვის საჭირო აღჭურვილობის შემოწმება და მოვლა-მიმსახურება და გარემოს დაცვა.

გამოცდილება და განათლება

კანდიდატს უნდა ჰქონდეს შემდეგი კვალიფიკაცია და უნარ-ჩვევები:

- უმაღლესი სასწავლებლის დიპლომი საინჟინრო მექანიკის ან მონათესავე სფეროში;
- სასურველია გქონდეთ ინჟინერ-მექანიკოსად ან ინჟინერ-ელექტრიკოსად მუშაობის 3 წლის გამოცდილება
- სასურველია საგანგებო რეაგირების გარემოში მუშაობის გამოცდილება
- ქართული, ინგლისური და რუსული ენების კარგად ცოდნა

განაცხადის შემოტანის წესი / დამატებითი ინფორმაცია

თუ მიგაჩნიათ, რომ თქვენ გაქვთ რომელიმე ამ თანამდებობისთვის საჭირო კვალიფიკაცია და გამოცდილება, გაგზავნეთ თქვენი ბიოგრაფია/CV ელექტრონულ მისამართზე: msheraton@azdata.net ან Bბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის ბორჯომის საინფორმაციო ცენტრში, მისამართზე: ბორჯომი, რუსთაველის ქუჩა 129.

გთხოვთ მიუთითოთ, თუ რომელი თანამდებობის დაკავება გსურთ და რა ადგილას, თქვენი განაცხადის პირველ სტრიქონზე. განაცხადების მიღების ბოლო ვადაა 13 აგვისტო, 2004 წ.

საქართველოს მოქალაქეობა აუცილებელია.

ყველა მიღებული განაცხადი განიხილება, რაც არ გულისხმობს იმას, რომ ყველა კანდიდატი გაივლის გასაუბრებას და მიიღებს სამუშაოს შემოთავაზებას.

იანდარბიევის მკვლელობას სიკვდილით აღარ დასჯიან

არაბი მოსამართლე არა მარტო რუს აგენტებს, არამედ რუსეთის ხელისუფლებასაც დამნაშავედ მიიჩნევს.

გუშინ ყატარის სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება დამაფიქრებელი იქნება, - არა იმდენად მსჯავრდებული რუსი აგენტებისთვის, მათ გაცილებით საზარელ განაჩენს უწინასწარმეტყველებდნენ, - არამედ რუსეთის ხელისუფლებისთვის. დაკავებული რუსები, როგორც მოსალოდნელი იყო, დამნაშავეებად ცნეს იჩქერიის ყოფილი პრეზიდენტის ზელიმხან იანდარბიევის მკვლელობაში. მაგრამ მათ, ყატარის კანონმდებლობით აღნიშნული დანაშაულისათვის გათვალისწინებული სასიკვდილო განაჩენის ნაცვლად, სამუდამო პატიმრობა მიუსაჯეს. არაბულ ქვეყანაში არსებული სამუდამო პატიმრობის სასჯელი მნიშვნელოვნად განსხვავდება ჩვენთან დამკვიდრებულისაგან და იგი სიცოცხლის ბოლომდე პატიმრობას კი არა, 25 წლით გისოსებს მიღმა ყოფნას ითვალისწინებს.

რატომ გამოდგა არაბი მოსამართლის გადაწყვეტილება ესოდენ ჰუმანური? აღსანიშნავია, რომ არაბული სასამართლოები განსაკუთრებული ჰუმანიზმით არასოდეს გამოირჩეოდნენ. თუმცა, არსებობს სხვა ვარაუდებიც, რომელიც ყატარის სასამართლო სისტემის ჰუმანურობას კი არა, უბრალოდ, სასამართლო პროცესის პოლიტიკური თამაშის ნაწილად ყოფნას ადასტურებს.

ერთ-ერთი ვერსიის თანახმად, ყატარი მოერიდა ასეთ გახმაურებულ საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებას და მისი სასწრაფოდ სისრულეში მოყვანას. რუსი ჯაშუშების სიკვდილით დასჯა კი, რუსეთ-ყატარის ამის გარეშეც დაძაბულ ურთიერთობებს უკიდურესად გაამწვავებდა. იანდარბიევის აფეთქებაში დამნაშავედ ცნობილი პირები სიკვდილით დასჯილი არ იქნებიან, ანუ ყოველთვის იარსებებს მათი შეწყალების ან რუსეთისათვის გადაცემის შესაძლებლობა. შესაბამისად, რუსეთთან პოლიტიკური ვაჭრობის თემაც იარსებებს, ამის აუცილებლობა არაბეთის ნახევარკუნძულის ნავთობით მდიდარ მონარქიას რუსეთთან ნამდვილად აქვს - რუსეთს დოჰა ჩეჩენი სეპარატისტების მხარდაჭერაში არაერთხელ დაუდანაშაულებია. მეორე მხრივ, ყატარის მართლმსაჯულებამ სახეც შეინარჩუნა ისლამისტ თანამემამულეებში და რუსეთს "გრუ"-ს ოფიცრები გაუსამართლებლად არ დაუთმო.

მეორე ვერსია კიდევ უფრო პოლიტიკურია. მიმომხილველები ვარაუდობენ, რომ არაბმა მოსამართლემ რუსები სიკვდილით მხოლოდ იმიტომ არ დასაჯა, რომ ისინი უბრალო შემსრულებლები იყვნენ და დავალებას ბრმად ასრულებდნენ. სხვათა შორის, ეს მოსაზრება სასამართლოს განაჩენშიც იყო ხაზგასმული. სააგენტო "როიტერი"-ს მიერ გავრცელებული ცნობით, მოსამართლე იბრაჰიმ ალ-ნისფმა განაჩენის კითხვისას განაცხადა, რომ იანდარბიევის განადგურების ბრძანება რუსეთის უმაღლესი ხელმძღვანელობიდან მოდიოდა, ანუ მან იანდარბიევის მკვლელობის შემკვეთად ოფიციალურად გამოაცხადა რუსეთის ხელისუფლება. არაბული პრესის მიერ გამოქვეყნებულ საქმის მასალებში მართლაც ფიგურირებდა რუსეთის თავდაცვის მინისტრის სერგეი ივანოვის სახელი (პრესაში ასევე ვრცელდებოდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ დაკავებული რუსები მთავარი სადაზვერვო სამმართველოს (გრუ) თანამშრომლები იყვნენ, ანუ პირდაპირ ექვემდებარებოდნენ თავდაცვის მინისტრს). როგორც არაბი ჟურნალისტები ამტკიცებდნენ, დაკავებულმა ბელაშოვმა და ბოგაჩევმა თითქოს აღიარეს, რომ ბრძანება პირადად სერგეი ივანოვისგან ჰქონდათ მიღებული. ნიშანდობლივია, რომ ბრალდებულთა დასაცავად ადვოკატების რუსეთიდან ჩასვლის შემდეგ, ივანოვის სახელი სასამართლო პროცესზე აღარ ამოტივტივებულა.

რაც შეეხება თავად მსჯავრდებულებს - ისინი შეწყალების იმედად რჩებიან. მსჯავრდებულები ყატარის ამირამ, ჰამადა ბინ ხალიფა ალ ტანიმ უნდა შეიწყალოს. და ბუნებრივია, რუსები ამ შესაძლებლობით აუცილებლად ისარგებლებენ. ამის შესახებ განაჩენის გამოცხადებამდე "როიტერ"-თან ინტერვიუში ყატარის იუსტიციის ყოფილმა მინისტრმა ნაჯიბ ალ-ნუაიმიმაც იწინასწარმეტყველა. "მე ვფიქრობ, ისინი დამნაშავედ იქნებიან ცნობილნი და სიკვდილით დასჯას ან სამუდამო პატიმრობას მიუსჯიან. ხოლო პუტინის ჩარევის შემდეგ რამდენიმე თვეში გადაეცემიან რუსეთს," - ამბობს იგი.

ყატარში გამართულ პროცესზე რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომაც არ დააყოვნა კომენტარი. სამინისტროს ოფიციალური განცხადება ასე ჟღერდა: "რუსეთის მხარე არაერთხელ აცხადებდა, რომ ჩვენს ორ მოქალაქეს იანდარბიევზე თავდასხმასთან არანაირი კავშირი არ აქვს. პატივს სცემენ რა ყატარის სასამართლო პროცედურას, ჩვენი თანამემამულეების ადვოკატები ყატარის შესაბამის სასამართლო ინსტანციებს აპელაციით მიმართავენ და გამამტყუნებელი განაჩენის გადახედვას ეცდებიან. აქტიურად ვიმუშავებთ, რათა რუსეთის მოქალაქეები სამშობლოში უმოკლეს დროში დავაბრუნოთ."

ორი სიტყვით

ავსტრია. მიუნხენში სამგზავრო ავიალაინერის ავარიული დაშვების მიზეზი აფეთქებით დაშინება გახდა. როგორც ბავარიის დედაქალაქის საერთაშორისო აეროპორტის წარმომადგენელი აცხადებს, ავიაკომპანია "ფრიბერგის" კუთვნილი თვითმფრინავი A-320 მიუნხენი-სტამბულის რეგულარულ რეისს ასრულებდა. აფრენიდან რამდენიმე წუთის შემდეგ, თურქი ეროვნების 26 წლის მოქალაქემ განაცხადა, რომ მას თან აქვს ასაფეთქებელი მოწყობილობა და თვითმფრინავის მიუნხენში დაბრუნება მოითხოვა. პილოტი ტერორისტის მოთხოვნას დაემორჩილა და თვითმფრინავი მიუნხენში დააბრუნა, სადაც უკვე სრულ მზადყოფნაში იყო სახანძრო დაცვის ქვეგანყოფილება, ექიმებისა და მაშველების კორპუსი.

იტარ-ტასი

■ ■ ■

რუსეთი. შორეული აღმოსავლეთიდან რუსეთის ევროპულ ძირითადი დისლოკაციის ადგილზე მუდმივი მზადყოფნის შეიარაღებული ძალების საჰაერო ტრანსპორტით გადმოსროლამ წარმატებით დაასრულა 9 ივნისს დაწყებული ოპერატიულ-სტრატეგიული სწავლება "მობილურობა-2004". სამხედრო მანევრებში მონაწილეობას 5 000 სამხედრო მოსამსახურე იღებდა. მხოლოდ "საჰაერო ხიდით" 900 რიგითი და ოფიცერი და 100-ზე მეტი სამხედრო ტექნიკის ერთეული იქნა გადასროლილი. რუსეთის თავდაცვის სამინისტროს განცხადებით, მსგავსი მასშტაბის სამხედრო-საჩვენებელი წვრთნა, დაახლოებით 15 წელიწადია, რაც ქვეყანაში აღარ განხორციელებულა.

იტარ-ტასი

■ ■ ■

ლიტვა. რუსეთის მოქალაქე იური ბორისოვს ლიტვის რესპუბლიკაში ცხოვრების უფლება ჩამოერთვა. ლიტვის მიგრაციული სამსახურის დეპარტამენტში აცხადებენ, რომ "იური ბორისოვი ლიტვის ეროვნული უსაფრთხოებისთვის საშიში პირია". ვილნიუსის საოლქო სასამართლოს 22 მარტის დადგენილების თანახმად, მიგრაციული სამსახურის დეპარტამენტს ლიტვიდან რუსეთის მოქალაქის დაუყოვნებელი გასახლების გადაწყვეტილებისთვის უნდა გადაეხედა. სასამართლოს განაჩენით, გადაწყვეტილება ნაჩქარევად, საქმის ვითარების არასრულად შესწავლის საფუძველზე იყო მიღებული. თუმცა, საქმის მეორადი განხილვის შემდეგ, ლიტვის შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადებით დადასტურდა, რომ "იური ბორისოვი ნამდვილად უქმნის საფრთხეს რესპუბლიკის ეროვნულ უსაფრთხოებას".

იური ბორისოვის სახელის ირგვლივ აჟიოტაჟი როლანდას პაკსასის საპრეზიდენტო სკანდალმა გამოიწვია. ამ უკანასკნელმა წინასაარჩევნო კამპანიის დროს, რუს მეწარმეს ფინანსური დახმარების აღმოჩენის სანაცვლოდ, გამონაკლისის სახით, ლიტვის მოქალაქეობა უბოძა.

იტარ-ტასი

■ ■ ■

ისლამური სამყარო. არაბეთის გაერთიანებული საემიროების ტელეკომუნიკაციის კომპანია აზიური ბაზრის დაპყრობას "ისლამური" "i-800" მოდელის მობილური ტელეფონით აპირებს, რომლის მეხსიერებაშიც ყურანის მთელი ტექსტია შენახული და ლოცვის დროსა და მსოფლიოს 5 000 ქალაქიდან მექისკენ მარშრუტს მიუთითებს. გარდა ამისა, ტელეფონს აქვს ისლამური კალენდარიც. მობილური ტელეფონის ახალი მოდელი, რომლის წარმოებაც ლიბანში კომპანია "ილკოუნ აზიამ" დაიწყო, ბანგლადეშის ბაზარზე ძალიან მალე გამოჩნდება. წლის ბოლომდე დაგეგმილია მისი შეტანა ინდონეზიის, მალაიზიისა და ინდოეთის ბაზრებზეც. დღეისათვის კი ზემოაღნიშნული ტელეფონი ლიბანში, იორდანიაში, სირიაში, სუდანსა და ალჟირში იყიდება.

დეილი ნიუსი

■ ■ ■

ნატო-ს სამიტი. სტამბოლის სამიტზე, უკრაინის პრეზიდენტ ლეონიდ კუჩმასა და მაკედონიის პრეზიდენტი ბრანკო ცრვენკოვსკის შეხვედრაზე ორმხრივი თანამშრომლობის გაღრმავების შესახებ გაკეთდა განცხადებები. მაკედონიის ხელისუფლების ხელმძღვანელმა, უპირველეს ყოვლისა, აქცენტი ეკონომიკური თანამშრომლობის გაღრმავებაზე გააკეთა. "უმთავრესი მიზნები სავაჭრო და ეკონომიკური კავშირების გაღრმავება და სხვადასხვა პროექტების ერთობლივი განხორციელებაა," - აღნიშნა ბრანკო ცრვენკოვსკიმ. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო უკრაინა-მაკედონიის ვაჭრობისა და ეკონომიკური თანამშრომლობის სამთავრობათშორისო ქმედებების მხარდაჭერას. ორმა ლიდერმა ევროპულ და ევრო-ატლანტიკურ სივრცეში ინტეგრაციისთვის აუცილებელი ღონისძიებების გასატარებლად მზადყოფნა გამოთქვა. შეხვედრის ბოლოს უკრაინის პრეზიდენტმა მაკედონიელი კოლეგა უკრაინაში ოფიციალური ვიზიტით მიიწვია.

ინტერფაქსი

ს.ს. "თელასი" შეისყიდის:

საკონტაქტო დანა (K-26) - 630A
ლამელები ((K-26)-630A

საკონტაქტო დანა (K-26) - 1600A
ლამელები (K-26) -1600A

საყრდენი იზოლატორი HOP 10 -7,50

გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ მასალა უნდა იყოს ახალი, გამოუყენებელი და შესაბამისი გარანტიებით.

დაინტერესებულმა ორგანიზაციებმა მოგვმართონ ტელეფონის ნომრებზე: 77 98 55; 77 98 57; 77 98 53; ან მობრძანდნენ სს "თელასის" კონტრაქტებისა და შესყიდვების განყოფილებაში;
თბილისი, ვანის ქუჩა N3, მე-3 სართული.

გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ წერილის წარმოდგენის ბოლო ვადაა 2004 წლის 4 აგვისტო.

ბოსნია-ჰერცეგოვინაში ნატო-ს ძალებს ევროკავშირი ჩაანაცვლებს

სტამბოლის სამიტზე ევროკავშირისა და ნატო-ს წევრი-ქვეყნების ერთობლივი შეთანხმების საფუძველზე, ბოსნიასა და ჰერცეგოვინაში 2004 წლის ბოლოსთვის ევროკავშირის სამშვიდობო ძალების მიერ ნატო-ს სტაბილიზაციის ძალების ჩანაცვლების შესახებ განცხადება გაკეთდა. განცხადების ვაშინგტონსა და ბრიუსელში პოლიტიკური პოპულარობის მიუხედავად, შედეგმა, შესაძლოა, მოლოდინი ვერ გაამართლოს, რადგან ვითარების ტრანსფორმაციის შემდეგ რეგიონი უსაფრთხოების ახალი გამოწვევების წინაშე აღმოჩნდა. დღეისათვის უსაფრთხოების უმთავრესი გამოწვევები ბირთვული იარაღის კონტრაბანდული გზით გადაზიდვა, ომის დამნაშავეთა დაკავება, ექსტრემისტული რელიგიური დაჯგუფებების არსებობა და საზღვრების უსაფრთხოების უზრუნველყოფაა. თუ 1992-1995 წლებში ბოსნიის მოვლენებში ევროკავშირის ჩარევის არასახარბიელო შედეგებს გავითვალისწინებთ, რთულია წინასწარ იმის შეფასება, შეძლებენ თუ არა ევროკავშირის წევრი-სახელმწიფოების ერთმანეთთან არცთუ ისე კარგად ინტეგრირებული საჯარისო შენაერთები დაკისრებული მისიის წარმატებით შესრულებას. ნატო-ს სტაბილიზაციის ძალების ევროკავშირის სამშვიდობო ძალებით როტაცია ომისშემდგომ ბოსნიაში განხორციელებული ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ცვლილება იქნება. კოსოვოს საბოლოო სტატუსთან დაკავშირებული გაურკვევლობა და სერბია-ჩერნოგორიის დე ფაქტო კავშირი კი ექსტრემიზმის საფრთხეს არ ანელებს. არასტაბილური ვითარების სწრაფად რეგულირების შესაძლებლობებს ქვეყანაში ნაციონალური მემარჯვენეების პოპულარულობა და სახალხო მხარდაჭერა ამცირებს. არასამთავრობო, მრავალეროვნული ორგანიზაციის "საერთაშორისო კრიზისის ჯგუფის" სარაევოელი ანალიტიკოსის, სენად სლატინას შეფასებით, "მრავალი საეჭვო რეპუტაციის ადგილობრივი აქტორი ელოდება მოქმედების საკუთარ შანსს, ევროკავშირის სამშვიდობო ძალების ჩამოსვლამ კი, უპირველეს ყოვლისა, ეს საფრთხე უნდა გაანეიტრალოს. ამდენად, სასწორზე ბოსნიის ომისშემდგომი მნიშვნელოვანი მიღწევებია დადებული."

ასეან-ის ქვეყნები სრული ინტეგრაციისაკენ ისწრაფვიან

სამხრეთ-აღმოსავლეთი აზიის სახელმწიფოთა ასოციაცია ანუ ასეანი 1967 წელს დააფუძნა ხუთმა ქვეყანამ: ინდონეზიამ, მალაიზიამ, ფილიპინებმა, სინგაპურმა და ტაილანდმა. მოგვიანებით მათ ბრუნეი, ვიეტნამი, ლაოსი, მიანმა (ბირმა) და კამბოჯა შეუერთდა. ასეანი მოიცავს რეგიონს 500 მლნ მოსახლეობითა და 4,5 კვადრატული კილომეტრი ფართობით. ასეან-ს ქვეყნების ერთობლივი შიდა პროდუქტის მოცულობა, ჯამში, 737 მლრდ აშშ დოლარს შეადგენს. ამ ციფრებიდანაც აშკარად ჩანს, თუ რა როლი შეიძლება შეასრულოს აღნიშნულმა ორგანიზაციამ რეგიონში. დღეს ისინი უფრო მჭიდრო თანამშრომლობის ინიციატივით გამოდიან.

ჯაკარტაში, უკანასკნელი ორი დღის მანძილზე, საგარეო საქმეთა მინისტრების დონეზე ასეან-ის 37-ე შეხვედრა მიმდინარეობს. მთავარი თემა სამხრეთ-აღმოსავლეთი აზიის უსაფრთხოების საკითხები იყო. გუშინ ინდონეზიის დედაქალაქში შეკრებილი 10 ქვეყნის მეთაური 2020 წლისთვის რეგიონის ერთიანი სამართლებრივი, ეკონომიკური და სოციალურ-კულტურული გარემოს შესაქმნელად შემუშავებულ გეგმას განიხილავდა.

ასეან-ის წევრმა ქვეყნებმა ბირმასთან დაკავშირებით შეთანხმებას ვერ მიაღწიეს, ანუ მათ ვერ მიიღეს ინდონეზიის წინადადება, რომელიც მიანმის ხელისუფლებაზე ზეწოლას ისახავდა მიზნად, რათა ამ ქვეყანაში დემოკრატიული რეფორმები დაჩქარებულიყო. თუმცა, ამავდროულად, მიანმას საგარეო საქმეთა მინისტრმა ვინ აუნმა დაარწმუნა თავისი ასეანელი კოლეგები, რომ თანდათან მიანმა თავად გადადგამს ნაბიჯებს რეფორმების განსახორციელებლად.

მიანმას გარშემო წარმოქმნილი დაძაბულობის სასწრაფოდ მოგვარება ასეან-ის ქვეყნებისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობისაა. ასეან-ის ქვეყნები მჭიდროდ თანამშრომლობენ ევროკავშირთან. დღეს კი, ორგანიზაციის ერთერთ წევრ-სახელმწიფოში არსებულმა არადემოკრატიულმა რეჟიმმა შესაძლოა, ეს თანამშრომლობა საფრთხის ქვეშ დააყენოს. ევროკავშირმა ულტიმატუმი წამოაყენა – იგი ევროკავშირ-ასეან-ს შორის დაგეგმილ შეხვედრებს ჩაშლის, თუ მიანმასთან დაკავშირებული პრობლემა არ მოგვარდება. ევროკავშირმა ასეან-ის წევრებთან შეხვედრა ორჯერ უკვე გადადო, სწორედ მიანმას პრობლემის გამო.

მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიის ინსტიტუტი
საქართველოს ევრო-ატლანტიკური პარტნიორობის ასოციაცია
ქვემო ქართლის რეგიონალური ასოციაცია "ხიდები"

"ცეცხლსასროლი იარაღი და მსუბუქი შეიარაღების ბრუნვა და მისი ზეგავლენა ქვემო ქართლის სოციალ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე" პროექტის ფარგლებში **გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოების** ფინანსური მხარდაჭერით სათანამშრომლოდ იწვევს საქართველოში მოქმედი მედია საშუალებების წარმომადგენლებს.

ეს პროგრამა გათვალისწინებულია იმ ჟურნალისტებისთვის, რომლებიც აქტიურად არიან დაინტერესებულნი საქართველოს ტერიტორიაზე, კერძოდ, ქვემო ქართლში ცეცხლსასროლი იარაღისა და მსუბუქი შეიარაღების არალეგალური ბრუნვის შემცირებითა და პრობლემის შესახებ საზოგადოების ინფორმირებით.

პროგრამა გულისხმობს შემდეგი სახის მხარდაჭერას:
ტექნიკური საშუალებების შეძენა;
- ტრანსპორტირება და სამივლინებო ხარჯების დაფარვას.

დაფინანსების მისაღებად ჟურნალისტი წარმოადგენს რედაქციის თანხმობას მასალის მომზადების შემდეგ მისი გამოქვეყნების შესახებ.

პროგრამაში მონაწილე ჟურნალისტები შეირჩევიან კონკურსის წესით. მსურველებმა განაცხადი უნდა წარმოადგინონ ა.წ. 6 აგვისტომდე შემდეგ მისამართზე: თბილისი, რუსთაველის 46, საქართველოს ევრო-ატლანტიკური პარტნიორობის ასოციაცია
დამატებითი ინფორმაციისთვის მოგვმართეთ:
ტელ: 919318, 899561154 E-mail: lvepkhvadze@imedi.ge

რა იღვაწა გარემოს დაცვის სამინისტრომ ხუთი თვე?

საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო ხუთი თვის შედგებს აქვეყნებს. პირველი მიღწევა - "საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო" იქცა "საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროდ". თამარ ლებანიძე გარემოს დაცვაში მცირე ბიზნესის დაკრედიტებიდან (საფინანსო ორგანიზაცია "კონსტანტა") მოვიდა. მას დროთა განმავლობაში შემართება ემატება.

ოთარ ქირია

წლის დასაწყისიდან მოყოლებული, გარემოს დაცვის სამინისტროს შეუერთდა რამდენიმე სახელმწიფო დეპარტამენტი: სატყეო მეურნეობის, ჰიდრომეტეოროლოგიის, გეოლოგიისა და დაცული ტერიტორიების. აღნიშნული მთავრობის მიერ იქნა გადაწყვეტილი, ამ უწყებების, მათ შორის, გასკანდალებული "სატყეოს" ხელმძღვანელობის შეცვლა ლებანიძემ განახორციელა. ჯერჯერობით ეს უწყებები სრულყოფილად არ არის რეორგანიზებული. მომზადდა და დამტკიცდა სამინისტროს ახალი დებულება, რომელიც ითვალისწინებს სამინისტროს სისტემაში შემავალი რიგი ორგანიზაციების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად ჩამოყალიბებას.

სამინისტროს ფარგლებში შეიქმნა ერთიანი სალიცენზიო სამსახური. სამინისტროსა და მასში შემავალ დეპარტამენტებში დამოუკიდებლად გაიცემოდა ლიცენზიები, როგორც ბუნებრივი რესურსების მოპოვებასა და ათვისებაზე, ასევე, სხვადასხვა სახის საქმიანობაზე. სამსახურის ჩამოყალიბება ხელს შეუწყობს ლიცენზირების პროცესის გამჭვირვალობას და უფრო მოხერხებულს გახდის მას. ერთიანი სალიცენზიო სამსახურის ჩამოყალიბების მიზნით, დამუშავებულია და პარლამენტში წარდგენილია შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებები.

სამინისტროს დებულებით განსაზღვრული ზედამხედველობის სამმართველოს ბაზაზე მუშავდება პროექტი გარემოსდაცვითი ინსპექტორატის შესახებ, რომელიც გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების ათვისების სფეროში სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელი ძლიერი სტრუქტურა უნდა გახდეს. სატყეო მეურნეობის დეპარტამენტში მომზადდა სატყეო დარგის რეფორმა, რომლის განხილვა სამთავრობო დონეზე მიმდინარეობს.

"საქართველოს სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორიაზე ხე-ტყის ჭრის დროებითი შეჩერების ან შეზღუდვის შესახებ", საქართველოს მთავრობის დადგენილების თანახმად, 2004 წლის 14 მაისიდან - ერთი თვით, ხოლო სამცხე-ჯავახეთის ტერიტორიაზე სამი თვით შეჩერდა ხე-ტყის ჭრა. ამ პერიოდში ამოღებულია, დაახლოებით, 12.000 კბმ. უკანონოდ მოპოვებული ხე-ტყე. ამოღებული ხე-ტყის რეალიზაციიდან სახელმწიფო ბიუჯეტში შევიდა, თითქმის, იგივე თანხა, რაც წინა წელს ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის გადასახადიდან.

საქართველოს მასშტაბით ჩატარდა მოკვლევა სატყეო მეურნეობაში ტყეთსარგებლობის ლიცენზიების მქონე ფირმების საქმიანობის შესახებ; აღრიცხულია იმ ორგანიზაციათა სია, რომელთაც წარდგენილი აქვთ ტყეთსარგებლობის დროს დაშვებულ დარღვევებზე საჯარიმო სანქციები; მომზადებულია და იუსტიციის სამინისტროში გადაცემულია კანონპროექტი ხე-ტყის ექსპორტისა და იმპორტის რეგულირების შესახებ; დაიწყო მოპოვებული ხე-ტყის კანონიერების დამადასტურებელი დოკუმენტების ბეჭდვა ახალ, დამცავი მექანიზმის მქონე ქაღალდზე.

საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროსა და ენერგეტიკის სამინისტროს მიერ განხორციელდება პროექტი "განახლებადი ენერგიების შესახებ". ამ პროექტის დონორები არიან UNDP, რომელიც, თავის მხრივ, ფინანსდება გლობალური გარემოსდაცვითი ფონდის (GEF) მიერ, და KfW. პროექტის ფარგლებში მოხდება მცირე ჰესების დაფინანსება და შეიქმნება განახლებადი ენერგიების ფონდი, რომელიც მომავალში ხელს შეუწყობს ამ სფეროში პროექტების განხორციელებას.

გაერო-ს განვითარების პროგრამისა და გლობალური გარემოსდაცვითი ფონდის ხელშეწყობით, მიმდინარეობს, ასევე, მდგრადი ორგანული დამაბინძურებლების (პესტიციდები, დიოქსინები, ფურანები და ა.შ.) მართვის პროექტი, რომელიც გულისხმობს სტოკჰოლმის კონვენციის მოთხოვნების შესაბამისად ეროვნული გეგმის მომზადებას, ქვეყანაში ამ კუთხით არსებული მდგომარეობის შესწავლას და მოსალოდნელი საფრთხის აღმოფხვრას.

მიუხედავად ამ და სხვა უკვე ჩატარებული სამუშაოსი, პრეტენზიები, განსაკუთრებით არასამთავრობოებისა, სამინისტროს მიმართ მაინც ბევრია: არაორგანიზებული ურთიერთობა საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან, არასრულყოფილი ოფიციალური კორესპონდენცია, შეცდომები სტატისტიკაში, გადაუმოწმებელი გარემოსდაცვითი ნებართვები და, რაც მთავარია, მოუვლელი ეკოლოგია. ამ პრეტენზიებს ლებანიძე თვეში ერთხელ, არასამთავრობოებთან შეხვედრაზე ისმენს. უკანასკნელზე კი ასეთ პასუხს სცემს: **"გეთანხმებით, რომ ბევრი რამ მოუწესრიგებელია. მაგრამ, ვერ ვიტყვი, რომ ამ საკითხების გადაჭრა ამჟამად პრიორიტეტულია. გამოყოფილი თანხები გადანაწილებულია ყველაზე ნიშვნელოვან და მწვავე საკითხებზე, რომელთა გადადება შეუძლებელია. მათი დროც მოვა".**

დაბოლოს, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანი, რომელიც ბოლო დღეების მთავარ თემად იქცა. ლებანიძის ინფორმაციით, **"მთავრობის დადგენილების თანახმად, შეიქმნა სამთავრობო სამუშაო ჯგუფი, რომელიც ახორციელებს ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის პროექტისათვის გაცემული გარემოსდაცვითი ნებართვის პირობების შესრულების პროცესის ზედამხედველობას. აღსანიშნავია, რომ გარემოსდაცვითი ნებართვის პირობების ძირითადი ნაწილი შესრულებულია. თუმცა, მეცხრე პირობის შესრულებასთან დაკავშირებით წარმოიქმნა პრობლემები და სამინისტრომ მიმართა ინვესტორს ბორჯომის რეგიონში სამშენებლო სამუშაოების დროებით გაჩერების თაობაზე".** ლებანიძის განცხადება შედარებით რბილია, თუმცა სახეზეა ის ფაქტი, რომ პროექტი, ოფიციალურად, შეჩერებულია. ინვესტორები აცხადებენ, რომ გადაწყვეტილება ძალაში მხოლოდ 2 აგვისტომდეა, თუმცა გარემოს დაცვის სამინისტრომ "ბრითიშ პეტროლეუმს" ამ დრომდე იმ დოკუმენტაციის წარდგენა მოსთხოვა, რომელიც აკლდა გარემოს დაცვითი ნებართვის თანახმად წარსადგენ დოკუმენტაციას. ინვესტორმა ორიოდ დღის წინათ გამართულ სპეც-პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ ყველა დოკუმენტაცია (ტომები) წარდგენილი აქვს, თუმცა ფაქტია, რომ ნებართვის მეცხრე მუხლი (ბორჯომი) სრულყოფილი არ არის. შესაბამისად, უნდა ველოდოთ იმას, რომ "ბიფი" ვერ წარადგენს დოკუმენტაციას, სამინისტრო კი პროექტის გაგრძელებაზე თანხმობას არ მისცემს. თუ გავითვალისწინებთ ახლად გავრცელებულ ჭორს იმის თაობაზე, რომ ქვეყენის ხელისუფალმა, შეიძლება, ბაქო-ჯეიჰანის პროექტი, ოსეთის დაბრუნების სანაცვლოდ, შეაჩეროს, რაც რუსეთს ხელს აძლევს, შესაძლოა, ლებანიძემ "ფეხქვეშგებას" მიჩვეულ ინვესტორებს არც არაფერი დაუთმოს. ნებისმიერ შემთხვევაში, ლებანიძე მკაცრად დგას პოზიციაზე და ითხოვს მხოლოდ პირობების დაკმაყოფილებას და არც მოსალოდნელი სკანდალის შიში ეტყობა, რა თქმა უნდა - ჩვენი აზრით...

განცხადება

2004 წლის 27 აგვისტოს 12 საათზე მარნეულის რაიონის სოფელ ყიზილაჯლოში ს.ს "ბაზალტის" ადმინისტრაციულ კორპუსში შედგება ს.ს "ბაზალტის" აქციონერთა და თანამშრომელთა საერთო კრება.

ს.ს "ბაზალტის" დირექცია

ცოტას ვაკეთებთ, მაგრამ საფუძვლიანად, - აცხადებს თბილისის მერი

ნანა ქადაგიშვილი

თბილისის მერისთვის პრეზიდენტის მიერ მიცემული ექვსთვიანი ვადის ნახევარი უკვე გავიდა. ქალაქში არსებული უთვალავი პრობლემის ფონზე, ამ სამ თვეში გაკეთებულ საქმით, ბუნებრივია, კმაყოფილი ვერც თვითონ ჭიაბერაშვილი იქნება, თუმცა, რასაც ვაკეთებთ, საფუძვლიანად ვაკეთებთო, - აცხადებს. გუშინ მან ჟურნალისტებს მერად დანიშვნის დღიდან დღემდე დაწყებული თუ დასრულებული საქმეების ანგარიში გააცნო.

ლევან ხერხეულიძის ფოტო

ზურაბ ჭიაბერაშვილს არც "წყალკანალის" საკითხი დავიწყებია და, "ლეიბორისტების" გულის გასახეთქად, საკუთარ ნამოღვაწართა შორის "წყალკანალის" იჯარით გაცემის პროცესის შეჩერებაც მოიხსენია.

ქალაქის 70 მილიონით გაზრდილმა 2004 ბიუჯეტმა ბევრ საბიუჯეტო უწყებასა თუ გაჭირვებულ მოქალაქეს ჩაუსახა იმედი, რომ მათ პრობლემას წელს მაინც მოევლებოდა, მაგრამ ამაოდ. ქალაქის მთავრობის გადაწყვეტილებით, ბიუჯეტის დანამატი მხოლოდ რამდენიმე პრიორიტეტული პრობლემის მოგვარებას მოხმარდება. ჯობს, ცოტა გავაკეთოთ, მაგრამ საფუძვლიანად, საბოლოო ჯამში მოგებულები დავრჩებითო, - გადაწყვიტა მერიამ და საკრებულოც დაეთანხმა. ეს "ცოტა და საფუძვლიანად" გაკეთებული თუ გასაკეთებლი საქმე კი, ძირითადად, თბილისის გალამაზება-დასუფთავებას ემსახურება.

2004 წლის ქალაქის ბიუჯეტის უპირველესი პრიორიტეტის, საავტომობილო გზების კაპიტალური რეაბილიტაციის პროექტის განხორციელება უკვე დაიწყო. წელს გასაკეთებელი 30 ქუჩიდან 12-ზე სარემონტო სამუშაოები მიმდინარეობს და წლის ბოლომდე დასრულდება. ქუჩების შეკეთების პარალელურად, მერია მიწისზედა სამგზავრო ტრანსპორტის მოძრაობის მოწესრიგებაზეც ზრუნავს. შემუშავებულია სამარშრუტო სქემა, რომლის განხორციელებაც ნოემბერ-დეკემბრისთვის იგეგმება, მანამდე კი გამოცხადდება ტენდერი ახალ სამარშრუტო ხაზებზე. ამ სიახლების შედეგად ქალაქში საგრძნობლად შემცირებული სამარშრუტო ტაქსების ადგილს ჰოლანდიიდან ჩამოყვანილი ავტობუსები დაიკავებენ. ქალაქის სატრანსპორტო სამსახურის უფროსი ახლახან სწორედ ამ მისიით წავიდა ჰოლანდიაში. "მარშრუტკებით" ყველაზე მეტად გადატვირთულ რუსთაველის გამზირზე კი, სადაც 1500-მდე სამარშრუტო ტაქსი დღეში 10-ჯერ მაინც დადის, "მარშრუტკების" რაოდენობა 10-ჯერ შემცირდება. თუმცა, ქალაქის ხელმძღვანელობის რუსთაველის გამზირთან დაკავშირებული გეგმები ამით არ შემოიფარგლება. **"ნელ-ნელა საცხოვრებელ სახლები ცენტრიდან გარეუბნებში გადაინაცვლებს. ცენტრში კი საოფისე შენობები განთავსდება. ასეა პრაღაში, ვილნიუსში",** – აცხადებს თბილისის მერი.

როგორც ქალაქის ახალი ხელისუფლება გვარწმუნებს, ქალაქის ქუჩებს მისი ხელი სხვა მხრივაც ემჩნევა და მომავალში უფრო დაემჩნევა. **"ყველა რაიონში რეალურად მოქმედებს დასუფთავების სამსახურები, მიმდინარეობს ლილოს ნაგავსაყრელის კონსერვაცია და ამოქმედდა იაღლუჯას ნაგავსაყრელი და ფონიჭალის ნაგავმზიდი. გაკეთდება ნაგვის გადამამუშავებელი ქარხნებიც. თბილისის ქუჩები გარე ვაჭრობის აღკვეთის შედეგადაც საგრძნობლად დასუფთავდა. სხვადასხვა რაიონში 2000-ზე მეტი ჯიხური ავიღეთ. გარდა ამისა, უკანასკნელ თვეებში ქალაქში აღდგა და კეთილმოეწყო 40-მდე სკვერი და ბაღი, შეკეთდა სპორტული მოედნები; პარლამენტის შენობის წინ კი 9 აპრილისადმი მიძღვნილი მემორიალი შენდება; დაიწყო უნებართვო სარეკლამო ფარების დემონტაჟი და საგზაო ნიშნებისა და ახალი ტიპის შუქნიშნების დამონტაჟება",** – აცხადებს ჭიაბერაშვილი.

ქალაქის იერსახის შესანარჩუნებლად ძალზე მნიშვნელოვანია მშენებლობის კანონიერების შემსწავლელი კომისის საქმიანობა. ამ კომისიას უკანონოდ მიღებული ადმინისტრაციული აქტების გაუქმებისა და უკანონო მშენებლობის შეჩერების უფლებაც აქვს.

თბილისის გარეგნული სახის მოწესრიგებასთან ერთად მერია ქალაქის მმართველობის რეორგანიზაციაზეც ზრუნავს. შეიქმნა პროექტი "ქალაქ თბილისის ეფექტური მართვა", რომელიც სამართლებრივად და სტრუქტურულად გამართული თვითმმართველობის მოდელის ჩამოყალიბებას ითვალისწინებს.

ზურაბ ჭიაბერაშვილს არც "წყალკანალის" საკითხი დავიწყებია და, "ლეიბორისტების" გულის გასახეთქად, საკუთარ ნამოღვაწართა შორის "წყალკანალის" იჯარით გაცემის პროცესის შეჩერებაც მოიხსენია.

ასეთია მერიის ახალი ხელმძღვანელობის სამთვიანი მოღვაწეობის მოკლე მიმოხილვა. **"თბილისში იმდენი პრობლემაა, საკუთარი საქმიანობით კმაყოფილი ვერ ვიქნები, მაგრამ შესაძლებლობის მაქსიმუმს ვაკეთებთ",** – ამბობს ჭიაბერაშვილი.

ეკონომიურად განათებული თბილისი

ბოლო წლებში იმდენი პრობლემა დაუგროვდა ქალაქს, რომ მის თანამედროვე დონეზე მოწყობას მილიარდები ესაჭიროება. ერთ თვეზე ცოტა მეტია, რაც ბიუჯეტი დამტკიცდა და გამოყოფილი თანხები, თითქმის, ოთხჯერ გაიზარდა. კეთილმოწყობის სამსახურმა ექვსი მილიონი ლარი გამოყო, რაც ქალაქში გარე განათებების მოწესრიგებას მოხმარდება.

ნინო ბერელიძე

თბილისის გარე განათების ქსელის რეაბილიტაციის პროგრამა უკვე დაიწყო. პირველ რიგში, სამუშაოები მთავარ მაგისტრალებზე და ცენტრალურ ქუჩებზე განხორციელდება. მოგვიანებით განათდება კვარტლები და რაიონული ქუჩები. თბილისის კეთილმოწყობის სამსახურს მეორე კატეგორიის ქუჩების სიას რაიონებისგამგეობები მიაწვდიან; პროექტში გათვალისწინებული იქნება მოქალაქეების განცხადებებიც.

მერიის კეთილმოწყობის სამსახურის უფროსი შალვა ბებოშვილი: **"ქალაქის განათების სფეროში ყოველთვის არსებობდა სამი უმთავრესი პრობლემა: ქსელის მასიური დაზიანება, სამყოფი თანხების უქონლობა და მოსახლეობის მიერ დენის მოპარვა. გარე განათების თანხებს ჩვენი სამსახური იხდის და ეს დიდ ხარჯებს მოითხოვს. სარეაბილიტაციო ქსელის განახლება და ახლის დამონტაჟება ამჟამად ორთაჭალის ციხეებიდან ფონიჭალის მიმართულებით ხდება. სამუშაოები რუსთაველზე, ჭავჭავაძეზე და რამდენიმე ცენტრალურ ქუჩაზე უკვე დასრულდა. იქ აღდგა საბჭოთა დროინდელი 500-ვოლტიანი ნათურებით განათება, ნაწილზე კი დამონტაჟდა უცხოური ეკონომიური ნათურები. ერთი ასეთი ნათურის ყიდვა და ჩამოტანა საკმაოდ დიდ თანხასთანაა დაკავშირებული, მაგრამ ეს იმდენად მომგებიანია, რომ საჭიროა, მთელი ქალაქი ამით განათდეს. წელს უნდა გაკეთდეს 17 289 ნათურა. ასეთ შემთხვევაში, ელექტროენერგიის თვიური გადასახადი მილიონ ლარს შეადგენს. ეკონომიკური ნათურების შემთხვევაში კი, იგივე თანხით 27-28 ათასი ლამპიონის მიერ დახარჯულ ელექტროენერგიას ავანაზღაურებდით. ასეთ განათება დიდი ინტერვალით კეთდება და ნათებაც გაცილებით უკეთესი აქვს. მსოფლიო ბანკმა მილიონი ლარი გადმორიცხა ასეთი ნათურების შესაძენად, რომლებიც, ძირითადად, აღმაშენებლის ხეივანში დაიკიდება".**

ქალაქის ჩაბნელებული ქუჩების დიდი ნაწილი 2004 წლის ბოლოსათვის განათდება. სადაც ეკონომიკური ნათურა დამონტაჟდება, იქედან მოხსნილი ძველი ნათურა სხვა ქუჩას გაანათებს. განათდება ისეთი დასახლებები, სადაც გარე განათება საერთოდ არასოდეს ყოფილა. კეთილმოწყობის სამსახურში იმედოვნებენ, რომ მათი ბიუჯეტი ყოველწლიურად გაიზრდება და უახლოეს მომავალში თბილისს განათების პრობლემა აღარ შეაწუხებს.

სიახლეები ისევ პროკრედიტ ბანკიდან

პროკრედიტ ბანკი, რომელიც ორიენტირებულია მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებაზე, კვლავ სიახლეებს სთავაზობს კლიენტებს. ამჯერად პროკრედიტ ბანკმა შეამცირა საპროცენტო განაკვეთი ლარში და დოლარში გაცემულ ბიზნესსესხებზე. სიახლეა მომსახურებაშიც - დიანერგა პროკრედიტ ბანკის ბარათები, რომელთა საშუალებითაც, ბანკის კლიენტებს შესაძლებლობა ეძლევათ, განკარგონ თავიანთი ანგარიშები 24 საათის განმავლობაში.

პროკრედიტ ბანკი მომსახურებას უწევს 10 ათასზე მეტ მცირე და და საშუალო ზომის ბიზნესსაწარმოს ქვეყნის მასშტაბით და თამამად აცხადებს, რომ საქართველოში, ბიზნესკლიენტების რაოდენობის მიხედვით, პირველ ადგილზეა. ბანკს ახალი ფინანსური ექსპერტი ჰყავს. ეს არის დოქტორი აქსელ ზაუელი, რომელიც გუშინ სასტუმრო Merriott-ში გამართულ პრესკონფერენციაზე გენერალურმა დირექტორმა ფილიპ ზიგვარტმი საზოგადოებას წარუდგინა. სამეთვალყურეო საბჭოს მიერ პროკრედიტ ბანკის ახალი ფინანსური ექსპერტის დამტკიცება 29 ივლისს მოხდა. უახლოეს მომავალში მას წარადგენენ ეროვნულ ბანკშიც, სადაც მენეჯმენტის სტრუქტურა იქნება განხილული. დოქტორ აქსელ ზაუელს გერმანიის წამყვან ბანკებში მუშაობის 25-წლიანი გამოცდილება აქვს. პროკრედიტ ბანკის ხელმძღვანელობა დიდ იმედებს ამყარებს ახალ ფინანსურ ექსპერტზე.

პროკრედიტ ბანკმა არა მხოლოდ შეამცირა საპროცენტო სარგებელი ლარში გასაცემ სესხზე, არამედ გაზარდა სესხის დაფარვის პერიოდიც, რომელიც, 12 თვის ნაცვლად, ახლა 18 თვეს მოიცავს. ბანკის მენეჯერები ღრმად არიან დარწმუნებულნი, რომ უფრო გამარტივებული და გაუმჯობესებული პირობები დააინტერესებთ, პირველ ყოვლისა, იმ მეწარმეებს, რომლებიც მცირე და საშუალო ბიზნესს ეწევიან საქართველოში.

"ეს სიახლე - საპროცენტო განაკვეთების საგრძნობლად შემცირება, ხელს შეუწყობს ქვეყნის ეკონომიკის სტაბილიზაციას და საქართველოში მცირე და საშუალო ბიზნესის უფრო ინტენსიურ განვითარებას. საპროცენტო განაკვეთის შემცირებით პროკრედიტ ბანკი კიდევ უფრო გაიმყარებს და გაიძლერებს პოზიციებს საქართველოს საბანკო ბაზარზე", – აცხადებს გენერალური დირექტორი.

განახლებული საპროცენტო სარგებელი ბიზნეს სესხებზე აშშ დოლარებში ამიერიდან ასეთი იქნება:

მიკროსესხი - 2000-დან 10 000 დოლარის ფარგლებში, წლიური 22 პროცენტის ნაცვლად - 21 პროცენტიდან;

მცირე სესხი - 10 001-დან 50 000 დოლარამდე - წლიური 16 პროცენტი, ნაცვლად 15 პროცენტისა;

საშუალო სესხი - 50 001 დოლარიდან და ზევით – წლიური 16 პროცენტის ნაცვლად, 13 პროცენტიდან (სესხის დაფარვის ვადაა 6 თვე);

წლიური 14 პროცენტი - ბიზნეს სესხებზე (დაფარვის პერიოდით - 12 თვე);

წლიური 14.5 პროცენტი - ბიზნეს სესხებზე (დაფარვის პერიოდით - 24 თვე);

წლიური 15 პროცენტით - ბიზნეს სესხებზე (დაფარვის პერიოდით - 24 თვე);

ბიზნეს სესხები ლარში ასეთია:

მიკროსესხი 4000-დან – 20 000 ლარამდე – წლური 26 პროცენტიდან, ნაცვლად 30 პროცენტისა;

მცირე სესხი - 20 001-დან 1 000 ლარამდე - წლიური 18 პროცენტიდან, ნაცვლად 26 პროცენტისა;

საშუალო სესხი - 100 001 ლარიდან და მეტი – წლიური 17 პროცენტიდან, ნაცვლად 30 პროცენტისა;

რაც შეეხება პროკრედიტ ბარათებს, მათი საშუალებით, საქართველოს ფარგლებში არსებული პროკრედიტ ბანკის ნებისმიერ ფილიალში შესაძლებელია მარტივი და მოქნილი ანგარიშსწორება 24 საათის განმავლობაში, ლარში თანხის განაღდება კი უფასოა. თბილისში, ბათუმსა და ფოთში უკვე დადგმულია ბანკომატები. ამიერიდან მცირე მეწარმეებს საშუალება ექნებათ, ისარგებლონ პროკრედიტ ბანკის ექსპრეს-სესხებითაც. 4000 ლარამდე სესხები გაიცემა ერთ დღეში, ყოველგვარი ნოტარიული ფორმალობისა და ქონებრივი უზრუნველყოფის გარეშე.

თამარ ჯავჯანიძე

ევროსაბჭოს დახმარება პენიტენციარული სისტემის რეფორმაში

თამარ კავთარაძე

მას შემდეგ, რაც ევროსაბჭოს მოთხოვნებიდან გამომდინარე, სასჯელაღსრულების სისტემა პოლიციური მმართველობიდან იუსტიციის სამინისტროს დაქვემდებარებაში გადავიდა, ამ სისტემის რეფორმირებაზე და იქ ევროპული სტანდარტების დანერგვაზე საუბარი ინტენსიურად მიმდინარეობს. მაგრამ, ფაქტია, ამ მხრივ პენიტენციარულ სისტემაში რადიკალურად არაფერი შეცვლილა და იგი კვლავ კომუნისტური რეჟიმის გადმონაშთად რჩება.



ლიტვის და პოლონეთის სასჯელაღსრულებით დაწესებულების ხელმძღვანელები ქართველ კოლეგებს გამოცდილებას უზიარებენ.

მარიკა ამყრელაძვილის ფოტო

„ის, რომ სასჯელაღსრულების სისტემაში რადიკალური ცვლილებები არ მომხდარა, ამის მიზეზია სათანადო დაფინანსების და, რაც მთავარია, პოლიტიკური მხარდაჭერის არარსებობა,“ - განაცხადა იუსტიციის სამინისტროში ევროსაბჭოს ექსპერტებსა და იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის საპყრობილეებისა და დაწესებულებების ხელმძღვანელებს შორის გამართულ პირველ სამუშაო შეხვედრაზე იუსტიციის მინისტრმა.

როგორც გუშინდელ შეხვედრაზე გაირკვა, ამჟამად პოლონეთიდან და ლიტვიდან მოწვეულმა ევროსაბჭოს ექსპერტებმა საკუთარი გამოცდილების ქართველ მეციხოვნეთათვის გაზიარება რამდენიმე წლის, წინ ჯერ კიდევ მიხეილ სააკაშვილის იუსტიციის მინისტრობის პერიოდში დაიწყეს, თუმცა, გარკვეული მიზეზების გამო, მაშინ დაწყებული სწავლებები შეჩერდა. დღეს კი იგი კვლავ განახლდა და როგორც გიორგი პაპუაშვილი ირწმუნება, ევროპელ ექსპერტთა გამოცდილების გაზიარება მნიშვნელოვან გავლენას იქონიებს საქართველოში დაწყებულ სასჯელაღსრულებით სისტემის რეფორმაზე. მით უმეტეს, რომ პოლონელი პავლ მოცილოვსკი და ლიტველი აირის ლუქსი თავად არიან მათი ქვეყნის პენიტენციარული სისტემის ხელმძღვანელები და მათი საქმიანობა უშუალოდ უკავშირდება იმ რეფორმებს, რამაც პოლონეთის და ლიტვის საბჭოური ციხეთა სისტემა ევროპულ სტანდარტებამდე მიიყვანა.

„ჩვენი ქვეყნის გამოცდილებიდან გამომდინარე, შესაძლებელი იქნება, საქართველოში ერთ წელიწადში შეიქმნას რეფორმის კონცეფცია, რომელიც ეტაპობრივად განხორციელდება. აუცილებელია სასჯელაღსრულების სისტემის თანამშრომელთათვის ტრენინგების ჩატარება და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება,“ - განაცხადა ქართველ კოლეგებთან შეხვედრამდე გამართულ ბრიფინგზე მოცილოვსკიმ.

ხოლო აირის ლუქსის თქმით, ექვსი-შვიდი წლის წინათ ლიტვაშიც, დაახლოებით, ისეთივე მდგომარეობა იყო, როგორიც დღეს ქართულ პენიტენციარულ სისტემაშია, მაგრამ ამჟამად ყველაფერი ევროსაბჭოს სტანდარტებს აკმაყოფილებს.

„ჩვენ მზადა ვართ, ქართველებს საკუთარი გამოცდილება გავუზიაროთ,“ - თქვა აირის ლუქსმა.

ჟურნალისტებთან შეხვედრის შემდეგ კი უცხოელი ექსპერტების და ქართველი კოლეგების საქმიანი შეხვედრაც დაიწყო. შეხვედრის თემა ქართულ პენიტენციარულ სისტემაში გასატარებელი რეფორმები იყო, რომელიც იუსტიციის მინისტრმა გახსნა და ევროსაბჭოს ექსპერტებს საქართველოს პენიტენციარულ სისტემაში არსებული პრობლემები გააცნო.

მინისტრის განცხადებით, საქართველოში მძიმე პირობებში არიან არა მხოლოდ პატიმრები, არამედ დაწესებულების თანამშრომლებიც, რომლებსაც, ხელფასებს რომ თავი დავანებოთ, შესაბამისი აღჭურვილობა და ფორმებიც კი არ გააჩნიათ.

„პატიმარს და თანამშრომელს ერთმანეთისგან ვერ გაარჩევთ, ამიტომ უკვე დაწყებულია სპეციალური ფორმების შეძენა და უახლოეს ერთ-ორ თვეში ყველა მუშაკს ფორმა ეცმევა,“ - განაცხადა პაპუაშვილმა.

თუმცა, ქართველ მეციხოვნეთათვის გუშინ ყველაზე გასახარი, ალბათ, ხელფასების გაზრდის შესახებ მოსმენილი ინფორმაცია იყო. გიორგი პაპუაშვილის განცხადებით, 1 აგვისტოდან სასჯელაღსრულების დაწესებულების ყველა თანამშრომელს ანაზღაურება გაეზრდება.

სახელმწიფო ბიუჯეტის პრეფიციტის ხარჯზე, იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ბიუჯეტი 1.5 მლნ ლარით გაიზარდა, რაც თანამშრომელთა ხელფასების ზრდას და სატიმრო დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესებას მოხმარდება.

„სასჯელაღსრულების სისტემის თანამშრომლებს მცირე ხელფასი აქვთ, რომელიც 30-დან 100 ლარამდე მერყეობს. წლეულს მათთვის ხელფასების მომატება დაგეგმილი არ ყოფილა, თუმცა, ბიუჯეტის პრეფიციტით მათი შრომის ანაზღაურების გაზრდა შესაძლებელი გახდება,“ - აღნიშნა გუშინდელ შეხვედრაზე მინისტრმა.

დაბოლოს, როგორც გიორგი პაპუაშვილმა ჟურნალისტებთან საუბრისას აღნიშნა, რეფორმა რამდენიმე მიმართულებით განხორციელდება, მათ შორისაა პატიმართა დასაქმება, თანამშრომელთათვის სასწავლო ცენტრის ჩამოყალიბება, ციხე-კოლონიების მატერიალური ბაზის სრულყოფა და კოლონიების ტიპის დაწესებულებიდან საკნის ტიპის დაწესებულებებზე გადასვლა.

„რეფორმის რეალური შედეგი კი ორ-სამ წელიწადში სახეზე იქნება,“ - სჯერა გიორგი პაპუაშვილს.

ქართული მხარის პრეტენზიები აფხაზებს არ ადარდებთ

ჭუბურხინჯის გუშინდელმა ოთხმხრივმა შეხვედრამ საკმაოდ დაძაბულ ვითარებაში ჩაიარა. მხარეებს შორის სიტუაციის გართულება აფხაზური მხარის ახალ ულტიმატუმს მოჰყვა - აფხაზებმა ქართველ ჟურნალისტებს შეხვედრაზე დასწრების საშუალება არ მისცეს.

როგორც წესი, გუშინდელი ტრადიციული შეხვედრის თემაც გალის რაიონში ბოლო ერთი კვირის განმავლობაში არსებული კრიმინოგენული ვითარება გახლდათ. შეხვედრას ესწრებოდა გაერო-ს სამხედრო დამკვირვებელთა მისიის ხელმძღვანელი კონფლიქტის ზონაში გენერალი ჰუსეინ ელ გუბაში, აგრეთვე, რუსეთის სამშვიდობო ძალების სამხრეთ ზონის სარდალი, პოლკოვნიკი ვიქტორ კოლიჩენკოვი და აფხაზური მხარის წარმომადგენელი ვალერი ლომია. ქართული მხარის წარმომადგენელთა შორის ოთხმხრივი საგამოძიებო ჯგუფის წევრებიც იყვნენ.

გუშინდელ შეხვედრაზე ქართულმა მხარემ ოჩამჩირის პოლიგონზე სოხუმის დე ფაქტო ხელისუფლების სამხედრო ძალების მიერ წვრთნების ჩატარება გააპროტესტა. როგორც ქართველი სამართალდამცველები აცხადებენ, ოჩამჩირე შეიარაღების შეზღუდვის ზონაში მდებარეობს და ამის გამო, იქ მხოლოდ კოლექტიური სამშვიდობო ძალების კუთვნილი შეიარაღებისა და მძიმე ტექნიკის ყოფნაა დაშვებული. გუშინ აფხაზები ირწმუნებოდნენ, რომ შეტყობინება წვრთნების შესახებ ქართულ მხარეს წინასწარ გაეგზავნა. ქართული მხარის მტკიცებით კი, შეტყობინება წვრთნების დაწყებიდან ერთი კვირის შემდეგ მიიღეს.

ქართულმა მხარემ გუშინ უკვე მერამდენედ მოითხოვა გალის რაიონიდან აფხაზების მიერ გაძევებული ოთხი ქართული ოჯახის წევრების ბედის გადაწყვეტა. წინა შეხვედრებზე აფხაზურმა მხარემ ქართველებს ამის შესახებ არანაირი პასუხი არ გასცა. არადა, გალის რაიონიდან გაძევებულები, რომლებსაც აფხაზებმა სახლ-კარი მხოლოდ იმის გამო დაატოვებინეს, რომ ისინი ქართულ ჯარში მსახურობდნენ, დღემდე ზუგდიდს აფარებენ თავს. ქართულმა მხარემ ამ ოჯახების უკან დაბრუნება გუშინ კატეგორიულად მოითხოვა, თუმცა, გაძევებულების დაბრუნების საკითხი გუშინაც უპასუხოდ დარჩა.

გარდა ამისა, ქართულმა მხარემ გუშინ აფახაზებისგან პასუხი მოითხოვა დაახლოებით ათი დღის წინ, გალის რაიონის სოფელ სიდადან გატაცებული ცოლ-ქმრის – ალფენიძეების ადგილსამყოფელის შესახებ. გავრცელებული ინფორმაციით, ალფენიძეები აფხაზი ეროვნების პირებთან ერთად თხილის ბიზნესში იყვნენ ჩართული და მათი გატაცება ბიზნეს-ინტერესებს უკავშირდება. როგორც გაირკვა, ვინაიდან არც აფხაზური და არც ქართული მხარისთვის ალფენიძეების ოჯახიდან დახმარებისთვის არავის მიუმართავს, ეს ინფორმაცია ქართულმა მხარემ საკუთარი წყაროებით მოიძია.

ქართული მხარის წარმომადგენლებმა რუსეთის სამშვიდობო ძალებს და აფხაზურ მხარეს დაკარგული ცოლ-ქმრის ადგილსამყოფელის დადგენა მოსთხოვეს.

გუშინ ცნობილი გახდა, რომ აფხაზურმა მილიციამ კიდევ ერთი ქართველი, ზუგდიდის რაიონის სოფელ რუხში მცხოვრები რობერტ გერგედავა დააკავა. როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, გერგედავა გალის რაიონის სოფელ ჭუბურხინჯში, რუს სამშვიდობოთა 201-ე საგუშაგოსთან მაშინ დააკავეს, როცა იგი გალიდან ნათესავების გადმოსვლას ელოდებოდა. გერგედავა ამჟამად გალის რაიონის მილიციის განყოფილების წინასწარი დაკავების საკანში იმყოფება. აფხაზებმა მისთვის ქართველი ადვოკატის დანიშვნაზეც კი კატეგორიული უარი განაცხადეს. როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, გალის მილიციის განყოფილებაში მყოფ გერგედავას უახლოეს დღეებში გაერო-ს მისიის წარმომადგენლები მოინახულებენ.

24 საათი

გოგი კუპრეიშვილს დაუსაბუთებელი ქონება სრულად ჩამოართვეს

გუშინ, იმ დროს, როცა თბილისის საოლქო სასამართლო საერთაშორისო ძებნილად გამოცხადებული ლევან მამალაძისთვის დაუსაბუთებელი ქონების ჩამორთმევა-არჩამორთმევაზე მსჯელობდა, აჭარის უმაღლეს სასამართლოში, აჭარის უშიშროების ყოფილი მინისტრის ყოფილი მოადგილის გოგი კუპრეიშვილის დაუსაბუთებელი ქონების შესახებ მსჯელობა უკვე დამთავრებული იყო. აჭარის უმაღლესი სასამართლოს გადაწყვეტილებით, ასლან აბაშიძესთან დაახლოებულ ყოფილ მაღალჩინოსანს დაუსაბუთებელი ქონება სრულად ჩამოერთვა.

გოგი კუპრეიშვილს ჩამოერთვა ორი საცხოვრებელი სახლი და ერთი ბინა ბათუმში, მიწის ნაკვეთი აბაშის რაიონში, - ეს ის ქონებაა, რომელიც კუპრეიშვილს ჩამოართვეს. გარდა ამისა, თანამდებობის ბოროტად გამოყენებაში ბრალდებულის, გოგი კუპრეიშვილის ოჯახის წევრებს ბათუმში გაყიდული ბინების საფასურის გადახდაც მოუწევთ. დაუსაბუთებელი ქონების ნუსხაში მოხვდა ავტომანქანა "ნივაც".

ერთი სიტყვით, თითქმის ორკვირიანი მსჯელობის ბოლოს, აჭარის უმაღლესმა სასამართლომ დაუსაბუთებლად ჩათვალა გოგი კუპრეიშვილის ქონება და სახელმწიფოსთვის გადაცემის შესახებ პროკურატურის შუამდგომლობა დააკმაყოფილა.

ბრალდებულის ადვოკატები ბათუმის სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრებას აპირებენ.

კუპრეიშვილის ქონება, დაახლოებით, 500.000 ლარად არის შეფასებული, აქედან კი, დაახლოებით 100.000 ლარი ბრალდებულმა ბიუჯეტს ნაღდი ფული უნდა გადაუხადოს.

24 საათი

პროკურორი, მისი მოადგილე და გამომძიებელი ქრთამის აღების გამო დააკავეს

კორუფციას რომ პროკურატურის სისტემაშიც აქვს ფეხი მოკიდებული, ამას არც თავად სისტემის ხელმძღვანელები უარყოფენ. მაგარამ ამ დრომდე, ფაქტობრივად, არც ერთი შემთხვევა არ გახმაურებულა, რომელიც კორუფციაში მხილებული პროკურატურის თანამშრომლის პასუხისმგებლობას უკავშირდებოდა. გუშინ კი საქართველოს პროკურატურის ისტორიაში უპრეცედენტო შემთხვევა მოხდა, გენპროკურატურის თანამშრომლებმა ქრთამის აღების ფაქტზე ერთდროულად დააკავეს რაიონის პროკურორი, მისი მოადგილე და გამომძიებელი.

თამარ კავთარაძე

კოლეგების დაკავების ისტორია ასე დაიწყო. გენპროკურორის მოადგილეებმა სპეციალური პრესკონფერენცია გამართეს და იმ გამომძიებლის გვარი დაასახელეს, რომელიც უშუალოდ ქრთამის აღების მომენტში დააკავეს.

“რამდენიმე დღის წინ, გენერალურ პროკურატურაში მოქალაქის წერილი შემოვიდა, სადაც იგი აღნიშნავდა, რომ გამომძიებელი თანხას სძალავდა”, - განაცხადა გენერალური პროკურორის მოადგილემ გიორგი ჯანაშიამ.

საქმე ეხებოდა ვაკე-საბურთალოს რაიონის გამომძიებელს ზვიად უზნაძეს, რომელიც მომჩივანი მოქალაქის საქმეს იძიებდა. გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, გუშინდელ პრესკონფერენციაზე არც მომჩივანის ვინაობა და არც ის საქმე დასახელებულა, რისთვისაც გამომძიებელმა ქრთამი მოითხოვა. ერთი კი ითქვა, რომ ინფორმაციის შესვლის შემდეგ, გენერალური პროკურატურის და უშიშროების სამინისტროს თანამშრომლებმა ერთობლივი ოპერატიული ღონისძიებები დაგეგმეს და დამნაშავეც უშუალოდ ფაქტზე, ანუ დანომრილი ფულის აღებისას, საკუთარ კაბინეტში დააკავეს.

ჩვენი ინფორმაციით, მომჩივანი მოქალაქე ერთ-ერთი სასტუმროს დაცვის წევრი იყო. მან სასტუმროში შესამოწმებლად მისულ უშიშროების სამინისტროს თანამშრომლებს წინააღმდეგობა გაუწია, რის გამოც მის მიმართ ვაკე-საბურთალოს რაიონის პროკურატურაში საზოგადოებრივი წესრიგის დამცველის მიმართ წინააღმდეგობის გაწევის მუხლით სისხლის სამართლის საქმე აღიძრა. მოქალაქის განცხადებით, იმისათვის, რომ კანონით გათვალისწინებული, მაქსიმუმ ხუთწლიანი პატიმრობიდან თავი დაეღწია, გამომძიებელმა მას 2 ათასი დოლარი მოსთხოვა.

დაკავებული ზვიად უზნაძე გუშინვე გენერალურ პროკურატურაში გადაიყვანეს, სადაც მისი დაკითხვა გვიან საღამომდე გაგრძელდა.

“ამჟამად ჩვენ ვმუშაობთ იმაზე, იყო თუ არა დანაშაულებრივი კავშირი გამომძიებელსა და ვაკე-საბურთალოს რაიონის პროკურორს შორის,” - აღნიშნა გიორგი ჯანაშიამ პრესკონფერენციაზე.

მომხდარის გახმაურების შემდეგ, თავად პროკურატურის თანამშრომლები აღნიშნავდნენ, რომ ჩვეულებრივი გამომძიებელი, თუ მას ხელმძღვანელობისგან არ ექნებოდა “შეკვეთა”, ქრთამის აღებას ვერ გაბედავდაო.

კოლეგების ვარაუდი გამართლდა. მოგვიანებით, გენერალურ პროკურატურაში არა მარტო სავარაუდო ეჭვმიტანილი, ვაკე-საბურთალოს რაიონის პროკურორის მოადგილე დავით გერმანოზიშვილი, არამედ თავად რაიონის პროკურორი ბორის მჭედლიძეც დაიბარეს და რამდენიმესაათიანი დაკითხვის შემდეგ ორივეს საკუთარი გამომძიებლის ბედი გააზიარებინეს. სხვათა შორის, მჭედლიძე რაიონის პროკურორის თანამდებობაზე დაახლოებით ორი თვის წინ, ოქრუაშვილის გენპროკურორობის ბოლო დღეს დაინიშნა, ხოლო მისი მოადგილე ზურაბ ადეიშვილმა მხოლოდ ერთი კვირის წინ დანიშნა.

მჭედლიძე, გერმანოზიშვილი და უზნაძე ქრთამის აღებაში ეჭვმიტანილები არიან და ამჟამად წინასწარი დაკავების იზოლატორში იმყოფებიან. იმ შემთხვევაში, თუ ისინი საკუთარი უდანაშაულობის დამტკიცებას ვერ შეძლებენ, სისხლის სამართლის კოდექსით ხუთიდან ათ წლამდე თავისუფლების აღკვეთა ემუქრებათ.

ორი სიტყვით

თბილისი. თბილისის კრწანისი-მთაწმინდის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლითაც გენერალურ პროკურატურას დაევალა, თავი შეიკავოს ისეთი მოქმედებისგან, რაც ხელს უშლის შპს "ომეგა-2-ისა" და სტამბა "ომეგათეგის" მუშაობას, დღემდე არ შესრულებულა. თამბაქოს ფაბრიკა "ოჯთ-ს" გამომძიება გადასახადების დაფარვას ედავება, თუმცა სადავო თანხას პროკურატურა ჟურნალისტებთან არ აკონკრეტებს. გენერალური პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის უფროსი გიორგი ლაცაბიძე აცხადებს, რომ თამბაქოს ფაბრიკის ამოშავების საკითხი გადაწყდება, თუ "ომეგა" სახელმწიფოს ზარალს აუნაზღაურებს. როგორც "ომეგაჯგუფის" ადვოკატი სოსო ბარათაშვილი აცხადებს, "ომეგაჯგუფის" უცხოელი ინვესტორები მზად არიან, სადავო თანხა გადაიხადონ, და სათანადო პროცედურის გავლის შემდეგ ფაბრიკა ამოშავდება". **მედია-ნიუსი**

თბილისი. შს სამინისტროს სისხლის სამართლის სამძებროს თანამშრომლებმა სოფელ ტაბახმელას მიმდებარე ტერიტორიაზე მიწაში ჩამალული დიდი რაოდენობით იარაღი ამოიღეს. როგორც შს სამინისტროს ინფორმაციისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამმართველოში აცნობეს, ამოღებული იქნა 11 ცალი “რგდ”-ტიპის ხელყუმბარა, 4 ცალი “ფ-1” ტიპის ხელყუმბარა, 4 ცალი დეტონატორი, ორი ცალი სახმელეთო ნაღმი, ცეცხლსასროლი იარაღის 13 კლოფი სხვადასხვა კალიბრის ვაზნებით, ერთი ცალი მაშხალა. **პრაიმ-ნიუსი**

სანოტარო მომსახურება და საზღაური სანოტარო მომსახურებისათვის

ვინ არის ნოტარიუსი?

ნოტარიუსი არის იურისტი, რომელსაც კანონმდებლობით დადგენილ ფარგლებში მინიჭებული აქვს სახელმწიფოებრივი უფლებამოსილება და თავისი საქმიანობისას ასრულებს საჯარო ფუნქციებს. ამდენად, სრულიად მიუღებელია გავრცელებული შეხედულება იმის შესახებ, რომ არსებობს ე.წ. "სახელმწიფო" ნოტარიუსი და "კერძო" ნოტარიუსი. ხშირად მოქალაქეები იმის შიშით, რომ ესა თუ ის ნოტარიუსი არის "კერძო", ერიდებიან მისი მომსახურებით სარგებლობას და ამჯობინებენ ე.წ. "სახელმწიფო" ნოტარიუსს. უნდა აღინიშნოს, რომ ამგვარი დაყოფა მცდარია და ჩვენ ქვეყანაში მოქმედ ნოტარიატის ინსტიტუტს არ შეესაბამება. მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, მართალია, აღარ არსებობს სახელმწიფო ნოტარიუსი, მაგრამ ნოტარიატი არის საჯარო სამართლებრივი ინსტიტუტი, რომლის ამოცანაა პირებს შორის სახელმწიფოს მიერ დადგენილ ფარგლებში სამართლებრივ ურთიერთობათა და იურიდიული ფაქტების დადასტურება. ნოტარიუსის მიერ სანოტარო მოქმედება სრულდება კანონმდებლობით დადგენილი წესით და ფარგლებში.

ნოტარიატის სახელმწიფო რეგულირებას კანონმდებლობის საფუძველზე ახორციელებს საქართველოს იუსტიციის სამინისტრო და, შესაბამისად, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების იუსტიციის სამინისტროები. ნოტარიუსთა თანამდებობის რაოდენობასა და სამუშაო უბანს განსაზღვრავს იუსტიციის სამინისტრო. თითოეული სანოტარო ბიუროს გახსნა და თითოეული ნოტარიუსის მიერ სამუშაოს დაწყება ხორციელდება იუსტიციის სამინისტროს მკაცრი კონტროლისა და ნოტარიუსთა პალატის მონაწილეობით. ყოველი ნოტარიუსი თანამდებობაზე ინიშნება იუსტიციის მინისტრის მიერ.

რა უფლება-მოვალეობები აქვს ნოტარიუსს?

ნოტარიუსის ძირითადი ფუნქციაა: იმ აქტების შედგენა და დამოწმება, რომელთა სანოტარო წესით დამოწმება სავალდებულოა ამ აქტების ნამდვილობისა და მათთვის უდავო ხასიათის მინიჭებისათვის; ხელმოწერათა ნამდვილობის დადასტურება და კანონით გათვალისწინებული სხვა მოქმედებები. მოქალაქემ შეიძლება ნოტარიუსს მიმართოს იმ აქტების შედგენისა და დამოწმების სურვილით, რომელთა დამოწმებაც არ არის სავალდებულო, მაგრამ ნოტარიუსი დაამოწმებს ასეთ აქტებს, თუ ისინი აკმაყოფილებს კანონის მოთხოვნებს.

უნდა გვახსოვდეს, რომ ნოტარიუსი არ არის მხოლოდ კონკრეტული სანოტარო მოქმედების მექანიკური შემსრულებელი, არამედ იგი ვალდებულია იყოს თავისი კლიენტის მიუკერძოებელი იურიდიული მრჩეველი და სამართლებრივი დახმარება გაუწიოს პირს სანოტარო მოქმედებებთან დაკავშირებით. ნოტარიუსი მოვალეა სანოტარო მოქმედებების შესრულებისას სანოტარო მოქმედების შინაარსი და სამართლებრივი შედეგები განუმარტოს იმ პირებს, რომლებიც ითხოვენ სანოტარო მოქმედების შესრულებას, და იზრუნოს იმ პირთა ინტერესების დაცვაზე, რომლებმაც კანონი არ იციან და საჭიროებენ სამართლებრივ დახმარებას.

სწორედ ამიტომაც სანოტარო მოქმედების შესრულებისთვის კანონით დადგენილია საკმაოდ სოლიდური საზღაური. იგულისხმება, რომ ამ თანხას მოქალაქე იხდის სწორედ შესაძლო მაქსიმალური გარანტიის უზრუნველსაყოფად, რამდენადაც ნოტარიუსი იურისტია და ვალდებულია გააფრთხილოს კლიენტი მოსალოდნელი რისკის თაობაზე და ამით შეძლებისდაგვარად დაიცვას მისი ინტერესები.

რაც შეეხება ნოტარიუსის მატერიალურ პასუხისმგებლობას მის მიერ დაშვებული შეცდომებისთვის, თითოეული ნოტარიუსი ვალდებულია თავისი სამოქალაქო პასუხიმგებლობა დააზღვიოს, ანუ ჰქონდეს სავალდებულო პროფესიული დაზღვევა. ნოტარიუსს მატერიალური პასუხისმგებლობა ეკისრება პირდაპირი ქონებრივი ზიანისათვის, რომელიც გამოიწვია მისმა განზრახ ან გაუფრთხილებელმა ქმედებამ.

საზღაური სანოტარო მოქმედებათა შესრულებისთვის

სანოტარო მომსახურებისთვის განკუთვნილი საზღაური არის სანოტარო მოქმედების შესრულებისათვის, აგრეთვე, ამ მოქმედებასთან დაკავშირებული სამართლებრივი კონსულტაციისა და ტექნიკური სამუშაოსათვის გადახდილი ანაზღაურება.

ნოტარიუსი ვალდებულია სანოტარო საზღაურების განაკვეთების თაობაზე ინფორმაცია განათავსოს სანოტარო ბიუროში თვალსაჩინო ადგილას და, თქვენი მოთხოვნის შესაბამისად, გაგაცნოთ სანოტარო და სხვა მოქმედებათა შესრულებისათვის განკუთვნილი საზღაურის განაკვეთები. უფრო მეტიც, სანოტარო მოქმედების შესრულებისას იგი ვალდებულია სანოტარო წესით დამოწმებულ ყველა დოკუმენტზე მიუთითოს გადახდილი საზღაურის ოდენობა.

სანოტარო მომსახურების საზღაურის ოდენობა დამოკიდებულია თვით სანოტარო მოქმედების სახესა და სირთულეზე, განსხვავებულია საზღაურის გამოთვლის წესი და განაკვეთები, იმის მიხედვით, გარიგებასთან გვაქვს საქმე თუ არა და ა.შ.

თავდაპირველად განვიხილოთ საზღაურის გამოთვლის წესი გარიგებებთან დაკავშირებული სანოტარო მომსახურებისათვის.

ამ შემთხვევაში სანოტარო მომსახურების საზღაური აითვლება გარიგების საგნის (ნივთის ან უფლების) ღირებულებიდან.

აქვე უნდა გვახსოვდეს, რომ გარიგების ღირებულება უნდა დადგინდეს ეროვნულ ვალუტაში (ანუ თუ ნივთის ან უფლების ღირებულება გამოხატულია უცხოურ ვალუტაში, უნდა დადგინდეს ღირებულება შესაბამისი ეკვივალენტით ლარებში) და შესაბამისი სანოტარო საზღაურის გადახდაც უნდა მოხდეს მხოლოდ ეროვნულ ვალუტაში.

ორმხრივ ან მრავალმხრივ (ეს ისეთი გარიგებებია, რომლებშიც მონაწილეობს ორი ან მეტი მხარე და მხარეებს ერთმანეთის მიმართ გააჩნიათ როგორც უფლებები, ისე მოვალეობები) გარიგებებთან დაკავშირებული სანოტარო მომსახურებისთვის საზღაურის განაკვეთებია:

როცა გარიგების ღირებულებაა	საზღაურის ოდენობა ლარებით ან გარიგების ღირებულების
500 ლარის ჩათვლით	3%
501 ლარიდან 1000 ლარის ჩათვლით	15 ლარი + 500 ლარის ზევით თანხის 2,5 %
1001 ლარიდან 2000 ლარის ჩათვლით	27,5 ლარი + 1000 ლარის ზევით თანხის 1,5 %
2001 ლარიდან 3000 ლარის ჩათვლით	42,5 ლარი + 2000 ლარის ზევით თანხის 1 %
3001 ლარიდან 5000 ლარის ჩათვლით	52,5 ლარი + 3000 ლარის ზევით თანხის 0,5%
5001 ლარიდან 20000 ლარის ჩათვლით	62,5 ლარი + 5000 ლარის ზევით თანხის 0,4%
20001 ლარიდან 100000 ლარის ჩათვლით	122,5 ლარი + 20000 ლარის ზევით თანხის 0,3%
100001 ლარიდან 500000 ლარის ჩათვლით	365,5 ლარი + 100000 ლარის ზევით თანხის 0,2%
500001 ლარიდან 1000000 ლარის ჩათვლით	1162,5 ლარი + 500000 ლარის ზევით თანხის 0,1%
1000000 ლარის ზევით	1662,5 ლარი + 1000000 ლარის ზევით თანხის 0,05%

თითოეულ თქვენგანს, ალბათ, ხშირად მიგიმართავთ ნოტარიუსისთვის, გისარგებლიათ მისი მომსახურებით და საზღაურიც გადაგიხდიათ, მაგრამ შეიძლება არც კი იცით, ვინ არის ნოტარიუსი, რა ფუნქციები აქვს მას, რა საზღაურს იხდით სანოტარო მომსახურებისას. შევეცდებით მოკლედ განვმარტოთ მითითებული საკითხები და შეძლებისდაგვარად დეტალურად ჩამოვაყალიბოთ ყოველი კონკრეტული სანოტარო მომსახურებისთვის საზღაურის გადახდის წესი და საზღაურის ოდენობა.

საზღაურის გამოთვლის ამ წესის უფრო მარტივად აღსაქმელად მოვიყვანთ მაგალითს: ვთქვათ, თქვენ ყიდულობთ ბინას 8000 ლარად. ნასყიდობის ხელშეკრულება აუცილებლად უნდა დამოწმდეს ნოტარიულად. სანოტარო საზღაური ამ შემთხვევაში იქნება 62,5 ლარს დამატებული 5000 ლარს ზევით თანხის (8000 ლარს - 5000 ლარი), ანუ 3000 ლარის 0,4 %.

ზემოთ მოცემულია საზღაურის გამოთვლის წესი ორმხრივი და მრავალმხრივი გარიგებების დამოწმებისას. მაგრამ არსებობს ასევე ცალმხრივი გარიგებები, რომელთა დამოწმებისას საზღაური შეადგენს მითითებული განაკვეთების ნახევარს. ეს გარიგებებია: ჩუქება, სამკვიდროს მიღება, ჯილდოს მიღება და ა.შ.

მაგალითად, თქვენ მემკვიდრეობით უნდა მიიღოთ ბინა, რომლის საბაზრო ღირებულებაა 30000 ლარი, ე.ი გარიგების საგნის ღირებულება 20000 ლარიდან 100000 ლარის ჩათვლით შუალედშია. სანოტარო საზღაური გამოითვლება შემდეგნაირად: 122,5 ლარს დამატებული 20000 ლარის ზევით თანხის, ანუ 10000 ლარის 0,3 % და მიღებული თანხა იყოფა ორზე.

ზემოთ მითითებული წესებით დაანგარიშებული სანოტარო საზღაური ცალმხრივი, ორმხრივი თუ მრავალმხრივი გარიგებებისთვის არ უნდა იყოს 1000 ლარზე მეტი.

როგორ ხდება გარიგების საგნის ღირებულების დადგენა? მოყვანილ მაგალითებში ჩვენ მივუთითეთ ბინის საბაზრო ღირებულება, მაგრამ, კანონის თანახმად, გარიგების საგნის ღირებულების დადგენა ხდება შემდეგნაირად: სანოტარო მოქმედების შესრულებისას გარიგების ღირებულებაა მისი საგნის (ნივთის ან უფლების) მხარეთა მიერ გაცხადებული ღირებულება, ანუ ნოტარიუსი ვალდებულია, პირველ რიგში, თქვენ გკითხოთ, რამდენად აფასებთ გარიგების საგანს (ნივთი ან უფლება). თუ მხარეები ნოტარიუსს მიუთითებენ საგნის აშკარად შეუსაბამო ღირებულებას, მაშინ უკვე ნოტარიუსისთვის გარიგების განსაზღვრის საფუძველი ხდება საგნის საბაზრო ღირებულება.

ხშირია შეუსაბამოდ მცირე ფასის დაფიქსირების შემთხვევები, სანოტარო საზღაურისა და შესაბამისი გადასახადის ოდენობის შემცირების მიზნით, ამიტომაც თბილისში მოქმედებს საკრებულოს 2002 წლის 27 მარტის N2-1 გადაწყვეტილება ქ. თბილისში უძრავი ქონების 1 კვ. მ-ის საბაზისო საბაზრო ფასის განსაზღვრის შესახებ, რომლითაც განსაზღვრულია თბილისში მდებარე უძრავი ქონების საბაზისო ფასი უბნების მიხედვით. შესაბამისად, ნოტარიუსები თბილისში მდებარე უძრავ ქონებასთან დაკავშირებულ სანოტარო მოქმედების შესრულებისას ხელმძღვანელობენ სწორედ ამ გადაწყვეტილებით. სამწუხაროდ, ამ გადაწყვეტილების სტატიაში განთავსებას ვერ ვახერხებთ მისი მოცულობის გამო, მაგრამ, თუ ნოტარიუსი არ ენდობა თქვენს მონაცემს და თვითონ დაიანგარიშებს გარიგების საგნის ღირებულებას, თქვენ შეგიძლიათ მოსთხოვოთ მას მითითებული გადაწყვეტილების წარმოდგენა და თვითონვე გადაამოწმოთ საგნის საბაზისო ფასი მისი ადგილმდებარეობის მიხედვით. აღნიშნული გადაწყვეტილებით, საბაზისო ფასის გამოთვლა ხდება სპეციფიკურად, დაკავშირებულია უბნების შესაბამის კოეფიციენტებთან, ამდენად, გირჩევთ, ყურადღებით გაეცნოთ ამ აქტს.

ნოტარიუსს უფლება არ აქვს მოსთხოვოს სანოტარო მოქმედების შესრულების მთხოვნელ პირს გარიგების საგნის (ნივთის ან უფლების) ღირებულების დამადასტურებელი სხვა დოკუმენტი (გარდა იმისა, რასაც კლიენტი თვითონ მიუთითებს), კანონით პირდაპირ გათვალისწინებული შემთხვევების გარდა.

არის რიგი მარტივი სანოტარო მოქმედებებისა, რომელთათვის საზღაურის ოდენობა დამოუკიდებელია გარიგების ღირებულებისგან და დადგენილია მყარი განაკვეთებით. ქვემოთ მოცემულია ამ სანოტარო მოქმედებებისა და შესაბამისი საზღაურის ამომწურავი ჩამონათვალი:

ანდერძის დადასტურება	9 ლარი
ანდერძის გაუქმების შესახებ აქტის შედგენა	5 ლარი
ხელმოწერის ნამდვილობის დადასტურება	2 ლარი
დოკუმენტის თარგმანის სისწორის დამოწმება	თითოეული გვერდისათვის 1 ლარი
დოკუმენტის ასლისა და დოკუმენტთან ასლობის დადასტურება	თითოეული გვერდისათვის 0.2 ლარი
იმ დოკუმენტის ასლის გაკეთება, რომელიც რჩება სანოტარო ბიუროში	3 ლარი
ქონების ჩრდილობის (დაყადების) ხელშეკრულების დამოწმება განკარგვის უფლების გარეშე	5 ლარი
იურიდიული პირის მიერ გაცემული რწმუნებულების დადასტურება	6 ლარი
ფიზიკური პირის მიერ გაცემული რწმუნებულების დადასტურება	2 ლარი
საზღაური პროტესტის შესრულება	300 ლარი
დოკუმენტის შენახვა (ანდერძის გარდა)	ყოველი ოცდაათის 0.25 ლარი
ანდერძის შენახვა	1.5 ლარი
მოქალაქის ცოცხლად ყოფნის ფაქტის დასტურება	2 ლარი
მოქალაქის განსაზღვრულ ადგილას ყოფნის ფაქტის დადასტურება	2 ლარი
დოკუმენტის ნორმგების დროის დადასტურება	2 ლარი
მოქალაქის ფოტოსურათზე გამოსახულ პირთან იდენტობის ფაქტის დადასტურება	2 ლარი
ნოტარიუსის მიერ იურიდიულ და ფიზიკურ პირთა განცხადებების გადაცემა სხვა ფიზიკურ და იურიდიულ პირთათვის	3 ლარი
განცხადების პროექტის შედგენა	1 ლარი
განცხადების ან უწყების ფიზიკურ და იურიდიულ პირთათვის გადაცემის ან გადაცემის შეუძლებლობის შესახებ მონიშნის გაკეთება	2 ლარი
სააღსრულო მოწმობის გაცემა იმ ქონებაზე, რომლის შეფასებაც შეუძლებელია	5 ლარი
აღწაურობის უფლებასთან დაკავშირებით გაცემული წინასწარი თანხმობის დადასტურება	9 ლარი
ყიდვის ცნობის გაცემა	2 ლარი

სანოტარო საზღაურის მყარი განაკვეთია დადგენილი ორმხრივი თუ მრავალმხრივი გარიგების გაუქმებისათვის (მოშლისათვის) - 15 ლარი, მიუხედავად თვით გარიგების ღირებულებისა. გამონაკლისია მინდობის ხელშეკრულების გაუქმების (მოშლის) დამოწმება, რომლისთვისაც საზღაურია ამ ხელშეკრულების დამოწმებისთვის განკუთვნილი საზღაურის ნახევარი.

სანოტარო მოქმედება, როგორც წესი, სრულდება სანოტარო ბიუროში, თუმცა არსებობს გამონაკლისები, როდესაც სანოტარო მოქმედება უნდა შესრულდეს ბიუროს გარეთ (მაგ.: სანოტარო მომსახურების მომთხოვნი პირი ავადმყოფობის გამო ვერ ახერხებს ბიუროში გამოცხადებას). ამ შემთხვევაში სათანადო წესით გამოანგარიშებულ სანოტარო საზღაურს ემატება ყოველი დახარჯული საათისთვის 3 ლარი. იმავე თანხის გადახდა მოგიწევთ ყოველი დახარჯული საათისთვის, თუ სანოტარო მოქმედება განხორციელდება არასამუშაო დროს, 10 სთ-მდე ან 18 საათის შემდეგ. აღნიშნული წესი არ ვრცელდება სააქციო საზოგადოების საერთო კრების ოქმის შედგენაზე.

კიდევ ერთხელ გვსურს შეგახსენოთ, რომ სანოტარო მომსახურების საზღაური დადგენილია კანონით და ნოტარიუსი არ არის უფლებამოსილი თავისი ინიციატივით დაადგინოს რაიმე კონკრეტული ტარიფი. სანოტარო მოქმედებათა შესრულებისთვის საზღაურის შესახებ კანონი სანოტარო ბიუროში თვალსაჩინო ადგილას უნდა იყოს გამოკრული და ნოტარიუსიც ვალდებულია მიგითითოთ და განგიმარტოთ საიდან გამოითვლება ესა თუ ის კონკრეტული საზღაური, რომელიც თქვენ უნდა გადაიხადოთ სანოტარო მოქმედების შესრულებისთანავე.

თუ თქვენ მიგაჩნიათ, რომ სანოტარო მომსახურების გაწევისთვის საზღაური არასწორად გადაიხადეთ, უფლება გაქვთ მიმართოთ სასამართლოს. სასამართლოს მიერ საზღაურის უკანონო გადახდევინების ფაქტის დადგენისას ნოტარიუსი აბრუნებს საზღაურს და პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

კითხვა-პასუხები:

1. სოფლებში, სადაც არ მოქმედებს ნოტარიუსი, ხდება თუ არა სანოტარო მოქმედებების განხორციელება და ვინ ახორციელებს ამ მომსახურებას?

დასახლებულ პუნქტებში, სადაც არ არის სანოტარო ბიურო (ასეთი დასახლებებია: სოფელი, დაბა, თემი) ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოს ხელმძღვანელი (გამგებელი ან მის მიერ სათანადო აქტით უფლებამოსილება მინიჭებული პირი) ახორციელებს სანოტარო მოქმედებებს, მაგრამ არა ყველა სახის, არამედ მხოლოდ კანონით მკაცრად განსაზღვრულ სანოტარო მოქმედებებს. ეს სანოტარო მოქმედებებია:

ანდერძის დამოწმება;

სამკვიდრო ქონების დასაცავად ზომების მიღება;

გ) დოკუმენტის პირებისა (ასლებისა) და ამონაწერების სისწორის დადასტურება;

დ) პირთა განცხადებებისა და ცნობების სხვა პირებისათვის გადაცემა;

ე) პირის ცოცხლად ყოფნის ფაქტის დადასტურება;

ვ) დოკუმენტების შესანახად მიღება;

ზ) პირის განსაზღვრულ ადგილზე ყოფნის ფაქტის დადასტურება.

თუ თქვენ სხვა სანოტარო მოქმედების შესრულება გსურთ (მაგალითად, სამკვიდროს მიღება ან სახლ-კარის ნასყიდობის ხელშეკრულების დადასტურება), მაშინ აუცილებლად უნდა მიმართოთ უშუალოდ ნოტარიუსს, წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ თქვენ მაინც მიმართავთ გამგეობას და ისინი შეასრულებენ ამ სანოტარო მოქმედებას, მას ძალა არ ექნება და ბათილად ჩაითვლება.

2. რა ოდენობის საზღაური უნდა გადავიხადოთ კავშირის შექმნასთან დაკავშირებული სადამფუძნებლო დოკუმენტების დამოწმებისათვის?

კავშირის შექმნასთან ან რეორგანიზაციასთან ან წესდებაში ცვლილების შეტანასთან დაკავშირებული სადამფუძნებლო დოკუმენტების დამოწმებისათვის სანოტარო საზღაურია 18 ლარი.

3. რა ოდენობის საზღაურია გათვალისწინებული სააქციო საზოგადოების საერთო კრების ოქმის ნოტარიუსის მიერ შედგენისას?

კანონით სავალდებულოა სააქციო საზოგადოების საერთო კრებას დაესწროს და ოქმი შეადგინოს ნოტარიუსმა. საერთო კრების მიმდინარეობისა და ოქმის შედგენისათვის სანოტარო საზღაურია სააქციო საზოგადოების საწესდებო კაპიტალის 0,2 %, რომელიც არ უნდა იყოს 150 ლარზე მეტი.

4. რას ნიშნავს დოკუმენტის ლეგალიზაცია და ვინ ახორციელებს ლეგალიზაციას?

ოფიციალური დოკუმენტები (ამ შემთხვევაში აქ იგულისხმება ნოტარიუსის მიერ გარკვეული დოკუმენტების, მოქალაქეთა შორის დადებული გარიგებების დადასტურებაც), რომლებიც შედგენილია ერთი სახელმწიფოს ხელისუფლების მიერ ან რომელთა შედგენაშიც მან მიიღო მონაწილეობა, მეორე სახელმწიფოს მიერ განსახილველად მიიღება ამ ქვეყნის ხელისუფლების მიერ დადგენილი წესით მხოლოდ მათი ლეგალიზაციის შემთხვევაში.

დოკუმენტის ლეგალიზაცია ნიშნავს ნოტარიუსის მიერ დამოწმებული ან დადასტურებული დოკუმენტის შესაბამისობას საქართველოში მოქმედ კანონმდებლობასთან და წარმოადგენს სანოტარო მოქმედების შემსრულებელი ნოტარიუსის ხელმოწერისა და გერბიანი ბეჭდის ნამდვილობის დადასტურებას ამ დოკუმენტის სხვა სახელმწიფოში გამოყენების მიზნით.

ლეგალიზაციას არ საჭიროებს დსთ-ს ქვეყნებში წარსადგენი დოკუმენტები, რომლებიც შესრულებულია 1996 წლის შემდგომ პერიოდში.

საზღვარგარეთ სამოქმედოდ წარსადგენ დოკუმენტებს ლეგალიზაციისთვის ამზადებს ნოტარიუსი, ხოლო თვით ლეგალიზაციას აწარმოებს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ნოტარიატის განყოფილება.

5. რა ოდენობის საზღაური უნდა გადავიხადოთ დოკუმენტის ლეგალიზაციისას?

უცხო სახელმწიფოში გასაგზავნად საქართველოში გაცემული სანოტარო წესით დამოწმებული ან დადასტურებული საბუთების ლეგალიზაციისთვის დადგენილია შემდეგი საზღაურები:

ფიზიკური ან იურიდიული პირების კუთვნილი ქონების საკითხებზე უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტებისათვის - 70 ლარი;

სანოტარო წესით დამოწმებული იურიდიული პირების სადამფუძნებლო დოკუმენტებისათვის (მაგალითად, იურიდიული პირის წესდება, სხდომის ოქმის ამონაწერი, ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან და ა.შ.) - 70 ლარი;

მოქალაქეთათვის ქორწინების დამაბრკოლებელი გარემოებების შესახებ ცნობისათვის - 50 ლარი;

დ) სანოტარო წესით დამოწმებული მინდობილობებისათვის - 30 ლარი;

ე) სანოტარო წესით დამოწმებული ან დადასტურებული სხვა დოკუმენტებისათვის - 20 ლარი.

შენიშვნა: ეს საზღაური გადაიხდევინება უშუალოდ იუსტიციის სამინისტროს ნოტარიატის განყოფილების მიერ დოკუმენტების ლეგალიზაციისას და მასში არ შედის სანოტარო მომსახურების საზღაური.

მომზადებულია საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ, აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) და მერილენდის უნივერსიტეტის IRIS Center-ის ფინანსური მხარდაჭერით

ფონდები და ძეგლები

B2

ორმაგი გამარჯვება

თბილისის "დინამომ" ბელორუსიული ბარიელი გადალახა

B4

კარგი რამაა სკანდალი...

ჯენიფერ ლოპესს მუდმივი თანადგომა სჭირდება.

B8

იუბილე

ალექსანდრე გვახარიას დღიურებიდან

დღეს, 30 ივლისს 75 წელი უნდა შესრულებოდა გამოჩენილ მეცნიერს, აღმოსავლეთმცოდნე ალექსანდრე გვახარიას. მისმა ცხოვრებამ და გარდაცვალებამაც ღრმა კვალი დატოვა ადამიანთა მეხსიერებაში, რასაც მოწმობს ბოლო ორი წლის მანძილზე გამოქვეყნებული მრავალი სტატია, ლექსი, მისი ხსოვნისადმი მიძღვნილი კრებული და გამოხმაურებები ამ კრებულზე, საიდანაც იკვეთება მეცნიერის, ადამიანის, მოქალაქის სრულიად არაორდინარული პიროვნული პორტრეტი. ამ პორტრეტს ერთგვარად ავსებს და ახალ შტრიხს ჰმატებს დღეს მკითხველისთვის შეთავაზებული საარქივო მასალა, რომელიც ამონარიდია დღიურის ტიპის ჩანაწერებიდან 1980-90 წწ. ეს ე.წ. "შავი დავთარი" სათაურით - "გეგმები, შესრულება, შესვენება", რომელიც მის საწერ მაგიდაში (აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში) აღმოჩნდა, უფრო გეგმებით, სამეცნიერო იდეებითა და მათი განხორციელების აღნუსხვითაა სავსე. ჩვენ კი ამჯერად "შესვენებაზე" შევჩერდეთ.

ინგა კალაძე



ალექსანდრე გვახარია გიორგი წერეთელთან ერთად "ვისრამიანის" ტექსტზე მუშაობისას.

22.12.81. იწურება წელი, საქმე კი კვლავ უამრავი, უფრო მეტი. სად ქრება, დნება ეს დრო და რატომ არაფერი რჩება ხელთ, ყინულივით, თითებს შუა? ... Cito: ...

18.1.82. ესეც ახალი წლები გავიდა... ახალი დღეები, საათები, წამები! ვნახოთ, რას მოგვიტანს ეს "ძაღლის წელი", სუფრები, მგონი, ჩათავდა, ქელეხიან-დაბადების დღეებიან-ქორწილიანად! საქმე? Cito: ...

5.2.82. ...კიდევ მქონდა რაღაც მნიშვნელოვანი გასაკეთებელი, წუხელ რომ მეზმანა (ძილში!), ახლა კი არ მაგონდება. ვბერდები?

19.2.82. ...დღეს სწორედ 19-ია, თანაც, თებერვალი, თოვლიან-მზიანი დღე, ოღონდ 1982 წლისა! უბედური ზურაბ კაკაბაძე! კარგი წერილია (რეზი თვარაძისა) "ლიტერატურულში". ... "სიზმარია, სიზმარია, ყველაფერი"... (ზ. კაკაბაძე). "ჩვენი ცხოვრების გზა სიზმარია" (გალა); "ვითა სიზმარი ღამისა" - აქედან მოდის? მეც ხომ ასე დავარქვი 67 წლის იმ უბედურ დღეებს...(წლინახევრის ქალიშვილის - სოფიკოს - გარდაცვალების წელი (რედ.)) თუ ოდესმე გავაგრძელე ჩემი მოგონებები, ეპიგრაფად გალას და ზურას წარვუმძღვარებ! სი-ზმ-არი-ზმ?!

ზმ-ანება-ზამ

"ჰაის ზმიდი" = ტიროდი!

25.5.83. თვეზე მეტია, ამ "საგანძურში" არ ჩამიხედავს... ბაქოშიც არ წავედი... სიმშვიდე მინდა, დასვენება, წიგნის კითხვა დინჯად. წინ კი "ბალავარიანის" პირაშკმული ვეშაპი მელოდება!

2.1.84. ესეც ასე... კიდევ ერთი წელიც გავარდა. "Какое небо голубое" (თავში სულ ბულატის ეს სიტყვები მიტრიალებს "ბურატინოდან"), ალბათ იმიტომ, რომ ცა მოკრიალებულია, ოდნავ სუსხიანი ქარი ქრის, მზე ანათებს, ვერ გაიგებ, ზამთარია თუ გაზაფხულის პირი... რამდენი ხანია, ამ შავ დავთარს არ გავკარებივარ. წუთი არ მქონდა მართლაც, მძიმე წელი იყო ეს 1983, მაგრამ ახლა თვალს რომ ვავლებ - საკმაოდ ნაყოფიერი ჩემთვის: პირველი და მთავარი - ადას (ირანისტ ინგა კალაძის შინაურული მეტსახელი (რედ.)) წიგნი გამოვიდა და მისი რედაქტორობა ზოგ ავტორობაზე უფრო მეამაყება. კარგი წიგნია, ტექნიკური დეფექტი მცირე - ჩემი ბრალია. მეორე - ზუსტად ექვსი თვე (ივლისიდან - დეკემბრამდე) დამჭირდა "ბალავარიანისთვის". თითქოს არა უშავს გამოვიდა, თუმცა ისე ვჩქარობდი, მთლიანი სახით არც კი წამიკითხავს ერთად. ზოგი რამ შესამოწმებელია და დასამატებელი (ე. ტატიშვილის "საკიამუნი" "კავკასიონში" და სხვ.), მოვასწრებ 85 წლამდე!...

შემზარავი იყო ორმაგი თვითმფრინავის ისტორია... კიდევ რა დამრჩა გასული წლიდან? მუშაობა, მუშაობა სასიამოვნო, სასულიერო, გადამრჩენელი! პავლე ინგოროყვას გასაფრენად აწეული ცხედარი... საცოდავი გურამ პატარაია, ვინ იფიქრებდა? თეირანში მასთან შეხვედრას რა დამავიწყებს! კრისტიან ბერნარდი!

15.3.84. ...დღეს ბიძია გრიშას დაბადების დღეა, საღამოს ქ-ნ დარეჯანთან შევიკრიბებით, ტელეგადაცემასაც იქ ვუყურებ. 75 და 10! რა მალე გავარდა ეს 10 წელი უმისოდ, როგორ მენატრება მისი ხმა! წუხელ რადიოთი მოვისმინე და სულ თვალწინ მიდგას... გრიგოლ კიკნაძე! სულ სხვა ფენომენი იყო ჩვენთვის...

2.4.84. რა ცუდად გათენდა ეს ორშაბათი! დილით ფოსტალიონის ზარმა გაგვაღვიძა - დეპეშა ლენინგრადიდან: "31 марта скоропостижно скончался Борщевский Юрий Ефимович" (ლენინგრადელი ირანისტი (რედ.)). საწყალო, საცოდავო, მარტოხელა და მიუსაფარო იური! რა ნიჭი გაიფლანგა ფუჭად, რა საინტერესო, რთული, უცნაური კაცი წავიდა... მინდოდა ჩაფრენა დაკრძალვაზე, მაგრამ აკა (აკა გვახარია - შვილი (რედ.)) თბაბაშირშია, ცირაც (ცირა კალაძე - მეუღლე (რედ.)) ვერ არის კარგად... გონს რომ მოვიკრებ, დავწერ ორ სიტყვას...

22.5.84. თვეზე მეტია, "დღიურს" არ გავკარებივარ.... როგორ მიქრიან ეს დღეები, დატვირთულნი თუ ცარიელნი?... ამ თვეში ეს მაინც გავაკეთე - "რუსუდანიანი" დავამთავრე და გავუგზავნე იდას (იდა ბესტავაშვილი - "რუსუდანიანის" რუსულად მთარგმნელი (რედ.)) მოსკოვში. "ბალავარიანის" გასწორების (ბოროტნი --> შურტანი) შესახებაც დავწერე წერილი. ახლა "შაჰნამესაც" თუ მოვუღე ბოლო, ცოტას შევისვენებ. გადავიღალე, კითხვასაც ვეღარ ვახერხებ (თუმცა "Мертвая зона"-მ ძალზე მასიამოვნა. რამდენჯერ მიოცნებია სტივენ კინგივით, ბოროტების დასჯა რომ შეიძლებოდეს უმალვე, გამჟღავნებამდე!). აკას და ადას წარმატებები მანუგეშებს... კოლია ბორშევსკი (იური ბორშჩევსკის ვაჟი (რედ.)) შემეცოდა - ქალაღდები გადავაბრუნე და ანდერძი ვერ ვნახეო... მეც ხომ არ ვიფიქრო ანდერძზე, აკას რომ არ ექნეს თავსატეხი?

10.7.84. ესეც ივლისი, თბილისურად ცხელი დღეები, ოდნავ გრილი წყნარი საღამოები, ღრუბლები თითქოს ადნებიან საოცრად ღურჯ ზეცას. ხალხი ქალაქიდან გარბის, სიცარიელე და სიმშვიდე სადგურდება გარეთ. შიგნით?...

საქმე, საქმე ამოსუნთქვის გარეშე, არადა - სიჩქარეს ვერ ვიტან. გუშინ მთელი დღე ვიწექი და ვკითხულობდი. ერვე ბაზენი კარგია, ნ. ამოსოვი - კიდევ უკეთესი. რა მიხარია, აკას შემთხვევით რომ ვუყიდე ლინდენ ბრანდტი!

...რაღაც ამ ბოლო დროს... არა, არც მინდა ფიქრი. ჯერ საჭირო ვარ, არც ისე, მაგრამ მაინც... საცოდავი გივი ნახუცრიშვილი, დიდ შინაგან პატივისცემას იწვევდა. ინსტიტუტის (უცხო ენების ინსტიტუტი (რედ.)) შენობიდან რომ გაასვენეს, ვიფიქრე - მეც ასევე, ჩვენი ინსტიტუტიდან... არა, არ მინდა ამაზე წერა, თუმც ანდერძზე ფიქრის დროც მოდის. ძნელი კი ყოფილა, რამ დააწერინა იოსებ გრიშაშვილს ამდენი ანდერძი? ...ფანჯრიდან სუსტად დაუბერა ნიავმა და ამ შუა ქალაქში ზღვის სურნელი შემოიტანა. როგორ მენატრება ზღვა! ნეტავ რა ამინდია ციხისძირში?

21.6.85. ესეც ასე... ბავშვობაში დღე იყო გრძელი, დაუღამებელი. ახლა კი წლები გარბიან შეუმჩნევლად! თითქმის ერთი წელი გავარდა ბოლო ჩანაწერის შემდეგ... რამდენი რამ მოხდა, ნეტავ რა გამახსენდება? - ოქტომბერში ბულგარეთი - ვარნა-სოფია, V კონფერენცია, ლ. ეიდლინთან (ცნობილი სინოლოგი (რედ.)) ერთად ისევ. მანამდე, მანამდე ყველაზე სასიხარულო - ადას მშვენიერი დაცვა მოსკოვში... შემდეგ ნოემბერი, ბაქო, დილარას (დილარა ალიევა - ბაქოელი ქართველოლოგი (რედ.)) ხმაურიან-წვიმიანი დაცვა, ნიზამის კონფერენცია, ქარიანი ათაშგაჰი და ცარიელი ზღვის სანაპირო... ასე მოვიდა ახალი წელი, ახალი საზრუნავი... აპრილი-მაისი - "ბალავარიანის" ბეჭდვა და აჰა ისიც, ბუდას მრავალსახეობით დამშვენებული. არ ვიცი, რა გამოვიდა, ჯერ ვერ ვიყურები შიგ ("როგორ მესმის ადასი, "უნსურის" რომ ვერ ეკარებოდა კარგა ხანს).

18.11.85. თითქმის ექვსი თვე გავიდა, ჩასაწერად ვერ მოვიცალე... დღეს შვებულება დამიმთავრდა. ორი თვე და არც ერთი დღის დასვენება, გამოძინებაც კი ვერ მოვახერხე...

25.7.86. შვიდი თვე, შვიდი თვე ამ ახალი წლისა ისე გავარდა, ამ რვეულში ჩახედვაც კი ვერ მოვახერხე, ჩაწერას რომ თავი დავანებო... რა ხდება? რა სისწრაფით გარბის დრო? რატომ ვერ ვასწრებ ვერაფერს? ახლა თბილისური ზაფხულია. შიშით ვერ ვამბობ, ისე წუხს ყველა სიცხის გამო, მე კი მსიამოვნებს ეს ამინდი! ბავშვობა მაგონდება, ცარიელი ქალაქი, სიცხისგან დადუმებული ქუჩები, მე კი მივყვები კედლის გასწვრივ გაწოლილ ვიწრო ზოლს ჩრდილისას და ვნეტარებ... ახლა, მართალია, ყველაფერი შეიცვალა, აღარც ქალაქია ცარიელი და აღარც სოლოლაკის საყვარელი ქუჩა-ბანდები, მაგრამ მაინც...

5.2.87. ...ვაი, როგორ გარბიან ჩვენი ყოფის დღეები, ერთი წელიც გასულა, მე კი ვერ გამიგია! გაოცებაა უადგილოა, მხოლოდ სინანული თუ ჩუმი სიხარული დასასრულისა...

მაინც ყველაზე დიდი შთაბეჭდილება გასული წლისა ჰამბურგია! XXXII კონგრესი, მე და გია ბერაძე - ჯერ ფრანკფურტში ხეტიალი, შემდეგ - ბონი, კიოლნის ტაძარი და 5 დღე ჰამბურგში. ზღაპრულად მწვანე და მშვიდი ქალაქი, კონგრესჰაუსი... ჰამბურგი ამბროლაურის შემდეგ, სადაც სიცხეში რიონის ნაპირზე იყო სიგრილე, ცარიელ კინოთეატრებში - "სურამის ციხე", მტვერი და ძაღლები.

შემოდგომა - ლექციები, მოსკოვი... ლიხაჩოვის დღეები, წერილი გაზეთში. რა შორს მეჩვენება, ზუსტად ერთი წლის წინ ამ დროს, 86-ის თებერვალში - კვლავ პუშკინის სახლი, ძალზე ახლო ურთიერთობა ამ გასაოცარ პიროვნებასთან...

ახლა კი იოსებ ორბელის 100 წელზე ვარ მიწვეული ლენინგრადში, მაგრამ წავალ? აქაც აკაკი შანიძის 100 წელია... რაც მთავარია, გაოგნებული ვარ, ისე უცებ დამაყენა ბ-ნ კოტე ფაღავამ ფაქტის, ანუ რექტორის წინაშე - კათედრის გამგედ!

როგორ ტრიალებს ბედის ბორბალი - არმიღებული ასპირანტი, შემდეგ - პრეპარატორი, გამგედ უნდა დაუბრუნდეს კათედრას 35 წლის შემდეგ? არ ვიცი, ვერ გადამიწყვეტია. მოვშორდე ჩემს მყუდრო ოთახს, წიგნებს, სიმშვიდეს?

ახალი წლის ყველაზე დიდი შთაბეჭდილებები - "მონანიება" და ვახტანგ გაბუნიას გამოფენა.

გინდ იარე მიწაზე და
გინდ იფრინე ცაში,
დრო ყველაფერს გამოავლენს,
დრო ყველაფერს წაშლის.

ა.გ.

5.5.87. კათედრის გამგეობის ეპოპეა დასრულდა გუშინ, თსუ სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე... და ასე დაიწყო ახალი ხანა ჩემს "სიბერე მახლავს" ცხოვრებაში... უარი აღარ ითქმებოდა, რამდენიმე წელს ვიმუშავებ-მეთქი. კარგი ბავშვებია, თავს ვინუგეშებ, თუმც ქაღალდომანია ტანში მზარავს - პროგრამები, ოქმები, სხდომები!

აუ, ჩემო წყნარო ოთახო, მეგობარო წიგნებო და მონატრებულო თეთრო ქაღალდო.

...გეგმები მიტრიალებს თავში, მაგრამ მბრძანებლობა რომ არ შემიძლია?

6.7.87. თითქმის ორი თვე გავარდა კათედრის საქმეების მოწესრიგებაში და ჯერ ვერაფერი გავაკეთე. ასეც ვიცოდი! დატვირთვა, ცხრილი, დროის ფლანგვა.

...დრო, დრო, დრო!

ამ ბოლო დროს სიკვდილზე ფიქრი ხშირად მომდის, არ მეშინია, რას დავისვენებ, გამოვიძინებ! წიგნები უნდა მივალაგო, რაც ინსტიტუტის ბიბლიოთეკას არა აქვს, მათ დავუტოვებ (ცხადია, - სპეციალურს). მხატვრული აკასია!

ადა მოუვლის და გაარჩევს ამ საქმეს...

ბედნიერი ვარ, რომ მოვესწარი ბეჭდურად ხილვას ისეთი ნაწარმოებებისა, როგორიცაა "Дети Арбата" (А. Рыбаков), "Гоголь" (В. Набоков), "Ночевала тучка золотая" (А. Приставкии) და სხვ.

31.12.87. რამდენიმე საათში დადგება ახალი წელი... ვიყავი უნივერსიტეტში, არავინ დამხვდა, ანგარიშები და რეცენზიები მოვათავე, ისიც ნაწილობრივ (არ მთავრდება კანცელარია!). თანდათან თითქოს ვეგუები, მაგრამ ახლა ინსტიტუტში ვარ (აგრეთვე ცარიელია) და თითქოს მშობლიურ კუთხეს დავუბრუნდი. მაინც ამ ოთახს არაფერი სჯობს: წიგნები და სიმშვიდე. რა გავაკეთე ამ წელიწადში საინტერესო? - არ ვიცი. სულ რაღაც წვრილმანები იყო... ალბათ მაინც ჩემი საყვარელი "ვისრამიანის" რუსული თარგმანის გამოსაცემად მომზადება (რედაქცია, წინასიტყვაობა, შენიშვნები), "რუსუდანიანის" რედაქტირების დასრულება! ჰო, ადას ახალი წიგნის რედაქტირება - კარგი გამოდის. ლექსიკოლოგიურ-ეტიმოლოგიური ძიებანი...

12.7.88. ამას კი სრულებით არ მოველოდი! დღეს საერთო კრებამ დაამტკიცა ჩემი არჩევა საქ. მეცნ. აკად. წევრ-კორესპონდენტად. უცხოდ ჟღერს. თავი მიბრუის, პირი გამშრალი მაქვს, ცხელა, აკას გერმანელების შემოსევა... არ მოველოდი, ამდენს და ასე გულწრფელად თუ გაუხარდებოდა...

4.7.89. ერთი წელი გასულა, რაც აქ არ ჩამიხედავს! ერთი წელი... ნეტავ კიდევ რამდენი დამრჩა? თუმცა რა აზრი აქვს მკითხაობას, რა შეიცვლება? ისე კი თანდათან უნდა შევეჩვიო აღსასრულის მოახლოებას. აღსასრული! რა საზეიმოდ ჟღერს. იქნება უბრალო, შეუმჩნეველი გარდაცვალება. მართალია, რომ ამბობენ, ხშირად თუ იფიქრებ და წარმოიდგენ, საშიში არაფერია. რას გამოვიძინებ! თუმცა ჯერ მცირე რამ მოსაგვარებელი დამრჩა...

მთელი ეს პერიოდი დაემთხვა სოციალურ-პოლიტიკურ მღელვარებას. გასული წლის ნოემბერი, წლევანდელი 9 აპრილი! გაგონება და გააზრება მზარავს: დარბევა, სისხლი, მსხვერპლი! ვისთვის, რისთვის, ვითომ საქართველოსთვის? (აღარ შემიძლია წერა, უნდა შევწყვიტო)...

6.7.89. ღმერთო ჩემო, ღმერთო მაღალო! ვკითხულობ ევგენია გინზბურგის "Крутой маршрут"... ცრემლებს ვერ ვიკავებ - ვასია აქსიონოვი - მაგადანში დედასთან... ეს ხომ მეც ვარ, თუმც თბილისში დარჩენილი, საცოდავ დედაჩემს რომ შევხვდი მაისის თბილ დღეს ციმბირულ ქურქსა და ჩექმებში გამოწყობილს, 4 წლის უნახავს და მაინც მაშინვე რომ ვიცანი! რა საშინელება შეუძლია ჩაიდინოს ადამიანს და რა მცირედი სიკეთეა საჭირო ამის დასავიწყებლად! იქნებ სწორედ ამიტომ ჩემთვის - და, განსაკუთრებით, სხვებისთვის - აუხსნელად, მხოლოდ სიკეთის გაკეთება (რაც შემიძლია) მიმაჩნია ერთადერთ მიზნად და მოვალეობად. ვის ნაცვლად ვიხდი მუქაფას? ვინც მამაჩემი დახვრეტის წინ უკანასკნელად ანუგეშა? ვინც დედაჩემს დაპატიმრების წინ თბილები ძალით შეუხვია და ხელში შეაჩეჩა? ერთი მსხვერპლი იყო, მეორე - ჯალათი...

რა ამოხსნის ამ საიდუმლოს: როგორ შეუძლია ადამიანს იყოს ერთდროულად უსაზიზღრესი მტარვალი და კეთილი ანგელოსი? თუ ეს ერთდროულად არ ხდება? განა არსებობს მხოლოდ კეთილი და მხოლოდ ბოროტი პიროვნება? ალბათ - არა. ამიტომ ადამიანმა უნდა ჩაიკლას თავის თავში ეშმაკეული და მარად ისწრაფვოდეს ღვთაებრივისკენ!

17.8.90. სანდრიკოს (პირველი შვილიშვილი - სანდრო გვახარია (რედ.)) მოვლინება ამ ქვეყნად!! მთელი ღამის ღელვა... ღმერთო, შენ დაიფარე ეს პატარა, თბილი, საყვარელი, ჭკვიანი არსება!

Что сказать мне о жизни?
Что оказалась длинной.
Только с горем я чувствую
солидарность,
Но пока мне рот не забили глиной,
Из него раздаваться будет
Лишь благодарность.

ი. Бродский, ЛО № *8, 1990*

თეატრები

თავისუფალი თეატრი
დათო ტურაშვილი
"ჯინსების თაობა"
რეჟისორი: დათო დოიაშვილი
დას: 19:00 სთ.

კინოთეატრები

"რუსთაველი"
"სპარტანელი"
დას: 14:30; 19:30; 22:00 სთ.

"ადამიანი ობობა 2"
დას: 17:00 სთ.

გამოფენები

TMS
გოგი ჩაგელიშვილის ნამუშევართა პერსონალური გამოფენა (ფერწერა)

"ძველი გალერეა"
ალი ასლანიშვილის ნამუშევართა პერსონალური გამოფენა (ფერწერა, გრაფიკა)

"ორიენტი"
ჟურნალ არტ-მარკეტის" საპრეზენტაციო გამოფენა

"ქარვასლა"
მამუკა ცეცხლაძის ნამუშევართა პერსონალური გამოფენა

"ჰობი"
გამოფენა "კალეიდოსკოპი"

სურათების ეროვნული გალერეა
ირინა რაზმაძის ნამუშევართა პერსონალური გამოფენა (ფერწერა)

დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ შეგიძლიათ მოგვაწოდოთ ინფორმაცია ელექტრონულ მისამართზე: culture@24hours.ge

ფონდები და ძეგლები

თეონა ჯაფარიძე

“ნებისმიერი რანგის დონორს თამამად შემიძლია წინ დავუდო ეს ბუკლეტი და ამ რეკომენდაციების მიხედვით თანხები მოვიძიო.” - მეუბნება ქალბატონი **მაკა დვალიშვილი, ხელოვნებათმცოდნე, “ხელოვნების საერთაშორისო ცენტრის” (ფონდი) დირექტორი.**

ბუკლეტი ორიგინალური ფორმისაა: ერთი შეხედვით ის საქაღალდეა, რომელზეც გამოსახულია გელათის მონასტრის კედლის მხატვრობის ფერად ილუსტრაციათა თუ პროექტში მონაწილეთა მუშაობის ამსახველი ფოტოები. საქაღალდეში მოთავსებულ თავფურცელზე კი კომპაქტურად მოწოდებულია ინფორმაციები გელათის ღვთისმშობლის ტაძარზე უკვე განხორციელებულ სამუშაოთა თუ მომავალი სამუშაო გეგმის შესახებ. საქაღალდეში კიდევ მაღალ პოლიგრაფიულ დონეზე შესრულებული ტაძრის შიდა სივრცის ამსახველ პლაკატსაც შეხვდებით და ღია ბარათებსაც მონასტრის ფრესკების ფრაგმენტების ფოტოებით (დიზაინერი გეგა პაქსაშვილი). მათ ორმაგი დატვირთვა აქვთ: ისინი ერთგვარ სუვენირის როლსაც ასრულებენ და ინფორმაციებსაც იძლევიან ძეგლისა თუ ამ ძეგლზე ჩატარებული და მომავალში განსახორციელებელი სამუშაოების შესახებ. ეს კულტურულად და პროფესიონალის ხელით შეფუთული ლაკონური სამუშაო გეგმაა, რომელიც ნამდვილად მიიზიდავს ისეთი მსხვილი ორგანიზაციების ყურადღებას, როგორებიცაა, მაგალითად, მსოფლიო ბანკი, “პოლ გეტის” ფონდი, მსოფლიო მონუმენტების ფონდი ან UNESCO. “ქართული კულტურისა და ხელოვნების ფონდი მსგავს მსხვილ, საერთაშორისო ორგანიზაციებთან 1996 წლიდან თანამშრომლობს, რის შედეგადაც სხვადასხვა სახის, მეტად მნიშვნელოვანი სამუშაოები უკვე ჩაუტარდა **ყინწვისს, ტიმოთესუბანსა** და **გელათის** ტაძარს.

გელათი. ღვთისმშობლის ტაძარი. სამხრეთ-აღმოსავლეთი ეგვტერი. მღვდელმთავრები. დეტალი. XIII საუკუნე.

გელათი. ღვთისმშობლის ტაძარი. ჩრდილო-აღმოსავლეთი ეგვტერი. შობა. დეტალი. XVII საუკუნე.

როგორ შეიძლება მოვიზიდოთ საერთაშორისო ფონდები და რით შეიძლება გამოიწვიო მათი ინტერესი, უფრო სწორი იქნება თუ კითხვას ასე დავსვამთ: **როგორ შეიძლება საქართველოშიც დავამკვიდროთ ცივილიზებულ მსოფლიოში აპრობირებული მეთოდები კულტურული მემკვდრეობის გადასარჩენად?**

პირველი რიგის აუცილებელი პირობა ის გახლავთ, რომ თავად ძეგლი უნდა წარმოადგენდეს მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობისათვის ფასეულობას.

მაგალითად, ქალბატონი მაკა რიო დე ჟანეიროში icom.cc-ის (აიკომის კონსერვაციის კომიტეტის) მე-13-ე ტრიენალეს შესახებ შემდეგს იხსენებს: “რიო დე ჟანეიროს ტრიენალეზე ყინწვისთან და ტიმოთესუბანთან დაკავშირებული მასალები წარვადგინე. ფრესკების სლაიდების ჩვენების დროს “გეტის” ფონდის დირექტორი ისე აღფრთოვანდა, რომ მალევე წამოვიდა თანამშრომლობაზე, მაგრამ ცხადია, ეს თანამშრომლობა ორივე მხარის პროფესიონალიზმს გულისხმობს. ასეთ მსხვილ ფონდებს თავიანთი დამცავი მექანიზმები აქვთ. ყოველ ორგანიზაციას თავისი მოთხოვნები აქვს. ეს მოთხოვნები ერთმანეთზე ჯაჭვივით არის გადაბმული და სხვადასხვა ფონდებთან გვაკავშირებს. მათთან ურთიერთობის დროს ყველაფერი იფილტრება და გამჭვირვალე ხდება. “გეტის” ფონდი პროექტის შემდეგ ეტაპს არ დააფინანსებს, თუ ძეგლზე წინასწარი კვლევის შედეგები არ წარუდგინე მას. მეცნიერ პოლ გეტის ფონდი დიდ მუზეუმ-ქალაქს წარმოადგენს კალიფორნიის შტატში, ლოს ანჯელესში, თავისი სახელგანთქმული სარესტავრაციო ცენტრითა და უამრავი დაწესებულებით” - მიამბობს ქალბატონი მაკა.

რაც შეეხება მსოფლიო მონუმენტების ფონდს, ის ამერიკული ფონდია, რომლის სათავო ოფისი ნიუ იორკშია. ორ წელიწადში ერთხელ ის მსოფლიოს იმ 100 ძეგლის ნუსხას აქვეყნებს, რომელთაც სასწრაფოდ ესაჭიროებათ დახმარება. ფონდს აუცილებლად პროფესიონალურად უნდა მიეწოდოს ინფორმაცია ამა თუ იმ ძეგლზე, რომელიც ფასეულია და სასწრაფო დახმარებას საჭიროებს.

წლევანდელ ნუსხაში World Monuments Fund-მა ტიმოთესუბანი გადაუდებელ სამუშაოთა ჩასართებელი ძეგლების ნუსხაში სწორედ იმიტომ შეიყვანა, რომ ფონდს წინ უდევს “საქართველოს ხელოვნებისა და კულტურის ფონდის” მიერ წარდგენილი დოკუმენტაცია, სადაც აღწერილია ტიმოთესუბნის კედლის მხატვრობაზე უკვე ჩატარებული დიაგნოსტიკური კვლევის შედეგები და მოცემულია ინფორმაცია ჩატარებული სარეაბილიტაციო არქიტექტურული სამუშაოების შესახებ; ამასთანავე, დაგეგმილი საკონსერვაციო სამუშაოები. აქვე აღვნიშნავთ, რომ ტიმოთესუბანზე ჩასატარებელ სამუშაოებში, **როგორც დონორი ორგანიზაცია საქართველოდან, "ისტორიულ ძეგლთა დაცვისა და გადარჩენის ფონდიც”** იღებს მონაწილეობას.

“90-იან წლებამდე საქართველო იზოლირებული იყო საერთაშორისო სარესტავრაციო თუ საკონსერვაციო მეთოდებისაგან. საკმაოდ ძლიერი, ავჩენიკოვის რუსული სკოლის იქით ჩვენი კონტაქტები აღარ ვრცელდებოდა. ქართველ მეცნიერთაგან პირველი, **ეკა პრივალოვა** იყო, რომელმაც კვლევით ფაქტორს ჩაუყარა საფუძველი” - იხსენებს ქალბატონი მაკა და განაგრძობს:

“ჩვენი პირველი ერთობლივი პროექტი საერთაშორისო ორგანიზაციებთან ყინწვისი იყო. რესტავრაციაზე პრეტენზია არ გვქონდა. ფუნქციები ასე განაწილდა: იმისათვის, რომ პროექტი ფონდებისათვის წარგვედგინა დასაფინანსებლად, ის მეცნიერულად გამართული და დასაბუთებული უნდა ყოფილიყო. ამ საქმეს მაშინ ქალბატონმა ეკა პრივალოვამ მიხედა. მე კი მენეჯმენტზე ვზრუნავდი. კვლევითი სამუშაოები კი იტალიელებმა განახორციელეს.

მოკლედ რომ ვთქვა, პროექტის მართვის კულტურა, მენეჯმენტი და ადმინისტრირება ამერიკელებისაგნ შევისწავლეთ, ხოლო როგორ უნდა შედგეს სარესტავრაციო პროექტი, ეს იტალიელებმა გვასწავლეს ყინწვისის მაგალითზე” - მიხსნის ქალბატონი მაკა.

ყინწვისს ტიმოთესუბანი მოჰყვა, რომელზეც თითქმის დამოუკიდებლად იმუშავა საქართველოს კულტურისა და ხელოვნების ფონდმა, თუმცა, როცა რესტავრაციამდე მივიდა საქმე, იტალიელი კონსულტანტების ჩართვა გახდა საჭირო. აქ ხარაჩოები უკვე აიგო და აგვისტოდან ძეგლზე მუშაობა კვლავ დაიწყება. მასალები იტალიიდან ჩამოდის.

გელათზე კი კვლევითი საფეხურები დამთავრებულია და საქართველოს კულტურისა და ხელოვნების ფონდს უკვე მზად აქვს პროექტი სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის თანხების მოსაპოვებლად.

ტონი ბლერის ზაფხულის საიდუმლო

სილვიო ბერლუსკონიმ წლევანდელი ზაფხულის ერთი საიდუმლო გასცა: ტონი ბლერი თავის ოჯახთან ერთად დასასვენებლად სარდინიაში, იტალიის პრემიერ-მინისტრის ვილაში ნასვლას აპირებს. ბლერის ოჯახი ე.წ. “ჯეიმს ბონდის ბუნაგში” გაჩერდება, კოსტა-ესმერალდაზე, რომელიც მდიდართა “სათამაშო მოედნის” სახელითაა ცნობილი.

ბერლუსკონის ნათქვამმა საგონებელში ჩააგდო დაუნინგ სტრიტის რეზიდენცია. როგორც წესი, ბლერის ადგილსამყოფელი და გადაადგილების მარშრუტი საიდუმლო არის ხოლმე, უსაფრთხოების დაცვის მიზნით. ბრიტანეთის პარლამენტის წევრები კი გაოცებულნი დარჩნენ, მათ არ სურთ, რომ ბლერსი სენიორ ბერლუსკონის მეგობრად მოიხსენიონ.

თავად ბერლუსკონის თქმით, ტონი ბლერი, მისი მეუღლე ჩერი და მათი შვილები - კეტრინი, იუანი, ნიკოლასი და ლეო 16-17 აგვისტოს იტალიის პრემიერ-მინისტრის მამულში, პორტო როტონდოს სანაპიროზე მდებარე ვილა Certosa-ში დაისვენებენ. ეს ინფორმაცია უკვე პრესაშიც გავრცელდა.

ამ ცნობის გავრცელება იმას ნიშნავს, რომ ბლერს კრიტიკის ქარცეცხლი დაატყდება თავს. შესაძლოა, ის იმაში დაადანაშაულონ, რომ სარგებლობს მემარცხენე ფრთის პოლიტიკოსისა და მედიამაგნატის სტუმართმოყვარეობით, რომელიც, თავის მხრივ, ცდილობს საკუთარი იმიჯის განმტკიცებას, და იმის დემონსტრირებას, რომ მეგობრული ურთიერთობა აქვს მსოფლიო ლიდერებთან და რომ მსოფლიო ლიდერები მისი ცხოვრების სტილით აღფრთოვანებულნი არიან.

ბლერების ოჯახი, რომელიც ერთ დროს ტოსკანაში ისვენებდა, იტალიაში უკანასკნელად 2000 წლის აგვისტოში იყო. თავიდან ისინი არ მალავდნენ, რომ მათი რომანტიკული ურთიერთობები ფლორენციაში დაიწყო, საუბრობდნენ ტოსკანურ ღვინოზე, ულამაზეს პეიზაჟებსა და ხელოვნებაზე. მაგრამ მდგომარეობა შეიცვალა - უარესობისკენ, როდესაც ბლერების არდადეგები ყოველწლიურ საცირკო სანახაობად იქცა. ამ სანახაობაში, რასაკვირველია, აქტიურად მონაწილეობდნენ მასმედიის წარმომადგენლები. იტალიელ არისტოკრატთა სტუმრების ცხოვრება კი ყვითელი პრესის ფურცლებზე პერმანენტულად აისახებოდა.

ვილა Certosa უკვე კარგა ხანია პრესისა და მემარცხენე ოპოზიციის დაცინვის საგნად იქცა. მაისში ცნობილი გახდა, რომ ამ ვილაში სარემონტო სამუშაოებისთვის უზარმაზარი თანხა დაიხარჯა. რემონტის იდეა, რა თქმა უნდა, ბერლუსკონის ეკუთვნოდა. მან მოინდომა ვილაში საიდუმლო შესასვლელის გაკეთება ხრამიდან და იქვე ბერძნული ამფითეატრის აგება. ვილას უზარმაზარი ბაღი აკრავს, ბაღშია ტბა, შადრევნები და ხუთი საცურაო აუზი.

რეტროს სტილი თანამედროვე ფოტოგრაფიაში

ირმა შარიქაძის პირველი პერსონალური გამოფენა

მაია მამულაშვილი

ცოცხალი მუსიკა, სასიამოვნო გარემო, ცნობილი სახეები Live-სა და ფოტოებზე - ეს ყველაფერი 28 ივლისს შეგეძლოთ გენახათ ბარ “შარდენში”, სადაც ირმა შარიქაძის პირველი პერსონალური გამოფენის გახსნა გაიმართა. რეტროს სტილის გამო ფოტოებზე ყველაფერი შავთეთრ ტონში იყო გადაწყვეტილი.

საკმაოდ დიდი დრო დასჭირდა ირმა შარიქაძეს, რომ საზოგადოებისთვის განსხვავებული სახით წარედგინა საკუთარი ფოტონამუშევრები. ამ პროექტზე დაახლოებით ორი წელი მუშაობდა. ეს არ იყო გარემო, ადგილი, სადაც ადამიანს დასვენების საშუალება ექნებოდა და თავს სულ სხვა სამყაროში იგრძნობდა.

ირმას რომ ყველაფერი წარმატებით გამოუვიდა, ამაში დამეთანხმებით, თუ მოსაწვევების ორიგინალური ფორმის შესახებაც გეტყვით.

ორიგინალურობა გამოიხატებოდა რეტროს სტილში დაბეჭდილ სტილიზებულ ფოტოებში, რომლებსაც გარშემო მაქმანი ჰქონდა შემოვლებული.

მოსაწვევების რაოდენობა შეზღუდული იყო. ამას ადვილად მიხვდებოდით, როცა გამოფენაზე თავშეყრილ საზოგადოებას გადახედავდით. მის დიდ ნაწილს ის ადამიანები შეადგენდნენ, ჩვენში რომ ელიტას უწოდებენ.

იური ლოგოდინის ფოტო

საკმაოდ დიდი დრო დასჭირდა ირმა შარიქაძეს, რომ საზოგადოებისთვის განსხვავებული სახით წარედგინა საკუთარი ფოტონამუშევრები.

ცნობილ სახეებს იხილავდით ფოტოებზეც. მაგალითად, მაკა ასათიანისა და კრისტი ყიფშიძის დუეტი XVII-XVIII საუკუნის ტანსაცმელში, ანდა ირინა ონაშვილის მცდელობა, ეჩვენებინა რეტროს სტილი და ა.შ.

ასეთი სახეები მეტ-ნაკლებად გვხვდებოდა ფოტოებზე, რადგან ირმა შარიქაძის თვითმიზანი არ ყოფილა მაინცდამაინც ცნობილი ადამიანები გადაეღო.

დარბაზში შესვლამდე იგივე ფოტოები შეგეძლოთ ვიდეოფირზეც გენახათ, რომელსაც შესასვლელში უჩვენებდნენ.

დათო დოიაშვილი, რეჟისორი: “მე ძალიან კმაყოფილი ვარ, რომ საერთოდ ასეთი რაღაცეები კეთდება თბილისში - ეს ერთი, მეორეც, მე მიყვარს შავ-თეთრი ფოტო. აქამდე კარგად არ ვიცნობდი ირმა შარიქაძის ფოტოხელოვნებას. დღეს რაც ვნახე, ძალიან მომეწონა.”

მიუხედავად იმისა, რომ ირმასთვის ეს პირველი პერსონალური გამოფენა იყო, ზოგადად გამოფენების პრაქტიკა მას დიდი ხანია აქვს, თუმცა “შარდენში” აბსოლუტურად განსხვავებული პროექტი შემოგვთავაზა, რაც რთული საორგანიზაციო იყო.

“შარდენამდე” CIFA-ს სარეკლამო ფოტოგამოფენაზე ნამუშევრების ნახევარზე მეტი ირმა შარიქაძეს ეკუთვნოდა.

მას გამოფენა ჰქონდა საზღვარგარეთაც. რა თქმა უნდა, არა პერსონალური, არამედ ერთობლივი. პროექტი, სახელწოდებით “ქარავან სარაი” მოითხოვდა, ამიერკავკასიის საუკეთესო ფოტონამუშევრები ევროპაში გამოეფინათ.

ერთი წლის განმავლობაში გამოფენები ეწყობოდა ვროპის სხვადასხვა ქვეყნებში, ბოლო გამოფენა თბილისშიც გაიმართა. გამოფენის დახურვა, ანუ ფინალი “N გალერეაში” შედგა.

ფოტოგრაფიაში მიღწეულ წარმატებაზე ფოტოგამოფენასთან ერთად მეგობრებისგან თუ, უბრალოდ, ნაცნობებისგან მიღებული დაუსრულებელი მილოცვებიც მეტყველებდა.

მიუხედავად ამისა, ჯერჯერობით მსგავს პროექტს ირმა შარიქაძე აღარ გეგმავს, ის რეჟისურით დაინტერესდა. მან უკვე გადაიღო მომღერალ ანა ჯაკის კლიპი, რომელიც ამჟამად მონტაჟის პროცესშია. პრემიერა სექტემბერში შედგება.

სიახლე სიმპსონების ცხოვრებიდან

როგორც პოპულარული ამერიკული მულტიპლიკაციური სერიალის - “სიმპსონების” ავტორები გვამცნობენ, ფილმის ერთ-ერთი გმირი მალე გაამხელს, რომ ის გეია. თუ ვინ იქნება ეს პერსონაჟი, ჯერჯერობით საიდუმლოდ რჩება; სერიალის ერთგული მაყურებელი კი უკვე თავს იმტვრევს იმაზე, თუ ვის გულისხმობენ ავტორები.

“ერთ-ერთ ეპიზოდში იმისათვის, რომ ქალაქ სპრინგფილდის (სპრინგფილდში სერიალის გმირები ცხოვრობენ) ბიუჯეტი შეივსოს, შემოიღებენ კანონს, რომლის მიხედვითაც ერთი სქესის პარტნიორების ქორწინება ნებადართული იქნება, - ამბობს რეჟისორი ალ ჯინი, - ჰომერი ინტერნეტში ანკეტას შეავსებს და მღვდელი გახდება, აი, სწორედ ამ დროს გამოჩნდება დიდი ხნის წინ დავიწყებული გმირი, მაგრამ მას ჯერ არ დავასახელებ.”

ცოტა ხნის წინ მაყურებელი ბჭობდა, თუ ვინ შეიძლებოდა ყოფილიყო ის გმირი, რომლის ჩამოშორებასაც აპირებდნენ ავტორები. ეს დავა რამდენიმე კვირის განმავლობაში გრძელდებოდა. მერე კი ცნობილი გახდა, რომ ფილმიდან უნდა გაეყვანათ მოდი - ჰომერ სიმპსონის მეზობლის, ნედ ფლანდერსის ცოლი.

ამასობაში სერიალის მოყვარულთა ინტერნეტ-გვერდზე დიდი დისკუსია მიდის იმის თაობაზე, თუ ვინ არის ეს საიდუმლოებით მოცული გეი. ამასთან დაკავშირებით ათასგვარი ვერსია წარმოიშვა, მისტერ ბერნს ვეილონ სმითერსის თანამგზავრით დაწყებული, ჰომერ სიმპსონის ცოლისდებით დამთავრებული.

სერიალის ავტორმა მეტ გრენინგმა ისიც კი იხუმრა: “ამ როლში თვით ჰომერიც კი შეიძლება მოგვევლინოსო”.

ახალ სერიაში, რომელიც ამერიკის ტელეეკრანებზე სავარაუდოდ მომავალი წლის იანვრის თვეში გამოვა, ქალაქ სპრინგფილდში ერთი სქესის პარტნიორები დაქორწინდებიან - ეს თემა დღევანდელ ამერიკაში, საპრეზიდენტო არჩევნების წინ განსაკუთრებით აქტუალური გახდა.

მეტ გრენინგმა ასევე აღნიშნა, რომ გადაწყვეტილი აქვს კინოფილმის გადაღება სიმპსონების ოჯახის ცხოვრების შესახებ, მაგრამ ამ ჩანაფიქრს მხოლოდ მას შემდეგ განახორციელებს, როცა ტელესერიალი დასრულებული იქნება.

იმ ცნობილ პირთა შორის, რომლებიც “სიმპსონების” შემდეგი ეპიზოდის სტუმრებად არიან მიწვეულნი, ვიხილავთ რეპერს 50 Cent, კომიკოს რეი რომანოსა და მსახიობ კიმ კეტრელს, გახმაურებული ფილმის - “სექსი დიდ ქალაქში” ერთ-ერთი მთავარი როლის შემსრულებელს.

სპორტულ-კულტურული კოქტეილი

ათენი-2004

ოლიმპიადა ბერძნულ ფესვებს უბრუნდება. ათენი უდიდესი სპორტული სანახაობისთვის ემზადება. თუმცა, სპორტი ამ 16 დღის განმავლობაში კულტურასაც შეითავსებს. თამაშების დაწყებამდე ორიოდე დღით ადრე ვეწვიოთ ათენს და ვნახოთ, თუ რა კულტურული ღონისძიებებით დახვდება ქვეყნის დედაქალაქი უდიდეს ტურისტულ შემოსევას. ტერორიზმის საფრთხის მიუხედავად ხომ სპორტითა და ხელოვნებით გატაცებულ პილიგრიმებს სრულ უსაფრთხოებას ჰპირდებიან და ისინიც გუნდ-გუნდად მიემართებიან ათენისკენ.

13-29 აგვისტოსთვის მზადება ბერძნებმა 1997 წლიდან დაიწყეს. სწორედ ამ წელს აირჩიეს ათენი ოლიმპიური თამაშების მასპინძლად და რამდენიმე მილიონი ევროს ღირებულების პროექტიც მაშინვე გახსნილად გამოცხადდა. ქალაქის ოლიმპიურ სტადიონს რეკონსტრუქცია ესპანელმა არქიტექტორმა სანტიაგო კალატრავამ გაუკეთა. ოლიმპიური სოფელიც უმაღლეს დონეზე მომზადდა... თუმცა, ამ სპეციფიკურად სპორტულ დეტალებზე მსჯელობა ჯობია, სპორტულ მიმომხილველებს მივანდოთ, ჩვენ კი, დაპირებისამებრ, კულტურულ თემატიკაზე გადავერთოთ და ოლიმპიური თამაშების თანმხლები ღონისძიებები მიმოვიხილოთ. ორგანიზატორები ხომ პირობას დებენ, რომ "ათენი-2004" ისტორიის, ერთობის და კულტურის მიქსი იქნება; დღეები, რომლის მთავარი შთაგონებაც ანტიკური ოლიმპიური ფასეულობებია და დღეები, რომლის მაქსიმალურად სისხლსავსედ გასატარებლადაც ტურისტები აქედანვე უნდა შეემზადონ.

მაშ ასე, როგორია დიდი სპორტული ზეიმის თანმხლები კულტურული "პარტი" (იგივე წვეულება ბერძნულად).

ათენის საკონცერტო დარბაზის ფოიე. 15 სექტემბრამდე. გამოფენა, რომელიც მთლიანად მოიცავს ქორეოგრაფიისა და მუსიკის ისტორიას ანტიკურ ბერძნულ ცივილიზაციაში. ექსპოზიცია შვიდ თემად არის დაყოფილი, მათ შორისაა: მუსიკა და ცეკვა პრეისტორიულ საბერძნეთში, მუსიკისა და ცეკვის ამსახველი მონეტები, მუსიკური ინსტრუმენტები, მუსიკა და ცეკვა საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში და სხვა.

ათენის ფესტივალი. 1 მაისი-30 სექტემბერი. ამ შემთხვევაში ოლიმპიადა თითქმის არაფერ შუაშია. ათენის ფესტივალი ისედაც ყოველწლიურად იმართება. თუმცა, ხუთთვიანი ღონისძიების ორგანიზატორებმა მაინც ყველაფერი გააკეთეს იმისთვის, რომ წლევანდელი ფესტივალი საუკეთესო ყოფილიყო.

გამორჩეულობას მას ადგილიც ანიჭებს. ის ხომ აკროპოლისის შესასვლელთან, 2 ათასი წლის წინ აშენებულ შენობაში იმართება. ერთ დროს გადახურული თეატრი ახლა გადახდილია და ვარსკვლავიანი ცის ქვეშ მსოფლიოს საუკეთესო ორკესტრები უკრავენ. წელს ათენის ფესტივალზე გამოვლენ: ბერლინის ფილარმონიის ორკესტრი, ლუჩანო პავაროტი, ლონდონის სიმფონიური ორკესტრი, იქნება ვენის სახელმწიფო ოპერის მიერ დადგმული შტრაუსის "სალომეა" და ვერდის "ნაბუქოც" - საბერძნეთის ეროვნული ოპერისგან.

ტრადიციული ბერძნული ცეკვების ფესტივალი. 28 მაისი-3 ოქტომბერი. ეს ღონისძიებაც ყოველწლიურია. თუმცა, ოლიმპიადის წყალობით, აგვისტოში გაცილებით უფრო მეტ სტუმარს ელის.

ფილოპაპოს ბორცვზე დორა სტრატოს თეატრის დასი ყოველ ღამით ტრადიციულ ცეკვებს ტრადიციული მუსიკისა და კოსტიუმების თანხლებით ცეკვავს.

ვინც ფესტივალზე ჩასვლას აპირებს, დორა სტრატოს აუცილებლად უნდა იცნობდეს. ამ ქალბატონმა ბერძნული ფოლკ-კულტურის დაცვისთვის უამრავი რამ გააკეთა, 35 წლის წინ კი თეატრიც დაარსა. მას ბერძენი მხატვარი სპიროს ვასილიუ დაეხმარა და გახსნის დღიდან დიდი პოპულარობა მოიპოვა. ისინი დაახლოებით ისეთივე შთაბეჭდილებას ახდენენ საზღვარგარეთ, როგორც "რივერდანსის" მოცეკვავეები ირლანდიური კულტურის წარდგენისას.

ათენის ფესტივალზე კი სტრატოს თეატრი განსაკუთრებულად ცდილობს მაყურებლის მოხიბვლას. ამის გამო, მათი ყოველი შოუ ყოველ საღამოს განსხვავებული და იმპროვიზაციებით სავსეა.

ათენის ნაციონალური გალერეა. 9 ივნისი-4 ოქტომბერი. ქანდაკების ექვსი მაესტრო და ადამიანის სხეული - ასე ჰქვია გამოფენას, რომლის მიზანიცაა წარმოაჩინოს ანტიკური ხელოვნებისა და სხეულის ანტიკური ფორმების გავლენა თანამედროვე სკულპტურებზე. წარმოდგენილია ჰენრი მურის, ბრანკუზის, ჯაკომეტის, როდენისა და სხვათა ნამუშევრები. დამთვალიერებლები კი ერთმანეთს ადარებენ მათ ტექნიკას, სტილს და გავლენას ურთიერთზე. საკმაოდ დროული და აქტუალური თემაა - აგვისტოში ხომ ათენი სპორტსმენების სრულყოფილი ადამიანური ფორმებითაც გაივსება - ეს კი კიდევ ერთი შანსი იქნება ახალგაზრდა მოქანდაკეებისთვის, რომ ანტიკურ მიწაზე ჯაკომეტისა და სხვათა ნამუშევრების დათვალიერების პარალელურად ახალ-ახალი შემოქმედებითი იდეებით აივსონ და მოიძიონ პასუხი კითხვაზე - როგორია ადამიანის სხეული 21-ე საუკუნეში.

ლიკავიტუსის ფესტივალი. 1 ივლისი-31 ოქტომბერი. ლიკავიტუსის მთაზე ფესტივალი ყოველწლიურად იმართება. აგვისტოში, ოლიმპიადისთვის ჩასულ ტურისტებს, ღონისძიება უკვე კარგად გახურებული დახვდებათ.

ხელოვნების დღეები ღია ცის ქვეშ მიმდინარეობს. ქალაქის უბრწყინვალეს ფონზე მსოფლიოში სახელგანთქმული მოცეკვავეები და თეატრალები წარმოადგენენ საკუთარ შემოქმედებას. წლევანდელ ფესტივალზე ხოაკინ კორტესი იცეკვებს ცეცხლოვან ფლამენკოს, იმღერებენ: "მობი", ჯეინ ბირკინი, "დენდი უორჰოლზი", "მასივ ეთეკი" და, რაღა თქმა უნდა, იქნება შექსპირიც.

ლიკავიტუსის მთა, როგორც ათენელები ამბობენ, მისაღწევად ცოტა შეიძლება რთული გეჩვენოთ - ციცაბოა, მაგრამ სამაგიეროდ იქედან ქალაქის ულამაზესი ხედი იშლება, თანაც ხედს ხომ მსოფლიო კულტურის ცნობილი სახეების ცოცხალი წარმოდგენებიც ემატება. ასე რომ, იქ 31 ოქტომბრის ჩათვლით სრული იდილია სუფევს.

თავისთავად ცხადია, ათენი ოლიმპიადას სხვა კულტურული ღონისძიებებითაც ეგებება. თუმცა, ყველაფრის მიმოხილვა ხომ შეუძლებელია. ერთი კია, ათენში ჩასვლა ნამდვილად ღირს. თანაც, ბერძნები ყველანაირი ტიპის ადამიანის სიამოვნებაზე ზრუნავენ - მათ, ვისაც ოლიმპიადაზე ატეხილი ხორხოცის პერსპექტივა დიდად არ ხიბლავს, კულტურული ღონისძიებებისთვის ათენში ჩასვლა ოლიმპიური თამაშების დასრულების შემდეგაც შეუძლიათ - არტ-ფესტივალის უმრავლესობა ხომ შემოდგომამდე გასტანს.

და ესეც რომ არა, ათენის მთავარი ღირსშესანიშნაობებიც იქვე დგას, არსად გადაუტანიათ; ესე იგი ქალაქის კარი თქვენთვის მუდამ ღიაა.

მეოცნებენი

მაკა კუკულავა

მთავარი პერსონაჟების გარდა ფილმის მთავარი გმირი, პირველ რიგში თავად კინოა.

თუ ცხოვრება კინოა, ნოსტალგია განვლილ ცხოვრებაზე პოსტმოდერნიზმში კინოს მთავარი თემა ხდება. თუ გმირი მოგზაურია, მაშინ ეს ფილმი დაიწყება იმით, რომ ახალგაზრდა ამერიკელი ჩადის პარიზში, რომლის ქუჩებშიც 1968 წელია და კინო და რევოლუცია ერთმანეთს ერწყმის. პოსტმოდერნიზმში გულუბრყვილობა სენტიმენტალურ ბანალობად იქცევა, ფილმის უკან კი "უკანასკნელი მეოცნებე" ბერნარდო ბერტოლუჩი დგას, რომელსაც გულწრფელად სჯერა, რომ წარსულის გახსენებით აწმყოში განვლილის დაბრუნება შეიძლება, რადგან კინოს ჭეშმარიტ ძალას წინ ვერაფერი აღუდგება, ნამდვილი მეოცნებენი კი სინეფილები არიან.

"1968 წელს ჩვენ ვიძინებდით იმ აზრით, რომ გავიღვიძებდით არა ხვალ, არამედ მომავალში. ეს გრძნობა უცხოა თანამედროვე Ragazzi-სთვის. ჩვენ ვცხოვრობდით იმ იმედით, რომ სამყარო შეიცვალა. ჩვენ ამ ცვლილებების ნაწილებად აღვიქვამდით საკუთარ თავს. დღევანდელი ახალგაზრდები სულ სხვა რამეზე ოცნებობენ. წარმატებულ კარიერაზე, ფულზე - ეს არის ნამდვილი ოცნებანი. ჩემი ახალი ფილმით მე მსურდა, მათთვის ოცნება მესწავლებინა" - ამბობს ბერნარდო ბერტოლუჩი ერთ-ერთ ინტერვიუში.

თუ ვლაპარაკობთ ოცნებაზე, მაშინ ეს სამოციანი წლებია, როდესაც ყველაფერი ერთმანეთს შეერწყა: პოლიტიკა, სექსი, მუსიკა და კინო. თუ ვლაპარაკობთ თაობაზე, ეს 68 წლის თაობაა, როდესაც კლეპტონი და ჰენდრიქსი თითოეულ მათგანში ცხოვრობდა. სწორედ ამ ეპოქაში ბრუნდება ბერტოლუჩი თავის ბოლო ფილმში და იყენებს კინემატოგრაფს "დროის მანქანის" როლში: "უნიკალური მომენტი დადგა 60-იან წლებში. საზოგადოებამ თითქოს ღრმა ძილიდან გამოიღვიძა, რადიკალურად შეიცვალა ადამიანების დამოკიდებულება პოლიტიკისადმი, მუსიკისა და სექსისადმი. ამ ყველაფერმა ჩემთვის კინოში მოიყარა თავი. კინოთი შეიძლებოდა მთელი ჩემი ემოციების გამოხატვა. საერთო ჯამში ჩვენ წავაგეთ 68 წლის რევოლუცია, მაგრამ მე დღემდე ვთვლი მას მეოცე საუკუნის უდიდეს მოვლენად. მართალია, ბევრი ჩვენი იმედი ილუზორული გამოდგა, მაგრამ ვერავინ ვერ უარყო, რომ გამოიცვალა ადამიანთა სოციალური ქცევა და საზოგადო მორალისადმი მიდგომა. პარიზის ქუჩებში კოცნა ახალგაზრდებმა სწორედ 68 წლის მოვლენების მერე დაიწყეს. შეიცვალა საზოგადო წესჩვეულებები, სექსუალური პრაქტიკა. ფემინიზმის გაფურჩქვნა, სექსუალური პრაქტიკის შეცვლა - ეს ყველაფერი 60-იანი წლების რევოლუციის ნაყოფია"- ამბობს იტალიელი რეჟისორი.

ფილმის მერე ყოველ ჩვენთაგანს შეშურდება, რომ ეკრანზე ნახეთ ჩვენ არ გამოგვივლია და არ გამოგვიცდია (ჩემს თაობას ვგულისხმობ); არც ჩვენი დედების და მამების თაობას. ჩვენთვის დღესაც საოცნებოა ლანგლუას "სინემათეკის ვირთხებივით" 68 წელი, პარიზის ქუჩებში ხეტიალი, კამათი იმაზე, ჩაპლინი ჯობია თუ კიტონი, ჰენდრიქსი თუ კლეპტონი. სწორედ ასეთები არიან ბერტოლუჩის "მეოცნებენი" - მეთიუ, თეო და იზა. თაობა, რომელსაც ჩვენი დროის გმირებთან საერთო, სამწუხაროდ, ცოტა აქვს, ამიტომაც უკვირს, ალბათ, ბერტოლუჩის, რატომ იწვევს მისი ნოსტალგია სხვებში გაღიზიანებას. "მეოცნებენი" ეს ერთგვარი თამაშია (პოსტმოდერნიზმის კიდევ ერთი ნიშანი), როგორც მისი ვირტუალური ორეული, რომელიც გითრევს და არ გინდა, რომ დასრულდეს. ბერტოლუჩი ცდილობს, პასუხი გასცეს თანამედროვე სამყაროს კითხვებს და ამას წარსულთან დაპირისპირების საშუალებით აკეთებს. ირონია აქაც იჩენს თავს. "მეამბოხე პროვოკატორი" დაბერდა და მისთვის იდეალური მხოლოდ წარსული ხდება.

გავაგრძელოთ იქიდან, რომ პოსტმოდერნისტი მოგზაური, ამერიკელი მეთიუ (ბერტოლუჩი აქაც აგრძელებს ევროპაში მოგზაური ამერიკელის თემას) თავისთვის პოულობს ევროპელ მეამბოხეს და ძმის საშუალებით ებმება სინეფილების მოძრაობაში ლანგლუას დასაცავად. მოგვიანებით კი მათთან ერთად ქუჩაში განვითარებულ რევოლუციას ისინი საკუთარ რევოლუციად გარდაქმნიან ჩაკეტილ სივრცეში (ფანჯრებს მიღმა რევოლუციები მათთვის უკვე ნაკლებად მნიშვნელოვანია).

თუმცა, მთავარი პერსონაჟების გარდა ფილმის მთავარი გმირი, პირველ რიგში, თავად კინოა და სინემატიკური სიამოვნება ბერტოლუჩისთან რევოლუციასაც, სიყვარულსაც უწევს კონკურენციას. კინოს ისტორიაში, ალბათ, არასოდეს არ ყოფილა სინეფილია ფილმის მთავარი სიუჟეტის ნაწილი და მაყურებელშიც სინემატური სიამოვნების გამომწვევი. "მეოცნებენი" ცხოვრობენ კინოთი, სძინავთ კინოსთან ერთად, ძერწავენ თავიანთ თავს კინოს საშუალებით, მიირთმევენ მას საუზმეზე, სადილსა და ვახშამზე. იღებენ სიუჟეტებს მისგან, თავიანთი ბობოქარი თამაშებისათვის, იყენებენ პიკანტური ხერხებისათვის, რათა მიაღწიონ თავიანთ მიზნებს".

ფილმის ბოლო ეპიზოდში სამივე გმირი გარეთ გამოდის. "პოლიციასთან შეჯახების" ერთი ამოსუნთქვით გადაღებული ეპიზოდი ფინალში ძველ ბერტოლუჩის მოგვაგონებს. რევოლუციის დრო წარსულში დარჩა ("ეპოქა დასრულდა ჩვენთვის, როცა მოკვდა ჯიმ მორისონი. ეს, მართალაც, ეპოქის დასასრული იყო"). მართალია, ბერტოლუჩის ბევრი დასდებს ბრალს, რომ "ნოსტალგიური გახსენებებიც არ არის მოდური", უკანასკნელი მეოცნებე კი თავის პერსონაჟებთან ერთად კიდევ ერთხელ დაამტკიცებს, რომ წარსული შეიძლება დაბრუნდეს და გახდეს აწმყო ეკრანზე.

თეო, მეთიუ და იზა ერთმანეთს შორდებიან და სხვადასხვა მხარეს აგრძელებენ მოგზაურობას. თუ სად წავლენ ისინი, ამას კინო გვიჩვენებს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ კინო ისევ იცოცხლებს.

ნინია კაკაბაძის სვეტი

თემურიკო უმაღლესში მოვაწყვე

ივლისის თვე საქართველოს მოსახელობისათვის ყოველთვის მძიმე პერიოდია. ბავშვები გვყავს მოსაწყობი, იოლი საქმე ხომ არ არის. ბავშვი თუ არა, ძმისშვილი, დისშვილი, ნათესავი, მეზობელი ან ვინმე ახლობელი ხომ ნამდვილად აბარებს უმაღლეს სასწავლებელში. აბა, უმაღლესი განათლების გარეშე ხომ არ დარჩება ვინმე, დიპლომი ხომ მაინც უნდა ჰქონდეს. თუკი ვერაფერში გამოიყენებს, პროფესიონალური თვალსაზრისით, შეუღლებისას ხომ მაინც მოიწონებს თავს წითელი ან ყავისფერი დიპლომით. დიპლომი ისევ აუცილებელია, მაგრამ მისი ფერი, როგორც წარჩინების დამადასტურებელი წიგნაკი, მგონი, გადამწყვეტ როლს აღარ ასრულებს საოჯახო გარიგებებში. ეს ერთი ნაბიჯი, რომელიც უკანასკნელი წლების მანძილზე წინ გადავდგით.

სეზონური მოსავალი

პრობლემა მხოლოდ რომ ეს არის, ესეც ყველასათვის ნათელია. მისაღები გამოცდები და საგამოცდო ციებ-ცხელება. წლის ამ პერიოდში ხშირად მოკრავთ ყურს ამგვარ გამონათქვამს: ვერსად მივდივარ, ჯერ ბავშვი მყავს მოსაწყობი, გადავიღალე, შვილი მოვაწყვე უმაღლესში და სხვა. უმაღლეს სასწავლებელში მოწყობის საკითხი, როგორც პრობლემა, მსოფლიო მასშტაბით, მგონი, მხოლოდ საქართველოში და, ალბათ, კიდევ რამდენიმე პოსტ საბჭოთა ქვეყანაში თუ დგას. და მაინც, რას ნიშნავს ეს მოწყობა? ქრთამების ჩამორიგების ნაირსახეობა: ფულის სახით, ტანსაცმლით, გასტრონომიული პროდუქტებით, სახლში მიპატიჟებით, დიდი წვეულების მოწყობით და ა.შ. ერთი სიტყვით, ქართული ფანტაზია ამ საკითხში საოცრად მრავალფეროვანია. და თუკი ამ პერიოდს მშობელი შიშით ელის, პედაგოგ მასწავლებლები, ლექტორები თუ რექტორები ისე ელიან, როგორც ტაქსის მძღოლი კოკისპირულ წვიმას, აჭარაში დამსვენებელი კი მზიან ამინდს. ეს მათი სეზონია, და თუკი ფიქრობთ, რომ თქვენც ელოდებით ზაფხულს სხვადასხვა სასიამოვნო რიტუალების ჩასატარებლად, დამიჯერეთ, ეს ჩვენი, უბრალო, მოკვდავ ადამიანთა მოლოდინი არაფერია, რექტორების და ლექტორების მოლოდინთან შედარებით. ეს მოსავლის აღების სეზონია. ბუნებრივია, მე ყველა ლექტორს არ ვგულისხმობ, საბედნიეროდ, გამონაკლისები ამ სფეროშიც არიან, რაც მომავლის იმედს იძლევა. მაგრამ, უმეტესობისთვის და განსაკუთრებით მათთვის, ვინც მისაღებ კომისიაში ამოყოფენ თავს, ეს რთული, მაგრამ მომგებიანი ბიზნესის ეტაპია.

ქრთამები და მექრთამეები

ამ შემთხვევაში, გამოსავალი რომ უნდა მოინახოს, ვფიქრობ, ერთმნიშვნელოვნად ცხადია. უმჯობესი იქნება, თუკი მისაღები გამოცდები მთლიანად გამარტივდება და სირთულეები შემდეგ, სწავლის პროცესში გამოჩნდება - სემესტრის დახურვის ან მომავალ კურსზე გადასვლის სახით. მაგრამ, სამწუხაროდ, მექრთამეობის პრობლემას ვერც ეს უკანასკნელი ვარიანტი მოაგვარებს, პირიქით, პედაგოგების შემოსავლები ერთი-ორად გაიზრდება და შემოსავალი არა წელიწადში ერთხელ, არამედ რამდენჯერმე გამრავლდება. პრობლემა, რომელიც მენტალურად ზის ქართველ ადამიანში და ამ შემთხვევაში, ქართველ რექტორებში, კათედრის გამგეებში თუ ლექტორებში, ასე ადვილად ვერ აღმოიფხვრება. არადა, გამოსავალი აუცილებლად მოსაძებნია. მაგალითად, ბატონი ნაპოლეონ ქარქაშაძის დაპატიმრება, რომელიც ამ ეტაპზე მიწების გასხვისება-გაყიდვაშია ბრალდებული, და არა მექრთამეობაში, კარგი მაგალითი უნდა იყოს სხვისთვის, მაგრამ ისიც საკითხავია, დანარჩენები როდის აგებენ პასუხს ჩადენილ დანაშაულებზე. რატომღაც "ახალი ხელისუფლება" მათ უფლებებს გულმოდგინედ იცავს დღემდე. თუმცა, არც ამ დანარჩენებმა დაიშურეს სხვადასხვა სასწავლებლების ტერიტორიები გაქირავება-გაყიდვისათვის. არანაკლებ მნიშვნელოვანია, რომ კორუფციისა და მექრთამეობის საწყისი სადღაც ამ ზემოხსენებული უწყებებიდან იღებს სათავეს. მოკლედ, ისინი, ვინც წელს კარგი "მოსავალი" აიღო, იმედი გვქონდეს, რომ აგვისტოს თვეს მეუღლეებთან, შვილებთან და შვილიშვილებთან ერთად ფეშენებელურ კურორტებზე დაისვენებენ და სასიამოვნო დროსაც გაატარებენ.

ცარიელი წიგნაკი

მექრთამეები იქით იყვნენ და მათ რა ვუყოთ, ვინც ქრთამს იძლევა. მისი სურვილი ნათელია და დიადი: შვილი უმაღლესი განათლებით, დიპლომით ხელში. პროფესიას ხშირ შემთხვევაში თავად ურჩევს და შემდეგ ამაში ფულსაც იხდის. იმ ერთეულებს, რომელნიც წინაპართა დაჟინებით "მოეწყობიან" უფასო ფაკულტეტზე, პატარა შანსები მაინც აქვთ, იმისათვის, რომ მინიმალური ცოდნა მიიღონ. აი, მათ რა უნდა ქნან, ვინც ფასიან ფაკულტეტზე "ეწყობა"?! მათი მომავალი პრაქტიკულად გადაწყვეტილია. ეს ის შემთხვევაა, რომელსაც ერთერთი ჩემი მეგობარი ასე ახასიათებს: ქართველი მშობელი, როგორც უნიკალური მოვლენა, საკუთარი შვილის გაუნათლებლობაში (უსწავლელობაში) იხდის ფულს. ხუთი წლის მანძილზე იხარჯება იმისათვის, რომ შვილმა არაფერი იცოდეს და ვერაფერი გაიგოს. მხოლოდ იმისათვის, რომ ხუთი წლის თავზე ხელში ის პატარა წიგნაკი დაიჭიროს, რომელიც მას მხოლოდ შეუღლებაში გამოადგება.

ჩემი ბიჭია

ეს სიტყვები თუ მსგავსი: ჩემი ბიძაშვილის გოგოა, ჩემი გურამის შვილია, ჩემი დოდოშკას ბიჭია, ყველაზე მეტად იმ ადამიანებს ესმით, ვინც საგამოცდო ციებ-ცხელებაში აქტიურად მონაწილეობს და ღმერთმა ის ბედი არგუნა, რომ მისაღებ კომისიაში აღმოჩენილიყო. ამ შემთხვევაში უწესოც და წესიერიც ერთნაირად შავ დღეშია. შემოსული თანხებიდან გამომდინარე, უწესოს უკვე დაწერილი აქვს ნიშნები. წესიერი კი... ხომ იცით ქართული მეგობრობა, მეზობლობა, ახლობლობის საუკუნოვანი ტრადიციები, აბა, ის ხომ არ იქნება რეფორმატორი და ტრადიციების უარმყოფელი?! არ დაწერს სათანადო ნიშანს და მთელი სამეგობრო თუ საახლობლო გალანძღავს; დაწერს და შესაძლებელია ნიჭიერი აბიტურიენტი გარეთ დარჩეს და მისი ციალას პროტეჟე შოთიკომ, რომელიც არც თუ ისეთი ნათელი გონებით გამოირჩევა, 5 წელი სულ უქმად უნდა გაატაროს. მოკლედ, ეს ის შემთხვევაა, როდესაც პასუხისმგებლობას მხოლოდ პედაგოგებს ვერ დავაკისრებთ, აქ გადამწყვეტ და აქტიურ როლს სწორედ მშობლები ასრულებენ.

დაბოლოს

დავანებოთ თავი საკუთარი შვილების მაგივრად სწავლას, მუშაობას, გამოცდების ჩაბარებას და, რაც ყველაზე მთავარია, ამ პრობლემებით სხვების შეწუხებას. მივცეთ ბავშვებს საკუთარი არჩევანის გაკეთების, საკუთარი გონებრივი თუ ფიზიკური მონაცემების გამოყენების შანსი და ივლისის თვეში ერთ ქართულ უზნეობას მაინც მოვუღოთ ბოლო, რომელიც ზოგადად ქვეყანასაც ღუპავს და, რაც მთავარია, ქვეყნის მომავალ თაობას და საერთოდ მომავალს.

ფეხბურთი

Puma FIFA-ს წინააღმდეგ

კამერუნელი ეტო'ო Puma-ს ახალ ფორმაში.

აქამდე არასოდეს ყოფილა, რომ სპორტული ეკიპირების მწარმოებელ კომპანიას მსოფლიოს ფეხბურთის მმართველი ორგანიზაციის წინააღმდეგ გალაშქრება გაებედა. Puma-მ კი გაბედა. კამერუნის ეროვნული ნაკრების ულტრათანამედროვე, რევოლუციური ეკიპირების ირგვლივ ატეხილი აურზაური გრძელდება. ამ ეკიპირების მწარმოებელი Puma სასამართლოში ჩივის და FIFA-ს მატერიალური ზარალის ანაზღაურებას სთხოვს. Puma-ს ხელმძღვანელობა აცხადებს, რომ მის მიერ წარმოებული ფორმის აკრძალვის გამო კომპანიამ დიდი მატერიალური ზარალი ნახა.

ალბათ, გახსოვთ ის უცნაური ფორმები, რომლითაც უკანასკნელ ხანს კამერუნის ნაკრები ასპარეზობდა. ეს ფორმა მთლიანია - მაისურა და შორტი ერთმანეთზეა გადაკერებული, რაღაც კომბინეზონის მაგვარი. FIFA-მ კამერუნელებს ამ ფორმის გამოყენება აუკრძალა. Puma-მ კი ნიურნბერგის სასამართლოში სარჩელი შეიტანა და მსოფლიო ფეხბურთის მმართველი ორგანიზაციისგან ამ აკრძალვის მოხსნას მოითხოვს. გარდა ამისა, სარჩელის თანახმად, Puma-ს მიერ განცდილი მატერიალური ზარალიც უნდა ანაზღაურდეს.

კომპანიის წარმომადგენლები ირწმუნებიან, რომ ამ აკრძალვის გამო Puma-მ ორი მილიონი ევრო იზარალა. მათი თქმით, კომპანიამ ვეღარ შეძლო იმ კლუბებთან და ეროვნულ ფედერაციებთან ხელშეკრულებების გაფორმება, რომლებიც ამ უცნაური ფორმებით დაინტერესდნენ.

"საქმე ის არის, რომ FIFA-ს გადაწყვეტილების გამო, Puma-ს არ ეძლევა საშუალება, თავისი ინოვაციური იდეა რეალობად აქციოს. ეს დაახლოებით იმას ჰგავს, ვინმემ რვაკუთხა სათვალე რომ გამოიგონოს და სადაზღვევო კომპანიამ მხოლოდ ოთხკუთხა სათვალის გამოყენება დაუშვას", - ამბობს Puma-ს ადვოკატი რაინჰარდ შტუნკელი.

შტუნკელი იმასაც აცხადებს, რომ კომპანიას FIFA-ს არც ერთი კანონი არ დაურღვევია.

ასეა თუ ისე, Puma-ს ახალმა ეკიპირებამ FIFA-ს რისხვა გამოიწვია. ამ ფორმებით ასპარეზობის გამო, კამერუნის ნაკრებს მსოფლიო ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ტურნირში 6 ქულის ჩამორთმევას უპირებდნენ. თუმცა, მერე FIFA-მ კამერუნელები დაინდო და მათთვის ქულების ჩამორთმევა გადაიფიქრა. კამერუნის ნაკრები 6 ქულის დაკარგვას გადაურჩა, მაგრამ 200 ათასი ფრანკი ფულადი ჯარიმა მაინც გადასახდელია. ამასთან, კამერუნელებს ულტრათანამედროვე ეკიპირებით ასპარეზობა აუკრძალეს.

Puma კი FIFA-ს ამ გადაწყვეტილების წინააღმდეგ იბრძვის და სასამართლოში შეტანილ საჩივარს არა მხოლოდ კომპანიის კომერციული ინტერესების, არამედ პარტნიორი გუნდის ინტერესების დაცვად განიხილავს. "Puma არასოდეს შეაქცევს ზურგს თავის პარტნიორს", - ნათქვამია კომპანიის ხელმძღვანელობის განცხადებაში.

თუ ეს პროცესი შედგება, ნიურნბერგის სასამართლოში FIFA-ს სხვა მაღალჩინოსნებთან ერთად თვით ზეპ ბლატერსაც მოუწევს ჩვენების მიცემა. შტუნკელის თქმით, Puma-ს მიერ შეტანილ სარჩელში FIFA-ს პრეზიდენტის გვარი საკმაოდ ხშირად ფიგურირებს. სწორედ ბლატერი იყო კამერუნის ნაკრების ეკიპირების უმთავრესი მოწინააღმდეგე.

კომპანია Puma-ს მიერ სასამართლოში შეტანილ სარჩელთან დაკავშირებით თავად FIFA-ს ჯერ კომენტარი არ გაუკეთებია.

TV-სპორტი

პარასკევი. 30 ივლისი

НТВ+ФУТБОЛ
06:30 NBA TV. სეზონი 2003-2004. "PHOENIX SUNS" - "LOS ANGELES LAKERS"
09:00 09:00-დან 12:00-მდე შესვენება
12:00 თავისუფალი დარტყმა
12:15 განვლილი სეზონის გახსენება. ინგლისის ჩემპიონატი. "მანჩესტერ სიტი" - "ფულჰემი"
14:00 ჩემპიონთა ლიგის არქივი. სეზონი 2000/2001. მეოთხედფინალი. "ბავარია" - "მანჩესტერ იუნაიტედი"
15:45 თავისუფალი დარტყმა
16:00 "FUTBOL MUNDIAL"
16:30 "ფეხბურთი ანიდან ჰაემდე"
17:00 განვლილი სეზონის გახსენება. გერმანიის ჩემპიონატი. "ბაიერი" - "ბორუსია"
18:45 ბრაზილიის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
19:15 თავისუფალი დარტყმა
19:30 სახვალიო ტელეპროგრამა
19:35 განვლილი სეზონის გახსენება. ინგლისის ჩემპიონატი. "არსენალი" - "მანჩესტერ იუნაიტედი"
21:20 განვლილი სეზონის გახსენება. იტალიის ჩემპიონატი. "სიენა" - "მილანი"
23:05 განვლილი სეზონის გახსენება. ესპანეთის ჩემპიონატი. "სევილია" - "ვილიარეალი"
00:50 ბრაზილიის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
01:20 01:20-დან 03:00-მდე შესვენება
03:00 NBA TV - სეზონის წარმატებები
04:00 NBA TV. WNBA ჩეპიონატი. "MINNESOTA LYNX" - "SEATTLE STORM". პირდაპირი ტრანსლაცია

НТВ+СПОРТ
10:00, 16:20, 180, 21:00 პრესცენტრი
10:20, 18:45 "ოლიმპის შვილები"
10:25, 14:00 "ფორმულის ჰარმონია"
10:45 ჩოგბურთი. "Masters Series" ტორონტოში. შესვენებისას (13:00) - პრესცენტრი
14:20 ჭადრაკი. სუპერტურნირი დორტმუნდში
14:50 ATP-ს საჩოგბურთო მიმოხილვა
15:20 კანადის თასი 1987. "კანადის თასიდან მსოფლიო თასამდე"
15:50 "ჩქაროსნული სამყარო". ტელეჟურნალი
16:35 ტაილანდური კრივი
17:35 "ოლიმპიური ისტორია". მელბურნი, 1956 წელი. მეორე ნაწილი
18:50 სახვალიო ტელეპროგრამა
18:55 ფრენბურთი. ქალები. მსოფლიო სერიათა გრან-პრი იტალიაში. ფინალური ტურნირი. პირდაპირი ტრანსლაცია
20:30 "ნოკაუტი". ტელეჟურნალი პროფესიულ კრივზე
21:15 "საუკუნის ათლეტები". "ვარსკვლავური პინეგინი"
21:55 ფრენბურთი. ქალები. მსოფლიო სერიათა გრან-პრი იტალიაში. ფინალური ტურნირი. პირდაპირი ტრანსლაცია
23:30 ჭადრაკი. სუპერტურნირი დორტმუნდში
00:00 "სპორტული გლობუსი". "Trans World Sport" წარმოგიდგენთ
00:30 ახალი ამბები
00:45 "ნოკაუტი". ტელეჟურნალი პროფესიულ კრივზე
01:15 01:15-დან 05:00-მდე შესვენება
05:00 პროფესიული კრივი. მაიკ ტაისონი - დენი უილიამსი. პირდაპირი ტრანსლაცია

EUROSPORT
10:30 ოლიმპიური თამაშები. ოლიმპიადების კულტურული პროგრამა
10:45 მულტისპორტი. კვირის სტუმარი
11:00 ფეხბურთი. აზიის თასი ჩინეთში
12:00 ფეხბურთი. ალპური თასი იტალიაში
14:00 ფეხბურთი. აზიის თასი ჩინეთში. მეოთხედფინალი
16:00 კრივი. ევროპის ჩემპიონატი გერმანიაში
17:00 ფეხბურთი. აზიის თასი ჩინეთში. მეოთხედფინალი
19:00 ფეხბურთი. ალპური თასი იტალიაში
20:45 მძლეოსნობა. სუპერ გრან-პრი დიდ ბრიტანეთში. პირდაპირი ტრანსლაცია
00:00 ჩოგბურთი. WTA ტურნირი აშშ-ში. მეოთხედფინალები. პირდაპირი ტრანსლაცია
01:30 ახალი ამბები
01:45 ყველაზე ძლიერი ადამიანი. სუპერ გრან-პრის სერიები აშშ-ში. ფინალი - 2003-2004
02:45 ექსტრემალური სპორტი. ახალგაზრდული ზონა
03:15 ახალი ამბები

ორმაგი გამარჯვება

მიხეილ აბაიშვილი

უეფა-ს თასი.
პირველი საკვალიფიკაციო ეტაპის განმეორებითი მატჩი

დინამო (თბილისი) - ბატე (ბელორუსი) 1:0 (0:0)
(პირველი მატჩი: 3:2)

დინამო: *ზოიძე, შაშიაშვილი, ჭიჭვეიშვილი, სალუქვაძე, კვირკველია, კანკავა, კანდელაკი, ბურდული (გრიგალაშვილი, 82`), კაშია (ალადაშვილი, 41`), კაკალაძე, გონჩაროვი (60`).*
მწვრთნელი: *გია გეგუჩაძე*

ბატე: *შემნოვი, მარდასი, ბაგა, მოლოში, ტარასენკო, კოპეცი, ლოშანკოვი (სკრიპჩენკო, 77`), სტრახანოვიჩი, ლიხტაროვიჩი, რინდიუკი (შკაბარა, 57`), რუბნენკო (აფანასიევი, 46`).*
მწვრთნელი: *იური პუნტუსი*

გოლი: *კვირკველია 86`*
გაფრთხილებები: *კაშია, ალადაშვილი, სტრახანოვიჩი.*
მსაჯი: *მარკ უითბი (უელსი).*

ჭაბა კანკავა (მარცხნივ) ერთ-ერთი საუკეთესო იყო.

გოგიტა ბუხაიძის ფოტო

უეფას თასის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპისკენ მთავარი ნაბიჯი თბილისის "დინამომ" ბელორუსში გადადგა, როდესაც ადგილობრივი "ბატე" 3:2 დაამარცხა. თუმცა, ბურთი მრგვალია და ხშირად მომხდარა, რომ გასვლით შეხვედრაში წარმატებამიღწეულ გუნდს საკუთარ მოედანზე უპირატესობა ვერ შეუნარჩუნებია და შემდეგი ეტაპისკენ გზა მეტოქისთვის დაუთმია. ამის საშიშროება გუშინაც არსებობდა. მით უმეტეს, რომ "ბატე" ნამდვილად არ გახლავთ ისეთი ხელწამოსაკრავი გუნდი, როგორიც ზოგიერთებს პირველი შეხვედრის ანგარიშიდან გამომდინარე მოეჩვენათ. მაგრამ, საშიშროება არსებობდა მხოლოდ თამაშის დაწყებამდე. უელსელი მსაჯის სასტარტო ნიშნისთანავე ნათელი გახდა, რომ გუშინ "დინამო" ბელორუს მეტოქეს არაფერს დაუთმობდა.

გეგუჩაძემ მცირედით უღალატა საკუთარ სტილს და ჩვეული 4-3-3-ის ნაცვლად 4-4-2 ტაქტიკური განლაგება აირჩია, რაც, სიტუაციდან გამომდინარე, აბსოლუტურად გამართლებული იყო. შემდეგ ეტაპზე გასასვლელად ჩვენს გუნდს არა მხოლოდ ფრე, არამედ, თუნდაც 0:1, ან 1:2 ანგარიშით მარცხიც კი ხელს აძლევდა, ამიტომ, პირველ რიგში, საკუთარი კარის უსაფრთხოებაზე ზრუნვა პრაქტიკული მოსაზრებებით იყო ნაკარნახევი. შეგახსენებთ იმასაც, რომ გეგუჩაძემ ამ შეხვედრის წინ ტრავმების გამო ფეხბურთელების მთელი რიგი მოისაკლისა. ახალაია, სილაგაძე, რომერო, ტრავმა ახალმოშუშებული ნემსაძე, რომელთა შეცვლა არ გახლავთ იოლი საქმე. ამიტომაც არის განსაკუთრებით სასიამოვნო, რომ გუნდს გააჩნია რეზერვი, რომელზეც კრიტიკულ, მნიშვნელოვან სიტუაციებში შეიძლება დაყრდნობა.

გუშინდელი მატჩი მთელმა გუნდმა ხუთიანზე ჩაატარა, ამიტომ რომელიმე ფეხბურთელის გამორჩევით სხვა დინამოელების გარჯის გაუფასურება ნამდვილად არ მსურს. და მაინც, არ იქნება სწორი, თუ არ აღვნიშნავ ახალგაზრდა, 18 წლის საყრდენი ნახევარმცველის, ჯაბა კანკავას ბრწყინვალე თამაშს. ამ ყმაწვილმა, რომელიც "დინამო 3"-ში არასრული 1 წლის წინ გამოჩნდა, ამ მცირე პერიოდში არა თუ პირველი გუნდის ძირითად შემადგენლობაში დაიმკვიდრა ადგილი, არამედ ყოველ თამაშში ამტკიცებს, რომ ერთ-ერთი გამორჩეულია "დინამოს" რიგებში. მისი თამაშის შემხედვარე, პრესლოჟაში მყოფი ჩემი კოლეგები კმაყოფილები აღნიშნავდნენ, რომ საქართველოს ნაკრებს, როგორც იქნა, გამოუჩნდა ისეთი ფეხბურთელი, რომელსაც მოედნის ცენტრში წარმატებით და 90 წუთის განმავლობაში დაუღალავად თამაში, ნებისმიერი ბურთისათვის ბრძოლა შეუძლია. გუშინდელ თამაშს საქართველოს ნაკრების ფრანგი მწვრთნელი, ალენ ჟირესი ესწრებოდა და დარწმუნებული ვარ, მან უკვე მოინიშნა კანკავას გვარი საკუთარ უბის წიგნაკში.

ასევე, უშეცდომოდ და ძალზე სასარგებლოდ ითამაშა დავით ჭიჭვეიშვილმა, რომელიც გუშინ "ბატეს" თავდამსხმელთათვის გადაუღახავ ზღუდედ იქცა. ერთ მომენტში, როდესაც უკვე ზოიძეც უძლური იყო, კარის ხაზიდან ჭიჭვეიშვილმა ნახტომში, მკერდით მოიგერია ბურთი. რადგან ზოიძე ვახსენე, იმასაც ვიტყვი, რომ შეუდარებელი იყო და ნამდვილად გამოისყიდა 2 კვირის წინანდელი დანაშაული, როდესაც მეტოქის მეკარის დარტყმული კურიოზული გოლი გაუშვა. ბოლო წუთებში ზოიძემ ზედიზედ 3 საგოლე დარტყმა მოიგერია. თუმცა, ამ მომენტისათვის "დინამო" უკვე იგებდა და შეხვედრის დასრულებამდეც სულ მცირე დრო რჩებოდა.

გოლი კი ძალიან ლამაზი გავიდა. შეცვლაზე შემოსულმა მელქაძემ კარგი პასით კვირკველია დასარტყმელ პოზიციაზე გაიყვანა, რომელმაც მცველთან ჭიდილში, უკვე ჩაწოლილმა, თან ნახტომში დარტყმა და ბურთის კარის ბადეში გახვევა მოახერხა.

იური პუნტუსი: "ვულოცავ "დინამოს" დამსახურებულ გამარჯვებას და უეფას თასის შემდეგ ეტაპზე გასვლას. როგორც სპორტსმენი, გულნატკენი ვარ, რომ ამჯერად ვერ მოვახერხეთ ქართული ბარიერის დაძლევა. მოგვიწევს მთელი ყურადღების ბელორუსის ჩემპიონატზე კონცენტრირება. მომავალ წელს ველით "დინამოს" ჩემპიონთა ლიგაში, სადაც რევანშის აღებას შევეცდებით."

გია გეგუჩაძე: "75-80 წუთის განმავლობაში ჩემმა გუნდმა ზუსტად შეასრულა ის მითითებები, რომელიც თამაშის წინ გავეცი. ჩვენს თამაშში არ დარღვეულა სათამაშო დისციპლინა და მეტოქისთვის საშუალება არ მიგვიცია, რომ ჩვენს კარს სერიოზულად დამუქრებოდა. ბორისოვში გამარჯვების მიუხედავად, მეტოქეც ფრთხილობდა და არ "იხსნებოდა". "ბატემ" მხოლოდ შეხვედრის მიწურულს გარისკა და ოდნავ მოაშიშვლა ზურგი, რაც ჩვენს სასარგებლოდ გამოვიყენეთ და გოლი გავიტანეთ. ჩემი ყველა ფეხბურთელის თამაშით კმაყოფილი ვარ."

გუშინ თბილისმა ორმაგი გამარჯვება იზეიმა. "დინამოს" მხარი საფეხბურთო კლუბმა "თბილისმაც" აუბა, რომელმაც "შამქირი" გასვლით მატჩშიც, თან, ამჯერად, დიდი ანგარიშით 4:1 დაამარცხა და შემდეგ ეტაპზე გავიდა. გოლები გაიტანეს ჭელიძემ, მიკუჩაძემ (2) და კვარაცხელიამ.

უეფას თასის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპის წილისყრა, სადაც "დინამოს" და "თბილისის" მეტოქეები უნდა გაირკვეს, დღეს გაიმართება.

ჩოგბურთი

არგენტინელები დაიფრინეს

სანდრო ნავერიანი

ვერ ვყოფილვარ კარგი პროგნოზისტი! გუშინ გეუბნებოდით, ნალბანდიანს ტორონტოს მასტერსის ერთ-ერთ ფავორიტად ვთვლიმეთქი, მაგრამ რა გამოვიდა! ჩემი ნაქები ნალბანდიანი პირველივე წრეში დამარცხდა რუს მიხაილ იუჟნისთან. ახლა კონკრეტულად იმაზე, თუ რა მატჩები შედგა და რა ანგარიშით დამთავრდა.

დავიწყებ ფავორიტებით. პირველად ფედერერ-არაზის მატჩს შევეხები. რა თქმა უნდა, ამ წყვილში მაროკოელ ჰიხამ არაზის არავინ თვლიდა ფავორიტად, მეტიც, მის შანსს ნულს უტოლებდნენ. შვეიცარიელმა, უკვე მსოფლიო ჩოგბურთის ისტორიაში შესულმა როჟე ფედერერმა ორ სეტში დაამარცხა (6:3, 7:5) მაროკოელი, თუმცა, მატჩის შემდეგ, პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ ძალიან გაუჭირდა მაროკოელთან თამაში, განსაკუთრებით მეორე სეტში. მომდევნო წრეში ფედერერი შვედ რობინ სოდერლინგს დაუპირისპირდება.

კიდევ ერთმა ფავორიტმა, ამერიკელმა ენდი როდიკმა ფრანგ ჟულიენ ბენეტოსთან ითამაშა და გაიმარჯვა. ფედერერ-არაზის შეხვედრისგან განსხვავებით, ამ მატჩში დაძაბულობა არ შეიმჩნეოდა. არც მატჩის შემდეგ გაუკეთებია რომელიმე ჩოგბურთელს გულის ამაჩუყებელი განცხადებები. როდიკმა ორ სეტში დაამარცხა (6:4, 6:2) ფრანგი ჩოგბურთელი. ერთადერთი, რაც ფრანგმა ამ შეხვედრის შესახებ განაცხადა, ის იყო, რომ ფრანგული ტელეკომპანია TV5-ის ეთერით გამოტყდა: ვიცოდი, რომ გამარჯვების შანსი არ მქონდაო. ენდი როდიკი მეორე წრეში დაუპირისპირდება ახალგაზრდა ესპანელს ფელისისანო ლოპესს, რომელმაც პირველ წრეში ფრანგი ნიკოლას ესკუდე დაამარცხა - 7:6, 6:2.

ნალბანდიანთან (ფოტოზე) ერთად გილიერმო კორია და მარიანო ზაბალეტაც დამარცხდნენ.

ეტყობა, გუშინდელი დღე არგენტინელების არ იყო. დავიდ ნალბანდიანთან ერთად ტრავმის გამო მესამე ნომრად განთესილი გილიერმო კორიაც გამოეთიშა ტურნირს. არგენტინელი პერუელ ლუის ჰორნას ხვდებოდა და 51-ე წუთზე ტრავმა მიიღო. ლუის ჰორნა ავტომატურად გავიდა მეორე ტურში, სადაც შეხვდება კანადელ ფრედერიკ ნიმაიერს, რომელმაც, თავის მხრივ, ესპანელი დავიდ სანჩესი დაამარცხა (6:1, 6:4). რაც შეეხება კორიას, სპეციალისტები ამბობენ, მისი ვარსკვლავი ჩაესვენაო. თუმცა, მე ასე არ ვფიქრობ: ჯერ ერთი, იმიტომ, რომ ძალიან ახალგაზრდაა; მეორე, იმიტომ, რომ კორიას მატჩი არ ჩაუგდია, მხოლოდ ტრავმა მიიღო და შეხვედრა შეწყვიტა. მესამე და ყველაზე მთავარი: მისი ვარსკვლავი ჯერ ბოლომდე არ აკიაფებულა. არგენტინელი სულ 22 წლისაა და მის ანგარიშზე რვა მოგებული ტურნირია. აქედან ორი წლეულს მოიგო.

ტურნირზე მეოთხე ნომრად განთესილმა ესპანელმა კარლოს მოიამ თავისი თანამემამულე ფერნანდო ვერდასკო დაამარცხა (6:7, 6:3, 6:4) და მეორე წრეში დაუპირისპირდება წარმოშობით რუს ამერიკელს ალექს ბოგომოლოვს, რომელმაც, თავის მხრივ, ხორვატ გიგანტს ივო კარლოვიჩს მოუგო (6:4, 7:6).

მეხუთე ნომრად განთესილმა ბრიტანელმა ტიმ ჰენმანმა არგენტინელი მარიანო ზაბალეტა დაამარცხა (6:4, 6:1). მეორე წრეში კი ძალიან საინტერესო მატჩის მომსწრენი გავხდებით - ერთმანეთს დაუპირისპირდებიან ტიმ ჰენმანი და გუსტავო კუერტენი.

ბებერი ამერიკელის ანდრე აგასის მეტოქეა ავსტრიელი იურგენ მელცერი, რომელმაც სლოვაკი დომინიკ ჰრბატი დაამარცხა (4:6, 7:5, 7:6).

რაგბი

ახალი კავშირი ძველს არ დაემსგავსება

ჰაატა თოთაძე

რაგბის კავშირის ახალი ხელმძღვანელობისთვის ბევრი რამ აღმოჩნდა მიუღებელი კავშირის ძველი ხელმძღვანელობის მუშაობიდან. ამიტომაცაა, რომ კავშირი რაგბის განვითარების ახალ გზებს ეძებს და საამისოდ, ბუნებრივია, ახალ გადაყვეტილებებს იღებს. გუშინ კავშირში პრეზიდენტი მერაბ ანთაძე მედიის წარმომადგენელთა თანდასწრებით მწვრთნელებს შეხვდა. მიზეზი მწვრთნელთა საბჭოს მიერ სათათბირო ორგანოს შექმნა იყო. უფრო ზუსტად, ეს ორგანო უკვე შექმნილია და მასში უმაღლესი ლიგის ყველა მწვრთნელია გაწევრიანებული. შეხვედრაზე ორგანოს ფუნქციონირებაზე უნდა ემსჯელათ. ნაწილობრივ იმსჯელეს კიდეც, უბრალოდ, მერე, როგორც აქამდეც ხშირად მომხდარა, ვითარება აირია და ბევრი არც არაფერი გარკვეულა. მომავალი სხდომა თუ შეხვედრა სამშაბათისთვისაა დანიშნული, სადაც მრავალ საჭირბოროტო საკითხზე უნდა იმსჯელონ და, ალბათ, რაიმე გადაწყვეტილებამდეც მივლენ.

პირველი, რაც სხდომაზე დაფიქსირდა, ისაა, რომ ძველი ხელმძღვანელობის მმართველობაში ბევრი რამ იყო მიუღებელი, რაც ახლო მომავალში უნდა შეიცვალოს. ეს უმთავრესად ქვეყანაში რაგბის განვითარებას ეხება. როგორც აღინიშნა, საქართველო კი გავიდა მსოფლიო თასზე, მაგრამ რესურსები ამოწურა და ახლა რეგრესს განიცდის. შემდეგ საკითხი საბჭოს მუშაობას, მისი და კავშირის თანამშრომლობის ფორმას შეეხო. აქ საბოლოო გადაწყვეტილებამდე ვერ მივიდნენ - ზოგი ხელშეკრულებითი თანამშრომლობის მომხრე იყო, ზოგიც - მამაშვილურის, თუმცა, არ დაუკონკრეტებია, ამაში რას გულისხმობდა. ერთი რამ ფაქტია: სათათბირო გარკვეული პროექტებით, წინადადებებით მიმართავს კავშირს, რომლის განხორციელება-არგანხორციელება უკვე მისი გადასაწყვეტია, ანუ სათათბიროს გადაწყვეტილება კავშირისთვის რეკომენდაცია იქნება.

ჩემპიონატის უკეთ ჩატარების გარდა, უახლოეს მომავალში საბჭოს ტრანსფერთა შესახებ ექნება მისაღები გადაწყვეტილება. ესაა ამჟამად ქართულ რაგბიში ყველაზე მტკივნეული საკითხი და ყველაზე ძნელად გადასაწყვეტიც. როგორც დამსწრეებმა აღნიშნეს, ძველი ხელმძღვანელობა ამ საკითხში, რბილად რომ ვთქვათ, ცუდად იქცეოდა. ერთი-ორმა ისიც კი თქვა, კავშირის ჩინოვნიკებს საფრანგეთში ხორცით მოვაჭრეებს ეძახდნენ და მაგალითებიც მოიყვანეს იმისა, თუ მათი წყალობით რა დღეში იყვნენ (და ახლაც არიან) ქართველი მორაგბეები. როგორც ითქვა, საქართველოს რაგბის კავშირი ფრანგული კლუბებიდან მოთამაშეების სანაცვლოდ მოჭრილ თანხას ითხოვდა, რასაც ისინი უმეტეს შემთხვევაში არ თანხმდებოდნენ. ამის მერე ამ ფულს თავად მოთამაშეთა ხელფასიდან ქვითავდნენ. ერთი სიტყვით, ქართველი მორაგბეები თანხას უხდიდნენ საქართველოს რაგბის კავშირს.

ამ პრობლემას მოგვარება სჭირდება და კავშირის ახალმა ხელმძღვანელობამაც, ამას მალე მოევლებაო, ბრძანა. ანთაძის თქმით, კავშირი ატარებს სარაგბო პოლიტიკას, ამიტომ მან უნდა შექმნას ისეთი გარემო, რომ ქართველები უცხოეთში არ დაიჩაგრონ. მოკლედ, სამუშაო ბევრია. ის კი, თუ რა როგორ შესრულდება, მალე გამოჩნდება.

ფორმულა 1

ჩემპიონებო, "სტად დე ფრანსზე"!

გიგა გურასაშვილი

ბევრი იფიქრეს თუ ცოტა, გადაწყვიტეს, წლის ბოლოს "სტად დე ფრანსზე" უჩვეულო სანახაობა - "ჩემპიონთა რბოლა" მოაწყონ. ზამთარში დანიშნული ღონისძიება რომ თვალსასეირო იქნება, ორგანიზატორთა მიერ შერჩეული სახელებიდანაც ჩანს.

შუმახერი "სტად დე ფრანსზეც" იქროლებს.

უკვე ის, რომ "ჩემპიონთა რბოლაში" მონაწილეობაზე თანხმობა განუცხადებია მსოფლიოს ექვსგზის ჩემპიონს, "ფერარის" უბადლო პილოტს მიხაელ შუმახერს, ღონისძიებას წინდაწინვე ხდის მაცდურს. ფორმულა 1-ის გერმანელი პილოტი დიდი ძალაა, მაგრამ სახელწოდება - "ჩემპიონთა რბოლა" იმაზე მიუთითებს, რომ მასში სხვა ჩემპიონებიც უნდა გამდიოდნენ. ასეცაა. ამ რბოლაში ვიხილავთ რალიში მიმდინარე მსოფლიო ჩემპიონატის ლიდერს სებასტიან ლოებს და არა მარტო მას. "შუმისა" და ლოების გარდა, ორგანიზატორებს განზრახული აქვთ, "სტად დე ფრანსეზე" მიიწვიონ მოტორბოლების - "მოტო GP"-ის მრავალგზის ჩემპიონი, იტალიელი ვალენტინო როსი და ამერიკული სერიების NASCAR-ის უძლიერესი პილოტი ჯეფ გორდონი. კიდევ სხვების მიწვევასაც აპირებენ, მაგრამ მათ ვინაობას ჯერჯერობით არ ასახელებენ.

პილოტები რომ არათანაბარ პირობებში არ აღმოჩნდნენ, უჩვეული შეჯიბრების მონაწილენი იდენტურ მანქანებში მოკალათდებიან, მაგრამ გაურკვეველია ის, თუ რომელი კლასის ავტომობილებით იასპარეზებენ ჩემპიონები. ცნობილია მხოლოდ ერთი: წარმოდგენა (ვისთვის წარმოდგენა და ვისთვის შეჯიბრება) 4 დეკემბერს მოეწყობა. მონაწილეებს კი პარალელური კურსით დაახლოებით კილომეტრზე გაჭიმულ მონაკვეთზე მოუწევთ ურთიერთობის გარკვევა.

ორგანიზატორთა გათვლით, შეჯიბრებას, რომელშიც წარსულში ცნობილი რალისტი ქალი მიშელ მუტონიც მონაწილეობს, 70 ათასამდე მაყურებელი დაესწრება.

"ჩემპიონთა რბოლის" ჩატარება სწორედ მიშელ მუტონის იდეაა და უძლიერესი რალისტების, უფრო სწორად, მსოფლიო ჩემპიონის ტიტულის მატარებელი პილოტების მონაწილეობით, წლის ბოლოს კანარის კუნძულებზე ეწყობა.

"მე მინახავს ეს რბოლა ტელევიზიით და ძალზე მომხიბვლელად მომეჩვენა", - აღიარებს მიხაელ შუმახერი, რომელისთვისაც "ფერარიში" მემკვიდრეებიც კი შეურჩევიათ.

